პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 აპრილი **შაბათი** 2011
№ 088 (13385) ფასი 60 თეთრი

ინტერნეტ-ტოტალიზატორი
www.liderbeti.com
LIDERBETI
ლიდერი ინტერნეტ სივრცეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუპერსერიალი



## რეალი-ბარსა

კიდევ ოთხჯერ
დღეიდან
3 მაისამდე

8-9

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 30 | 19 | 6 | 5 | 55-15 | 63 |
| 2. ოლიმპი | 30 | 17 | 6 | 7 | 42-24 | 57 |
| 3. დინამო | 28 | 15 | 8 | 5 | 40-14 | 53 |
| 4. ტორპედო | 30 | 10 | 11 | 9 | 21-18 | 41 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 29 | 12 | 3 | 14 | 29-33 | 39 |
| 6. ბაია | 29 | 11 | 5 | 13 | 26-37 | 38 |
| 7. სიონი | 30 | 9 | 8 | 13 | 23-34 | 35 |
| 8. კოლხეთი | 30 | 8 | 8 | 14 | 18-37 | 32 |
| 9. სპარტაკი | 30 | 6 | 8 | 16 | 27-37 | 26 |
| 10. სამტრედია | 30 | 6 | 7 | 17 | 23-55 | 25 |

## ზესტაფონმა გააბიჯა



## ოლიმპმა თბილისში ქულები და პროტესტი დატოვა

2-4

გუშინ ეროვნულზე. დინამო-ოლიმპი 2:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

15.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
1500 მაყურებელი

**ზესტაფონი 2**
**სპარტაკი 0**

1:0 გელაშვილი (52. გრიგალაშვილის პასით), 2:0 ნინამძღვრიშვილი (80. გრიგალაშვილის პასით)

| ზესტაფონი | სპარტაკი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| რ. კვასხვაძე | გრიშიკაშვილი |
| ალადაშვილი | ჭაფოძე |
| გ. ონიანი | ბოიომო |
| მ. კობახიძე | გ. ალავიძე |
| ელიავა | მანჩხავა |
| მ. დაუშვილი | დეკანოიძე |
| გრიგალაშვილი | მგელაძე |
| ძარია | მამუჩიშვილი |
| გორგიაშვილი | ჯაკობია |
| დვალი | მ. ბარაბაძე |
| გელაშვილი | მეტრეველი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | ბ. კვარაცხელია |

**ზესტაფონი**

69. გორგიაშვილი – **აფციაური**
71. გელაშვილი – **ნინამძღვრიშვილი**
78. დვალი – **ბაბუნაშვილი**
*სათადარიგოები: მამალაძე, ბენაშვილი, ხიდეშელი, ჭანკოტაძე*

**სპარტაკი**

46. ჭაფოძე – **სეფიაშვილი**
54. მეტრეველი – **ბუზალაძე**
61. ალავიძე – **მ. ჯიშკარიანი**
სათადარიგოები: **ნ. დაუშვილი, ტეტუნაშვილი, კილასონია, ზერეკიძე**

გაფრთხილება: **კობახიძე (33), ბოიომო (64), გელაშვილი (68)**
არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

# დაგეგმილი შესრულდა

ყველაფერი "ზესტაფონის" ხელშია – თუ **გია გეგუჩაძის** გუნდმა დარჩენილ მატჩებშიც ასე ხარისხიანად ითამაშა, დაუბრკოლებლად იჩემპიონებს. ლიდერმა ლიგაში დასარჩენად მებრძოლ "სპარტაკს" დამაჯერებლად სძლია, პირველობა კიდევ უფრო გაიმყარა.

"სპარტაკისთვის" კი გუშინდელი დღე ორმაგად მტკივნეული გამოდგა – ზესტაფონური მარცხის გარდა, გუნდის მდგომარეობა კონკურენტ "კოლხეთის" გამარჯვებამაც დაამძიმა.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. თითქოს სტუმრებს ქულის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ შესვენების შემდეგ "ზესტაფონი" მძლავრად ათამაშდა და მიზანსაც მალე მიაღწია. **შოთა გრიგალაშვილის** გამჭოლი პასით დასარტყამ პოზიციაზე **ნიკა გელაშვილი** გავიდა და ანგარიში აულელვებლად გახსნა. სტუმრები მიიჩნევენ, რომ ამ ეპიზოდში "ზესტაფონის" თავდამსხმელი მათ მცველს ეუხეშა.

დისკვალიფიკაციის გამო გელაშვილმა და **მურთაზ დაუშვილმა** "დინამოსთან" მატჩი გამოტოვეს, გუშინ კი "ზესტაფონმა" ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ითამაშა. მოედანზე არ გასულა "დინამოს" კარში გამარჯვების გოლის გამტანი **გიორგი ჭანკოტაძე**, ხოლო იმ შეხვედრის კიდევ ერთი გამორჩეული ფიგურა **საბა ლომია** საერთოდ ვერ მოხვდა გუნდის 18-კაციან განაცხადში.

1:0-ზე "სპარტაკს" გათანაბრების ერთადერთი შანსი ჰქონდა – **მიხეილ ჯიშკარიანის** ჯარიმა **როინ კვასხვაძემ** კუთხურზე მოიგერია, თავის მხრივ კი მასპინძელთაგან ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა ხელიდან გელაშვილმა გაუშვა – მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გამოცდილმა **სოსო გრიშიკაშვილმა** დარტყმის კუთხე შეუმცირა და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა მიზანს ააცილა.

შეცვლაზე შესულმა **რატი ნინამძღვრიშვილმა** მატჩის მიწურულს პირადი ტრადიცია გააგრძელა – ამ სეზონში ხომ ყველა გოლი მაშინ გაიტანა, როცა სასტარტოში არ იყო გამწესებული. ასისტენტობა რატისაც გრიგალაშვილმა გაუწია, "ზესტაფონის" ნახევარმცველი გუშინ აშკარად გამორჩეული იყო.

**ნიკა გვათუა**
ზესტაფონიდან

# დინამოს გამოწვევა: გვიფრთხილდით!



მარცხნიდან: ზვიად სიჭინავა, ზურაბ პოლოლიკაშვილი, რომან ფიფია



**ლოგიკა და კანონზომიერება**

ეროვნულ სტადიონზე ლამის ორთვიანი პაუზის მერე დაბრუნებულმა „დინამომ" მეორე ეტაპზე უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარა; აი, „ოლიმპს" კი, ასევე მეორე ეტაპის განმავლობაში, ასე ცუდად არ უასპარეზია. ანუ, დაახლოებით ისეთივე სიტუაცია იყო, როგორც მესამე წრის მატჩში - 23 თებერვალს რუსთავში „ოლიმპმა" თამაშის ყველა კომპონენტში დაჩაგრა „დინამო" და იმის მიუხედავად, რომ თითქმის ტაიმ-ნახევარი რიცხობრივ უმცირესობაში იმყოფებოდა, სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. გუშინაც მასპინძელთა დღე იყო: მხოლოდ მეორე ეტაპზე კი არა, საერთოდ ამ სეზონში „დინამო" ასეთი მოტივირებული არ გვინახავს და ქვეყნის ჩემპიონთან გამარჯვებაც აბსოლუტურ კანონზომიერებას უნდა მივაწეროთ. თანაც, იმის გარდა, რომ ამ მოგებითა და გამოტოვებული მატჩების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში „დინამოს" გუშინდელი მეტოქის გადასწრების შანსიც გაუჩნდა (ამაში, რაღა თქმა უნდა, საჩემპიონო რბოლის გაგრძელებაც იგულისხმება), „ოლიმპთან" ხუთწლიანი ურთიერთდაპირისპირების ისტორიაში არსებული აბსოლუტური თანაფარდობაც თავის სასარგებლოდ „დაარღვია".

...მშვენიერი ამინდი, ორივე გუნდის ფანკლუბთა ომახიანი შეძახილები, დასავლეთ ტრიბუნებზე მყოფი 2000-მდე ქომაგი და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე არცთუ ურიგო ფეხბურთიც (განსაკუთრებით, პირველ ტაიმში), — აი, ასეთი იყო გუშინდელი საღამო, „დინამოს" კანონზომიერი გამარჯვებით რომ დამთავრდა...

## შესანიშნავი სამეული და უშეცდომო ლორია

ორივე გუნდი ამ პრინციპულ დაპირისპირებას სერიოზული საკადრო პრობლემებით შეხვდა: სტუმრებს დისკვალიფიცირებული მარჯვენა მცველი **გიორგი მურველაშვილი** და საყრდენი **ლუკა რაზმაძე** აკლდათ (რომლებიც, შესაბამისად **რევაზ ქემოკლიძემ** და **ვალიკო ტყემალაძემ** შეცვალეს), სამაგიეროდ ძირითად შემადგენლობას **დენის დობროვოლსკი** და **ირაკლი მოდებაძე** დაუბრუნდათ. წინა მატჩთან შედარებით უფრო მეტი ცვლილება იყო „დინამოშიც": **ზურაბ არზიანი** და **გიორგი კახელიშვილი** შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდნენ, ხოლო **სამირ ხაჯიბულიჩი** და **პეტარ ელიჩი** ტრავმირებული არიან. აქედან გამომდინარე, მასპინძელთა მთავარ მწვრთნელს **კახა კაჭარავას** ძირითადი შემადგენლობის სერიოზული გადახალისება (განსაკუთრებით — შუა ხაზში) დასჭირდა: მოედნის ცენტრში **ნიკა კვეკვესკირისა** და **ნიკა ფირცხალავას** „დუეტი" გაამწესა, გამთამაშებლად **ალექსანდრე კოშკაძე** („დინამოს" კაპიტანმა ამ სეზონში უკვე მერამდენე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა), ხოლო ფლანგებზე მარჯვნიდან და მარცხნივ მეტოქის შევიწროება **დონალდ ჯუისსა** და **რობერტინიოს** ევალებოდათ. სხვათა შორის, ამ ახალგაზრდა ლეგიონერებმა, ბოლოს და ბოლოს, ისეთი ფეხბურთი უჩვენეს, მათგან როგორც ელიან: ჯუისიც და რობერტინიოც, ვიდრე მოედანზე იყვნენ, პოზიციების ხშირი ცვლითა და გაუთავებელი რეიდებით მუდამ ხიფათს უქმნიდნენ თავიანთ მეურვეებს. აქედან გამომდინარე, ალბათ, ლოგიკურიც იყო, სტუმართა კარში გატანილ ორივე გოლში ლომის წილი სწორედ ზემოთ ნახსენებმა სამეულმა (კოშკაძე, ჯუისი, რობერტინიო) რომ შეიტანა. თუმცა, ნურც დანარჩენ დინამოელებს დავუკარგავთ გარჯას და ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, **გიორგი ლორია** უნდა ვახსენოთ: „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარემ თავისი მაღალი კლასი გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ვერ ვიტყვით, რომ „ოლიმპი" მასირებულ იერიშებს აწყობდა მასპინძელთა კართან, მაგრამ როცა კი სტუმართა ფეხბურთელებისგან ხიფათი წარმოიქმნებოდა, გიორგი ლორია მშვიდად და უშეცდომოდ უმკლავდებოდა რუსთაველი გუნდის ყველა მცდელობას.

## ეფექტური გოლები

მატჩის პირველი შვიდი-რვა წუთი მეტოქეები ერთმანეთს „ზვერავდნენ", ამის შემდეგ კი ტემპმაც მოიმატა და ორივე კართან მომენტებმაც. პირველი ხიფათი მასპინძლებმა შექმნეს: ალექსანდრე კოშკაძემ საჯარიმო ოსტატურად შეასრულა, მაგრამ „ოლიმპი" **გრიგოლ ბედიაშვილის** ჩინებულმა რეაქციამ გადაარჩინა. ამის შემდეგ სტუმრებს ორი მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ და ორივეჯერ „დინამოს" დაცვის ცენტრი „ჩავარდა", მაგრამ „ოლიმპმა" ეს „საჩუქარი" ვერ შეირგო: ჯერ **ილია**



ოლიმპის ხელმძღვანელმა ჯოზეფ კეიმ (შუაში) თამაშს თვალი შინაურ გარემოცვაში ადევნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

15.04. თბილისი. ბ. პაიჭაძე
2000 მაყურებელი

**დინამო 2**
**ოლიმპი 0**

1:0 რობერტინიო (ჯუისის პასით), 2:0 კოშკაძე (45, რობერტინიოს პასით)

| დინამო | ოლიმპი |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-1-4-1 |
| ლორია | ბედიაშვილი |
| თომაშვილი | ქემოკლიძე |
| ჰომოლა | კვახაძე |
| კაკუბავა | რეხვიაშვილი |
| ხმალაძე | დობროვოლსკი |
| კვეკვესკირი | ტყემალაძე |
| ფირცხალავა | პავლიაშვილი |
| ჯუისი | ი. მაისურაძე |
| კოშკაძე | დ. ბოლქვაძე |
| რობერტინიო | გენაძე |
| ტატანაშვილი | მოდებაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. კაჭარავა | თ. მაისურაძე |

**დინამო**

70. ფირცხალავა - **გ. კვარაცხელია**
74. რობერტინიო - **თექთურმანიძე**
82. ჯუისი - **ლონლაძე**
*სათადარიგოები: ზარქუა, ედნილსონი, მაროვიჩი, სიხარულიძე*

**ოლიმპი**

65. გენაძე - **გ. ქელიძე**
76. ბოლქვაძე - **ქავთარაძე**
*სათადარიგოები: ბათიაშვილი, უგულავა, გორდეზიანი, ქურდობაძე, ბახტაძე*

გაფრთხილება: **ქემოკლიძე (30), რეხვიაშვილი (40), ჯუისი (49), ბოლქვაძე (52)**
არბიტრი: **გ. ვადაჭკორია (თბილისი)**

**პავლიაშვილის** ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მოიგერია გიორგი ლორიამ, შემდეგ კი **გიორგი რეხვიაშვილის** (ამ ახალგაზრდა მცველის ბევრად უკეთესი თამაშებიც გვინახავს...) თავურ დარტყმას მასპინძელთა კართან ქაოსი მოჰყვა, თუმცა საბოლოოდ სიტუაცია განიმუხტა.

» მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



# დინამოს გამოწვევა

« მე-2 გვერდიდან

აი, მომდევნო სახიფათო ეპიზოდი კი მართლაც ეფექტური გოლით დასრულდა: დონალდ ჯუისი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და „სიღრმეში“ მყოფ რობერტინიოს ზუსტი პასი მიაწოდა, ამ უკანასკნელმაც, ერთი შეხებით ბურთი „ოლიმპის“ კარში ზუსტად გაგზავნა - 1:0

ტაიმის ბოლომდე უპირატესობას „დინამო“ ფლობდა და რამდენიმე მწვავე შეტევაც ვიხილეთ: ჯერ მარტო ჯუისს ორჯერ მართებდა გოლის გატანა, მაგრამ არაზუსტად ურტყამდა. თუმცა ტაიმის ბოლო წუთზე „დინამომ“ თავისი უპირატესობა მაინც განამტკიცა: რობერტინიოს ზუსტი პასის მერე კოშკაძემ ბურთი მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეში მიიღო, შემდეგ მოხდენილად გაცდა მეურვეს და „ცაციათი“, ზუსტი და ძლიერი დარტყმით ბედიაშვილს შანსი არ დაუტოვა — 2:0!

აი, „ოლიმპს“ კი პირველი ტაიმის ბოლომდე შეტევაში ხეირიანი არაფერი გაუკეთებია; თუმცა 1:0-ზე იყო ეპიზოდი, როცა სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ ამ საკითხზე მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსთავის გუნდის მწვრთნელ-სელექციონერი **თორნიკე მაისურაძე** ისაუბრებს...

## მოხდენილი პასები და უგოლო ტაიმი

მეორე ტაიმში „დინამო“ რომ შეტევებით თავს არ შეიწუხებდა და სწრაფი კონტრშეტევების იმედად იქნებოდა, ამას რა ბევრი მტკიცება სჭირდებოდა. ასეც მოხდა: მასპინძლებმა, თითქოსდა შეგნებულად დაუთმეს ტერიტორიული უპირატესობა მეტოქეს და დროდადრო მწვავედაც „იჩხლიტებოდნენ“. ასე მაგალითად, ჯუისის ფანტასტიკური პასის შემდეგ რობერტინოს „დუბლის“ შესრულება შეძლო, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციიდან ბედიაშვილს ვერ აჯობა. თუმცა, მანამდე არანაკლებ ჩინებული შანსი ჰქონდა **ირაკლი მაისურაძეს**, ვინც ილია პავლიაშვილის ზუსტი გადაცემის შემდეგ მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ლორიამ ამ შემთხვევაშიც უშეცდომოდ ითამაშა და იმ ეპიზოდშიც, როცა იმავე მაისურაძის „ცხრიანში“ გაგზავნილი ბურთი მოიგერია. „ოლიმპს“ გოლის გატანის კიდევ ერთი შანსი 83-ე წუთზე ჰქონდა, მაგრამ პავლიაშვილს მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი კვლავაც გიორგი ლორიამ მოიგერია. თუმცა, იმის შანსიც იყო, რომ „დინამოს“ ბევრად უფრო შთამბეჭდავი ანგარიშით მოეგო, მაგრამ **გიორგი თექთურმანიძის** ჩინებული ფლანგური გადაცემის შემდეგ **დიმიტრი ტატანაშვილმა** მახვილი კუთხიდან არაზუსტად დაარტყა. მაგრამ, არა გვგონია, „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს თუ კლუბის ხელმძღვანელობას ამის გამო დიდად ენაღვლოთ: ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა გუშინ სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა!

## ხმაურიანი პრესკონფერენცია

მატჩის შემდეგ ჩატარებული პრესკონფერენციები, როგორც წესი, ერთმანეთს ჰგავს: მეტოქე გუნდის მწვრთნელები ერთმანეთს კომპლიმენტებს ეუბნებიან, წაგებული მხარე მუდამ ობიექტურ მიზეზებს ასახელებს, მოგებული კი, თავის გუნდს მადლობას მოუხდის ხოლმე. თუმცა გუშინ, ცოტა არ იყოს, სხვა სურათის მომსწრენი გავხდით. ყოველ შემთხვევაში, „ოლიმპის“ მწვრთნელ-სელექციონერმა (ამავდროულად, კლუბის გენერალურმა დირექტორმაც) თორნიკე მაისურაძემ გუშინ ჟურნალისტების წინაშე, რბილად რომ ვთქვათ, სენსაციური განცხადება გააკეთა:

„მეტოქეს გამარჯვებას მივულოცავ, დაძაბული თამაში იყო და ჩვენს წაგებაში 70 პროცენტი არბიტრის დამსახურებაა. მესმის, რომ შეცდომები ორმხრივი იყოს, მაშინ არაკვალიფიციურობაზე ვილაპარაკებდი, მაგრამ რაც მესამე წრე დაიწყო, არნახულად ვიჩაგრებით: არ გვინიშნავენ პენალტებს, ტყუილუბრალოდ გვიძევებენ და გვიფრთხილებენ ფეხბურთელებს, მომდევნო მატჩები რომ გამოტოვონ. კონკრეტული გვარებიც შემიძლია დავასახელო: ლაშა სილაგავას „დამსახურებაა“, დღეს ჩვენი გუნდი თასის ნახევარფინალში რომ არ თამაშობს; ლევან კვარაცხელიამ „დინამოსთან“ მესამე წრის საშინაო მატჩში კატასტროფულად ცუდად იმსაჯა. დღესაც პირველ ტაიმში, როცა 0:1-ს ვაგებდით, „დინამოს“ კარში ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს — შესვენებაზე ვიდეოფირი ვნახე და ასე დარწმუნებით იმიტომ ვლაპარაკობ. აღარაფერს ვამბობ ყვითელი ბარათების ჩამორიგებაზე: თითქმის ყველა მატჩში „ოლიმპის“ ფეხბურთელებს უმიზეზოდ აფრთხილებენ. მოკლედ, მესამე წრის დაწყებიდან მოყოლებული, მსაჯების მხრიდან არნახულ ზეწოლას განვიცდიდით და იმედია, ფეხბურთის ფედერაცია ამ საკითხს მიხედავს...“

**გია ტუხაშვილი**

*P.S. მეორე ტაიმში თორნიკე მაისურაძე სათადარიგოთა სკამის ნაცვლად მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, — როგორც თვითონ განაცხადა, მსაჯების გადაწყვეტილებით...*

● შეხვედრა ვეტერანებთან

# გიორგი ნემსაძე: თაობებს შორის დაჯგუფებებს ბოლო უნდა მოვუღოთ

„ჩვენ გვინდა, „დინამოს“ გულშემატკივარი დაუბრუნდეს. საამისოდ უახლოეს პერიოდში ბევრი საინტერესო და, იმედია, შედეგის მომტანი აქცია იგეგმება" - საზოგადოებასთან ასეთი ურთიერთობების ჩამოყალიბების სურვილი თბილისის „დინამოს" ახალმა ხელმძღვანელებმა პირველივე განცხადებაში დააფიქსირეს.

ჯერ კლუბის ვეტერანებს, ფანებსა და 23-ე სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ, გუშინ კი „დინამოს" პრეზიდენტი **რომან ფიფია**, კლუბის გენერალური დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** და სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძე** ეროვნული სტადიონზე გუნდის ცნობილ ვეტერანებს მედიის თანდასწრებით შეხვდნენ.

შესაძლოა, სწორედ მედიის ყოფნის გამო, ვეტერანთა ნაწილი არ აქტიურობდა, თუმცა **რევაზ ძოძუაშვილი** იყო ჩვეულ ამპლუაში და შეხვედრა გამოაცოცხლა.

**რომან ფიფია:** „ვეტერანებთან შეხვედრა ტრადიციად უნდა იქცეს. მინდოდა, წარმომედგინა ზურაბ პოლოლიკაშვილი და გიორგი ნემსაძე. პირველი შეხვედრისას ბევრი ვერაფერი გითხარით, რადგან გუნდის გადაფორმებას ველოდით. დღეს ეს პროცესი დასრულებულია.

რა შეიცვალა პირველი შეხვედრის შემდეგ? ბაზის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, ორ-თვენახევარში დასრულდება. ვფიქრობ, ასეთი მასშტაბური სამუშაოები ბაზაზე 40 წელია, არ ჩატარებულა. თქვენი მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს და ვგრძნობ კიდეც მას, რადგან არ მაკრიტიკებთ. „დინამოში" რომ მოვდიოდი, მეუბნებოდნენ, ნახავ, რა დღეში ჩაგაგდებენო. ასე ნამდვილად არ არის და მადლობა თანადგომისთვის.

ყველას მოვუსმენ, მაგრამ მწვრთნელის საქმეში არ ჩავერევი. რამდენიმე ვეტერანს ეს ვუთხარი, რადგან მწვრთნელის მიმართ შენიშვნები ჰქონდათ. მწვრთნელის პროფესია ისეთია, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და ყოველწამს შეიძლება თანამდებობა დატოვოს".

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** „თქვენში უფროს მეგობრებს ვხედავ და იმედია, ჩვენს შორის უშუალო ურთიერთობები ჩამოყალიბდება. ვგრძნობ თქვენს მხარდაჭერას. ასეთი შეკრებები თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩავატაროთ, რადგან წინა შეხვედრაზე, პირად საუბრებში ბევრი საინტერესო იდეა მოვისმინე, ოცნების „დინამოს" კი მხოლოდ ერთად ავაშენებთ.

ბაზის რეკონსტრუქცია აგვისტოში დასრულდება, ევროპული დონის საფეხბურთო აკადემიის ჩამოყალიბება გვსურს. მესმის, რომ დღეს „დინამო" სასურველი ხარისხის ფეხბურთს ვერ აჩვენებს, მაგრამ თქვენნაირი ავტორიტეტული ადამიანების სტადიონზე მოსვლა ჩვენს თამაშებზე სხვებსაც მოიზიდავს. მობრძანდით მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად. საამისოდ გვსურს, ეროვნულ სტადიონზე ერთი სექტორი გამოგიყოთ".

**გიორგი ნემსაძე:** „ჩვენი მიზანი „დინამოსთვის" ძველი იმიჯის დაბრუნებაა. ახალი სეზონიდან ახალი ცხოვრება დაიწყება და ბევრი სიახლეც იქნება. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი დიდი ოჯახი და ისეთი დამოკიდებულება გვქონდეს, როგორც ბაბუას, შვილსა და შვილიშვილს. არ დავმალავ, „დინამოში" ჩემი მოსვლის დღიდან სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებს შორის ყოველთვის იყო დაჯგუფებები. დიდი სურვილი მაქვს, გავერთიანდეთ და ამ დაჯგუფებებს ბოლო მოვუღოთ".

**რევაზ ძოძუაშვილი:** - სულ იმას ლაპარაკობთ, დარბაზში რა ხალხიაო. ამ ძალის უგულებელყოფის შედეგია, ვისაც ადრე ვუგებდით, დღეს რომ გაგვასწრეს. არადა, იგივე ხალხია ფეხბურთში, ვინც ადრე დაგვიშალა „დინამო", ჩვენ კი ვილუპებით. აბა, რა იქნება, როცა ამ ხალხს ვერ ვიყენებთ. აქ ბევრი დაჩაგრული ადამიანია, ვისაც გული გვტკივა. არადა, მინდა ძველებურად თავაწეულებმა ვიაროთ. ვინ წამოსწია საქართველოს ნაკრები? ისევ ფეხბურთელმა და დინამოელმა ქეცბაიამ. ბაზას და ბავშვთა ფეხბურთს ეშველება, მაგრამ ამ ხალხს რატომ არ იყენებთ? ტელევიზიით ისეთი ხალხი გამოდის და ისეთ საზიზღრობებს ლაპარაკობს... 40 წელი უფეხბურთოდ ერთი დღეც არ მიცხოვრია, ერთხელ არ დამიძახეს, რატომ ხარ უმუშევარიო. „ბაიერნში" თუ არის დირექტორი ბეკენბაუერი, ხურცილავა ვერ შეძლებდა? მოგვეცით საშუალება და „დინამოს" ერთ წელიწადში ფეხზე დავაყენებთ. კლუბებში ჩამოიყვანეს უცხოელი მწვრთნელები... შუშაკი, სხვებიც და საიდაც დავიჭირეთ, იქ მოვუგეთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, „დინამო" რომ არ დაიღუპოს.

**რომან ფიფია:** - ბატონო რეზო, „დინამო " არ დაიღუპება.

**რევაზ ძოძუაშვილი:** - მეც ეს მაიმედებს. მოგიყვანთ 16 წლის ბიჭს და ნახავთ, რამხელა ფეხბურთს ითამაშებს.

**რომან ფიფია:** - მოიყვანეთ, სიამოვნებით გავსინჯავთ, მაგრამ მწვრთნელის საქმეში ვერ ჩავერევით. ვითანამშრომლოთ და ვემსახუროთ „დინამოს", დავსხდეთ და ვითათბიროთ, მაგრამ ასე ტრიბუნიდან კრებებზე ლაპარაკობენ. თუ ახლო ურთიერთობა გვინდა, მაგიდაზე ხელი არ უნდა დავარტყათ.

**მურთაზ ხურცილავა:** "მადლობა კლუბის ხელმძღვანელებს ასეთი თბილი შეხვედრისთვის. აქამდე ვეტერანებთან შეხვედრა არ ყოფილა, დიღმის ბაზაზეც არ გვიშვებდნენ. იმედია, ასე აღარ მოხდება. ფეხბურთელებს თქვენ უნდა აჩვენოთ ვეტერანებისადმი სითბო და სიყვარული, თავადაც პატივისცემით რომ განიმსჭვალონ. ჩვენ მეტს არაფერს ვითხოვთ".

**მერაბ მამულაშვილი**





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

15.04. ბოლნისი. [illegible] 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 5 |
| სამტრედია | 0 |

1:0 რ. ჯიქია (23. გოგობერიშვილის პასით), 2:0 დიდავა (27. პენ.), 3:0 ისიანი (55), 4:0 გოგობერიშვილი (71), 5:0 რ. ჯიქია (73)

| სიონი 4-4-2 | სამტრედია 4-5-1 |
|---|---|
| გოგლიაშვილი | კეკელიძე |
| კოზაური | ენდელაძე |
| სვანიძე | გოგია |
| ორბელაძე | კირთაძე |
| ადამაშვილი | ჩხიკვაძე |
| დიდავა | გურჯანაძე |
| გოგობერიშვილი | გ. მიქაბერიძე |
| ქუცურუა | ლომაშვილი |
| ჩირიკაშვილი | რუხაია |
| რეხვიაშვილი | ი. ხვადაგიანი |
| რ. ჯიქია | გოგიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ხ. ქასრაშვილი | მ. ანჯაფარიძე |

**სიონი**

46. ადამაშვილი – **ისიანი**
46. რეხვიაშვილი – **შალამბერიძე**
69. ქუცურუა – **ქორიძე**

სათადარიგოები: ზუხბაია, თარგამაძე, გ. ოქროპირიძე, ლ. ჩხეტიანი

**სამტრედია**

23. რუხაია – **ალავერდაშვილი**
64. ხვადაგიანი – **ა. შენგელია**
76. კეკელიძე – **ბანძავა**

გაფრთხილება: გოგია (26), ისიანი (50), შენგელია (89)

არბიტრი: ჯ. ხორავა

# გაჭირვებას რა ვუთხარი...

„სამტრედია" ბოლნისში არაოპტიმალური შემადგენლობით და 14 ფეხბურთელით ჩავიდა - ვფიქრობთ, მატჩის შედეგს მეტი ახსნა არც სჭირდება. როცა ორი მეტოქე გუნდიდან ერთს ნორმალური საარსებო პირობები აქვს და არც კვალიფიციური ფეხბურთელების ნაკლებობას განიცდის, ხოლო მეორისთვის არათუ ხელფასების, არამედ გზის ფულიც პრობლემად ქცეულა, ანგარიშიც არ უნდა გაგვიკვირდეს. ის კი არა, მასპინძლებმა კიდევ არაერთი საგოლე მომენტი გაანიავეს, რომელთა აღწერითაც თავს არ შეგაწყენთ.

სტუმრებს ენერგია და ფიზიკური მომზადება მხოლოდ შეხვედრის დებიუტში ეყოთ, რის შემდეგაც „სიონი" მოედნის სრული ბატონ-პატრონი გახდა. **ხვიჩა ქასრაშვილის** ბიჭებს ხელისშემშლელი არავინ ჰყავდათ და ისინიც მაქსიმალურად ეცადნენ, სტადიონზე კანტიკუნტად შეკრებილი ბოლნისელები ლამაზი კომბინაციებითა და გოლებით გაეხარებინათ.

**რევაზ ჯიქიამ ალექსანდრე გოგობერიშვილის** მახვილგონივრული გადაცემა გამოიყენა და ანგარიში თავურით გახსნა. ესენი შემდგომშიც იყვნენ „სიონის" შეტევათა მთავარი მოქმედი პირები.

27-ე წუთზე კი მასპინძლებმა ანგარიში გააორეს და ყველაფერი გაირკვა. **სპარტაკ გოგიამ** საჯარიმოში ხელით ითამაშა, თერთმეტმეტრიანი კი გამოცდილმა **გივი დიდავამ** გამოიყენა.

„სიონმა" პირველ ტაიმში ეს იკმარა, მეორეში კი საქმეში შეცვლაზე შესულებიც ჩაერთვნენ და თამაში, უფრო ზუსტად კი, ბოლნისელთა თამაში, კიდევ უფრო გამოცოცხლდა. შესვენების შემდეგ გასული სამივე გოლი მეტად ეფექტური გამოდგა.

სტუმრები **კობა შალამბერიძეს** ეუხეშნენ, მაგრამ მსაჯმა მართებული გადაწყვეტილება მიიღო და „სიონის" შეტევა არ შეაჩერა. იერიში **ვილი ისიანის** მიერ დაახლოებით 25 მეტრიდან შესრულებული დარტყმით დასრულდა – ბურთი სტუმართა კარის ცხრიანში გაეხვია – 3:0.

გოგობერიშვილსა და ჯიქიაზე გოლები ალალი იყო და ორივემ ულამაზესად გაიტანა. პირველმა საჯარიმოს მისადგომებიდან გადაუგდო ბურთი თავზე მეკარეს, მეორემ კი იგივე მოედნის ცენტრს ოდნავ გაცდენილმა გააკეთა.

„სიონი" ამ გამარჯვებით წელში კიდევ უფრო გაიმართა და გასავარდნ ზონას დამაჯერებლად შორდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბოლნისი-თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა


გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ზღვის ჰაერი თემქაზეცაა

15.04. თბილისი. შატილი
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| კოლხეთი | 1 |

0:1 მდივნიშვილი (64)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | კოლხეთი 4-1-4-1 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | ძაგანია |
| ხურცილავა | ცხვიტარია |
| ადამაძე | ინწკირველი |
| კასრაძე | მახვილაძე |
| ლანიაშვილი | მეგრელიშვილი |
| ვასაძე | გოგონაია |
| გურ. გურეშიძე | ჯანაშია |
| კორიფაძე | სიჭინავა |
| მაისაშვილი | გავაშელიშვილი |
| ჯანელიძე | გვალია |
| ჩიმაკაძე | მდივნიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. კოჭლაშვილი | ს. ფილია |

**ვიტ ჯორჯია**

60. კორიფაძე - **როსტიაშვილი**
73. მაისაშვილი - **გიორგი გურეშიძე**
75. ჩიმაკაძე - **გაბრიჭიძე**

სათადარიგოები: ძაძამია, გოგიაშვილი, ზაქრაძე, დვალიშვილი

**კოლხეთი**

32. გავაშელიშვილი - **კვერენჩხილაძე**
68. მდივნიშვილი - **ნიქარიშვილი**
75. ჯანაშია - **გულუა**

სათადარიგოები: ლობჟანიძე, გელაჭეიშვილი, მოისწრაფიშვილი

გაფრთხილება: მეგრელიშვილი (43), ხურცილავა (87)

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

მერე რა, რომ თბილისის ზღვა შავ ზღვასთან შედარებით მცირე მასშტაბისაა, თემქის ზოგიერთ უბანში ზღვის ჰაერი მაინც ტრიალებს. ჰოდა, დასავლეთიდან თბილისში ჩასული ფოთის „კოლხეთის" ფეხბურთელები „შატილზე" თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ „ფაზისზე".

მათ „ვიტ ჯორჯიასთან" დაპირისპირებამდე გასავარდნი ზონისგან სამი ქულა აშორებდათ და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ. ამიტომ ძალიან მონდომებულები ჩანდნენ... თუმცა ბევრი ვერ ახერხებს მონდომების ტაქტიკურ უპირატესობაში გარდასახვას. „კოლხეთმა" ეს შეძლო: პირველ ტაიმში მოედნის შუაში მოიპოვა მცირე უპირატესობა, შეტევისას ფლანგებსაც ხშირად იყენებდა... მაგრამ პირველ ნახევარში ღირებული ვერაფერი შექმნა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები კარგად თამაშობენ დაცვიდან. შესაბამისად, ბურთიც ერთი თუ მეორე საჯარიმოს იშვიათი სტუმარი იყო. ყველაზე სახიფათო მომენტი პირველი ნახევრის ბოლო წუთზე შეიქმნა - შორეულ ჩაწოდებულს **ადამაძემ** თავი დაუხვედრა და ბურთი მცირედით ასცდა „კოლხეთის" კარს.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ" მოედნის შუაში მოიპოვა უპირატესობა, რასაც თითქოს სტუმართა კართან სახიფათო მომენტების მატება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მატჩი ისე დასრულდა, მასპინძლებს რეალური საგოლე ეპიზოდი არ შეუქმნიათ. კოლხები კი ჩასაფრებულები იყვნენ - საკმარისი იყო, მოედნის ცენტრალურ ხაზთან ვიტელებს ბურთი დაეკარგათ, რომ მასპინძელთა კართან საგოლე მომენტს ქმნიდნენ. ჯერ **ჯანაშიამ** იტრიალა მასპინძელთა საჯარიმოში, მაგრამ მეკარემ აუღო, 64-ე წუთზე კი სწრაფი შეტევა ჩაწოდებით გააგრძელეს, თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მყოფმა **კვერენჩხილაძემ მდივნიშვილი** შენიშნა, ერთი შეხებით ბურთი დასარტყმელად გაუმზადა და - 0:1.

„ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელს მდგომარეობის გამოსასწორებლად სათადარიგოების დახმარება დასჭირდა, შეცვალა მარჯვენაფლანგელი **კორიფაძე**, რომელიც პირველ ტაიმში ყველაზე აქტიური იყო. ამ ცვლილებამ ვიტელთა მარჯვენა ფლანგს დატვირთვა მოაკლო - შეტევათა უმეტესობამ ცენტრისკენ გადაინაცვლა, მაგრამ ვერც ამ მიმართულებამ მოიტანა შედეგი. თუკი მატჩის ოქმს გადახედეთ, გემახსოვრებათ, რომ შეხვედრა „კოლხეთმა" 1:0 მოიგო.

გახარებული იყო სტუმართა თავკაცი **სოსო ფილია**:

- ყველა ფეხბურთელმა პირნათლად შეასრულა დავალება. მთავარი იყო, რომ ბიჭებს მონდომება აშკარად ეტყობოდათ, რაც დაუფასდათ კიდეც. თუმცა, ამით არაფერი დასრულებულა - წინ უფრო ძნელი მატჩები გველის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

15.04. ქუთაისი. ტორპედო
5000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| ბაია | 0 |

1:0 კვარაცხელია (32.სეთურიძის პასით) 2:0 მეგრელაძე (50. პენ)

| ტორპედო 4-4-2 | ბაია 4-5-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | სომხიშვილი |
| ფოფხაძე | აფაქიძე |
| ფარულავა | აქუბარდია |
| ს. თოდუა | რ. ონიანი |
| ჩიკვილაძე | გამრეკლიძე |
| გ. სეთურიძე | სიხარულია |
| დილმელაშვილი | რიგვავა |
| ქებაძე | წურწუმია |
| დოლიძე | შ. ლომია |
| ვ. კვარაცხელია | ვართაგავა |
| მეგრელაძე | ქობალია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გიგატაძე | ე.ქომეთიანი |

**ტორპედო**

46. თარხნიშვილი - **ქებაძე**
59. მეგრელაძე - **საბანაძე**
67. დოლიძე - **გ. ჩხეტიანი**

სათადარიგოები: ქვილითაია, გოცირიძე, მაჭავარიანი, ბაკურაძე

**ბაია**

53. გამრეკლიძე - **ქვარცხავა**
53. ვართაგავა - **ეხვაია**
69. ლომი - **შონია**

სათადარიგოები: მაქაცარია, სვირავა, ჩანგელია, სამუშია

გაფრთხილება: გამრეკლიძე (14), წურწუმია (37), სომხიშვილი (50), დილმელაშვილი (66), სიხარულია (79), საბანაძე (85)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# განწყობა თასისთვის

სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდების დაპირისპირება მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. „ბაიამ" ბევრი იბრძოლა, მაგრამ „ტორპედო" უკეთ გამოიყურებოდა (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) და კარგი თამაში ლოგიკური გამარჯვებით დააგვირგვინა. ამ მოგებით ქუთათურებმა სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად „ზესტაფონთან" თასის ნახევარფინალური თამაშის წინ კარგი განწყობაც შეიქმნეს.

შეხვედრა საკმაოდ დუნედ დაიწყო, შემდეგ კი მასპინძლების უპირატესობა გამოიკვეთა. მე-7 წუთზე ცენტრში **ვართაგავა** შეცდა, ბურთი **დოლიძეს** მიუვიდა, რომელმაც დაახლოებით 20 მეტრი ირბინა, მცველები მოატყუა, კარშიც დაარტყა, მაგრამ **სომხიშვილს** არ გასჭირვებია ბურთის აღება. ტაიმის შუაწელამდე ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და 30-ე წუთამდე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თამაში **კვარაცხელია-დილმელაშვილი-ფოფხაძის** მწვავე კომბინაციამ გამოაცოცხლა, ფოფხაძის ჩაწოდებულ ბურთს კვარაცხელია ვერ შესწვდა და მდგომარეობა განიმუხტა. რიონისპირელებმა მალე გოლიც გაიტანეს. 32-ე წუთზე დოლიძემ სეთურიძეს გადააწოდა, მის ჩაწოდებულზე კი კვარაცხელიამ იმარჯვა და მცველებთან ორთაბრძოლაში შედეგიანად დაარტყა. ქუთათურებს ანგარიშის გაზრდა მალევე შეეძლოთ, მაგრამ სეთურიძის ჩაწოდებულს დოლიძემ ვერ მიაყოლა საგოლე დარტყმა. ზუგდიდელებიც არ ყოფილან გულხელდაკრეფილნი, ისინი პერიოდულად საკმაოდ სახიფათოდ უტევდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ **წურწუმია** და **რიგვავა**. ამ უკანასკნელმა 38-ე წუთზე კარგ პოზიციაზე გაიყვანა **ლომია**, რომელმაც ზუსტად ვერ დაარტყა. მე-40 წუთზე **ჩიკვილაძის** 50-მეტრიანი პასი კვარაცხელიამ ვერ გამოიყენა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მას მცველები უშლიდნენ ხელს. მერე კი **ფარულავა**-დოლიძის კომბინაცია **მეგრელაძემ** ვერ დააგვირგვინა, რომელიც ამ ეპიზოდში ბურთს ვერ შესწვდა.

მეორე ნახევარი „ტორპედოს" დიდი უპირატესობით დაიწყო და შედეგმაც არ დააყოვნა. 50-ე წუთზე დოლიძემ მეგრელაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, სომხიშვილმა ქუთაისელთა ბომბარდირი წესების დარღვევით შეაჩერა და პენალტთან ერთად ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. თერთმეტმეტრიანი მეგრელაძემვე შეასრულა და მონაგარს კიდევ ერთი გოლი შემატა. 53-ე წუთზე დილმელაშვილის საჯარიმო დარტყმა ასცდა ხარიხას. იქვე დოლიძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ სეთურიძემ ძელი „მოიკითხა". ამის შემდეგ „ტორპედო" მოეშვა და ზუგდიდელებს გატანის შანსები გაუჩნდათ. **წურწუმიამ** შეცვლაზე შესული **ეხვაია** ორჯერ გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ორივეჯერ მიგინეიშვილმა იმარჯვა. ბოლო აკორდი ქუთათურებისა იყო - დილმელაშვილის კუთხურისა და ჩიკვილაძის თავურის შემდეგ ბურთი ძელისა და ხარიხის გადაკვეთას მოხვდა, შემდეგ კი საქმეში მეკარე ჩაერთო და გუნდი მესამე გოლისგან იხსნა.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

## ● ახალგაზრდული ნაკრები

# საუდელებმა მიგვიქიზ მოგვიქიზეს და, არაო

არნემის „ვიტესის" ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ **გიორგი ჭანტურია** 20-დან 23 აპრილამდე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს. როგორც ცნობილია, სწორედ აპრილის ბოლოს გეგმავდა **ოთარ გაბელია** საუდის არაბეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას.

თუმცა ჭანტურიას ჩამოსვლა და ნაკრებში თამაშის საშუალება არ მიეცემა, რადგან საუდის არაბეთში ჩვენი გუნდი არ გაემგზავრება.

*„არაბები ძალიან უცნაურად მოიქცნენ. ჯერ თავად შემოგვთავაზეს შეხვედრის გამართვა, ორი სავარაუდო დღე შეარჩიეთ, როდის გიჯობთ ჩამოსვლაო. პირველად გვითხრეს, 24-ში ვითამაშოთო, შემდეგ გადათქვეს და, 22-ში ხომ არ შევხვდეთო. მერე მიკიბვ-მოკიბვა დაიწყეს და ბოლოს უარი შემოგვითვალეს, უკაცრავად, თამაში აღარ გამოდისო. არადა, ეს იდეა თავად ეკუთვნოდათ.*

*ახლა ვმუშაობთ, რომ 3 ივნისს ხორვატიასთან მატჩამდე ამხანაგურად ერთხელ მაინც ვითამაშოთ და კანდიდატებს დავაკვირდეთ. ავსტრიულმა ტურნირმა დაგვანახვა, რომ გუნდის დაკომპლექტებამდე სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი. ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას რამდენიმე ფედერაციასთან აწარმოებს და იმედია, ხორვატიამდე კანდიდატების შემოწმების საშუალება მოგვეცემა.*

*ის კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ხორვატიამდე ათდღიან შეკრებას ჩავატარებთ. იმ დროისთვის ჩემპიონატები დასრულდება და უცხოეთის კლუბებიდან კანდიდატების გამოძახების პრობლემა აღარ შეგვექმნება, ფიფას კალენდარი ხელს ვერ შეგვიშლის"*- ამბობს გაბელია.

ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ადასტურებს, რომ სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს:*"ცხადია, კანდიდატებს მანამდეც დავაკვირდებით. უკვე ვთქვი, რომ სერიოზული ცვლილებები იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად გადავუსვამთ ხაზს ყველას, ვინც ავსტრიაში თავი ვერ გამოიჩინა. მათ ჩემპიონატის დარჩენილ ტურებშიც დავაკვირდებით, იქნებ, ვინმე უკეთ ათამაშდეს. ცხადია, ახალ კანდიდატებსაც ვეძებთ".*

გაბელიას არა მხოლოდ კანდიდატების კონდიციები, რუსეთში მოთამაშე ქართველების გამოძახებისას არსებული პრობლემებიც ადარდებს:*"ძალიან მაფიქრებს ის ამბავი, რომ რუსეთში მოთამაშე ქართველებს სავიზო პრობლემები ექმნებათ. არაბეთში მატჩის გამართვის იმედად ყაზანის "რუბინის" მცველების, საბა კვირკველიასა და ავთანდილ ბრაჭულის გამოძახება მსურდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ვერ ჩამოვიდოდნენ, რადგან კლუბში დაბრუნების პრობლემა შეექმნებოდათ. რუსეთში ჩემთვის გაუგებარი კანონები მოქმედებს, ბიჭებს კლუბთან კონტრაქტები აქვთ გაფორმებული, მაგრამ რუსეთიდან თუ გავლენ, ვიზა უუქმდებათ და ხელახლა აღება სჭირდებათ, რასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ისე ფორმიდან ამოვარდებიან და, ცხადია, სათამაშო პრაქტიკაც არ ექნებათ. ეს კი სერიოზული პრობლემაა და არ ვიცი, როგორ მოგვარდება".*

შეგახსენებთ, რომ ხორვატიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები 3 ივნისს დუგოპოლიეში ითამაშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## ● ლეგიონერები

# ოქრიაშვილის კოჭი მორჩა



უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში ლვოვის „კარპატისთან" შეხვედრაში მარიუპოლის „ილიჩივეცი" 1:3 დამარცხდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად რამდენიმე უკრაინულმა მედიასაშუალებამ 19 წლის ქართველი ნახევარმცველის **თორნიკე ოქრიაშვილის** არყოფნა დაასახელა.

თორნიკეს ლვოველებთან მატჩამდელ ვარჯიშზე კოჭი გადაუტრიალდა და მკურნალობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და ოქრიაშვილი მოედანს მალე დაუბრუნდა.

*„უკვე კარგად ვარ და ორი დღეა, გუნდთან ერთად ჩვეულებრივი დატვირთვით ვვარჯიშობ. ალბათ, 16 აპრილს ლუცკის "ვოლინთან" ვითამაშებ კიდეც. ეს შეხვედრა გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და იმედია, მეც ვითამაშებ და გუნდიც მოიგებს"* – გვითხრა ოქრიაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ილურიძე დაღესტნურ შანსს ელის

## კლიმიაშვილი უკვე ანჟიში ვარჯიშობს


ირაკლი კლიმიაშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი **გიორგი ილურიძე** მახაჩყალის "ანჟის" დუბლშემადგენლობაში საკმაოდ წარმატებით თამაშობს – ოთხ შეხვედრაში გუნდმა ორი გოლი გაიტანა და ორივე ქართველის ანგარიშზეა.

შარშან 19 წლის თავდამსხმელმა დაღესტნურ გუნდში ხუთჯერ ითამაშა, აქედან ერთხელ ძირითადში, მიმდინარე სეზონში კი 18-კაციან განაცხადში ერთხელაც არ მოხვედრილა.

*"მიჭირს თქმა, მომცემენ თუ არა ძირითად გუნდში თამაშის საშუალებას. ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი არაფერს მეუბნება, მაგრამ მაინც მონდომებული ვვარჯიშობ და ველოდები, როდის მომცემს შანსს. მას მხოლოდ თურქული შეკრების დროს ველაპარაკე, მითხრა, ძირითადში მოსახვედრად აქედანვე უნდა იფიქროო, ამის შემდეგ აღარ გვილაპარაკია. ახლა გუნდში ისეთი ძლიერი ფეხბურთელები მოიყვანეს, ძირითადში კი არა, გუნდში მოხვედრაც ძნელია, მაგრამ ვცდილობ, დუბლებში თავი გამოვიჩინო და მწვრთნელის ნდობა დავიმსახურო"* – გვითხრა ილურიძემ.

დაღესტნურ კლუბში თებერვალში **ირაკლი კლიმიაშვილიც** ჩაირიცხა, თუმცა გუნდის განაცხადში არ ჩანდა. ილურიძის თქმით, კლიმიაშვილს სავიზო პრობლემები ჰქონდა:*"ირაკლი განაცხადში ვერც მოხვდებოდა, რადგან ვიზის პრობლემა ჰქონდა, მაგრამ უკვე გუნდთან ერთად არის და მალე ითამაშებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტურის წინ

# რატომ ვერ უნდა მოიგოს ლივერპულმა?

**დღეს, 18:00**
**ბირმინგემი – სანდერლენდი** VS
**ტრავმა:** ჯირანიეკი, ბენტლი, მ. ტეილორი, ვალესი, მაკფადენი, ს. დანი - მენსა, ფ. კემპბელი, ბრამბლი, მეილერი

**დღეს, 18:00**
**ვესტ ბრომვიჩი – ჩელსი** VS
**დისკვალიფიკაცია:** პაპოე (ჩელსი)
**ტრავმა:** იბანიესი, დორანსი - რამირესი, ალექსი

**დღეს, 18:00**
**ბლექპული – უიგანი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ფიგეროა (უიგ)
**ტრავმა:** გილკსი, ბეშემი, გ. კლარკი (ბლექპ)

**ხვალ, 18:00**
**ვესტ ჰემი – ასტონ ვილა** VS
**დისკვალიფიკაცია:** დივაინი (ასტ)
**ტრავმა:** სტანისლასი, კოლისონი, კურუჟი (ყველა ვესტ ჰემი)

**დღეს, 18:00**
**ევერტონი – ბლექბერნი** VS
**დისკვალიფ:** ნზონზი, გულონი (ბლექბ)
**ტრავმა:** ტ. კეჰილი, კოულმენი, ბაქსტერი, როდუელი, საა, არტეტა, ფელაინი - ენდრიუსი, ჯაილა

**ხვალ, 19:00**
**არსენალი – ლივერპული** VS
**დისკვალიფიკაცია:** კოდი (ლივერპ)
**ტრავმა:** რემსი, დენილსონი, დჯურუ, შჩესნი, ფაბიანსკი, ვერმაელენი - აგერი, გ. ჯონსონი, ჯერარდი, შილვი



ყველაფერი დღესავით ნათელია: „არსენალმა" ხვალ „ლივერპულთან" რომ ნააგოს, უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მეთოფეებს" წლეულსაც ჩაუვარდებათ კოვზი ნაცარში. სხვა სიტყვებით, **არსენ ვენგერის** გუნდს ექვსი სეზონის განმავლობაში არაფერი ექნება მოპოვებული, მეშვიდე სეზონის საქმე კი ერთი წლის შემდეგ გამოჩნდება. ასე რომ, შეწყვიტეთ ოცნება, ბატონებო!

შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ ლონდონში „ლივერპული" „არსენალის" მომგები არ არის. ვინ იცის... ერთი ფაქტია, რომ მერსისაიდელებმა ორშაბათს დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს - „მანჩესტერ სიტის" 3:0 სძლიეს. ორი გოლი **ენდი ქეროლმა** გაიტანა, ხოლო ერთი **დირკ კუიტმა**. თვალსა და ხელს შორის იხვეწება ქეროლისა და **ლუის სუარესის** წყვილი. ცნობისთვის: „წითლებს" „არსენალისთვის" ლონდონში 2000 წლის მერე არ მოუგიათ, მაგრამ ქეროლი დარწმუნებულია, რომ ნავსის გასატეხად ყველაფერი მზად არის:

*„არანაირი მიზეზი არ არსებობს საიმისოდ, რომ ჩვენ „არსენალი" ლონდონში ვერ დავამარცხოთ. ბიჭები საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები არიან. მთავარია მოვინდომოთ და გარწმუნებთ, ლონდონელები ბურთის გასაგორებლად ვერც ადგილს ნახავენ და ვერც დროს".*

ქეროლმა სუარესზეც ილაპარაკა. მოგეხსენებათ, ურუგვაელი მის მსგავსად იანვარში შეუერთდა მერსისაიდელებს და გულშემატკივარს უკვე თავი შეაყვარა. ქეროლმა თქვა:

*„ლუისი დიდი ფეხბურთელია. თქვენ შეგიძლიათ მისი ოსტატობა ყოველ შეხვედრაში ნახოთ და შეაფასოთ. ჩვენ ვარჯიშებზე ბევრს და წარმატებით ვმუშაობთ. ჩემი და მისი პარტნიორობა ტურიდან ტურამდე უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება".*

„არსენალი" იმედოვნებს, რომ მცველი **ყოან ჯურუ** და მეკარე **ვოიცეხ შჩესნი** დაშავებულთა სიიდან ამოეწერებიან და თამაშის განაცხადში მოხვდებიან. შჩესნის გამოჯანმრთელების შემთხვევაში, **არსენ ვენგერს** კარში 41 წლის **იენს ლემანის** დაყენება აღარ დასჭირდება. არადა, თუ გახსოვთ, გასულ კვირას, ბლექპულში, როდესაც უშუალოდ მატჩის წინ მეკარე **მანუელ ალმუნია** დაშავდა, „არსენალის" თავკაცი იძულებული გახდა კარში სწორედ ლემანი ჩაეყენებინა — კაცი, რომელსაც ფეხბურთისთვის თავი უკვე დანებებული ჰქონდა.

„ჩელსი" დღეს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" სტუმრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ლურჯებს", რომელთაც ჯერ კიდევ შეიძლება ინგლისის ჩემპიონები ვუწოდოთ, „არსენალთან" მიახლოების შანსი ეძლევათ. თუ დასავლეთ ლონდონელები მოიგებენ, „არსენალს" და მათ შორის სხვაობა 24 საათით მაინც შემცირდება ერთ ქულამდე, ხოლო თუ მოხდება ის, რაც ჩვენი წინათქმის პირველ აბზაცში გვიწერია, მაშინ ერთქულიანი სხვაობა შენარჩუნდება კიდეც. „ჩელსის" ბრაზილიელები, **რამირესი** და **ალექსი** არ ეყოლება.

„მანჩესტერ იუნაიტედსა" და „მანჩესტერ სიტის" სათასო შეხვედრა აქვთ და ჩემპიონატის შეხვედრას სტოვებენ.

ცხრილის ფსკერზე „ბლექპული" „უიგანს" მასპინძლობს — ეს შეხვედრა ეგრეთ წოდებულ ექვსქულიანთა კატეგორიას განეკუთვნება. საყურადღებოა „ბირმინგემისა" და „სანდერლენდის" დაპირისპირებაც.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 70-32 | 69 |
| 2. არსენალი | 31 | 18 | 8 | 5 | 62-30 | 62 |
| 3. ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 55-25 | 58 |
| 4. სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50-30 | 56 |
| 5. ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44-36 | 53 |
| 6. ლივერპული | 32 | 14 | 6 | 12 | 45-38 | 48 |
| 7. ევერტონი | 32 | 10 | 14 | 8 | 45-41 | 44 |
| 8. ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46-43 | 43 |
| 9. ნიუკასლი | 32 | 10 | 9 | 13 | 48-47 | 39 |
| 10. ვესტ ბრომ. | 32 | 10 | 9 | 13 | 46-59 | 39 |
| 11. ფულჰემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36-35 | 38 |
| 12. სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39-42 | 38 |
| 13. სანდერლენ. | 32 | 9 | 11 | 12 | 35-45 | 38 |
| 14. ასტონ ვილა | 32 | 9 | 10 | 13 | 40-53 | 37 |
| 15. ბლექბერნი | 32 | 9 | 8 | 15 | 40-52 | 35 |
| 16. ბირმინგემი | 31 | 7 | 14 | 10 | 31-43 | 35 |
| 17. ბლექპული | 32 | 9 | 6 | 17 | 46-66 | 33 |
| 18. ვესტ ჰემი | 32 | 7 | 11 | 14 | 38-56 | 32 |
| 19. ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36-56 | 32 |
| 20. უიგანი | 32 | 6 | 13 | 13 | 29-52 | 31 |

**ბომბარდირები:** 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 13 - ბენტი (ასტონ ვილა), ქეროლი (ნიუკასლი); 12 - ვან პერსი (არსენალი), ნოლანი (ნიუკასლი); 11 - ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი), ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი).

ინგლისი. ფეხბურთის ასოციაციის თასი

**ნახევარფინალი**
**მანჩესტერ სიტი–მანჩესტერ იუნ**

**დისკვალიფიკაცია:** - რუნი, ბლეკეტი, მორისონი, ევანსი (იუნ)
**ტრავმა:** ტევესი, ბოატენგი, რიჩარდსი, გივენი (სიტი)

**ბოლტონი–სტოკი**

**ტრავმა:** კ. დევისი, ჰოლდენი, შ. დევისი, რიკეტსი - ფაიე, ჰიგინბოტემი, კარეუ, სიდიბე

# უემბლიდან უემბლისკენ

„ეს ჩვენი სიტია" — წერია მანჩესტერის ისტლენდში, დიდ პლაკატზე, იქ სადაც „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმი" მდებარეობს. და ვინაიდან სიტი ინგლისურად ქალაქს ნიშნავს, გამოდის, რომ „მანჩესტერ სიტის" გულშემატკივარს მთელი ქალაქის ბატონ-პატრონობაზე აქვს პრეტენზია, არადა იქ... თვით „მანჩესტერ იუნაიტედი" ბინადრობს. დღეს, საქართველოს დროით 20 საათსა და 15 წუთზე, მანჩესტერული გუნდები ერთმანეთს ხვდებიან. ეს იქნება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალური მატჩი, რომელიც ლონდონში, „უემბლიზე" გაიმართება — ასეთი წესი აქვთ ინგლისელებს, ნახევარფინალების მერე, ქვეყნის მთავარ არენაზე თამაშობენ.

ისტლენდელებს ლონდონში თამაშთან დაკავშირებითაც აქვთ თავიანთი ხუმრობა — გინდა ლონდონში გვითამაშია და გინდა შინ, „იუნაიტედის" ფანები ხომ დედაქალაქში არასდროს ყოფილან და „უემბლის" ვერ მიაგნებენო. თუმცა, ეს ის ხუმრობაა, რომელშიც სიმართლის მარცვალი არ არის. ჯერ ერთი, მანჩესტერიდან ლონდონში მიმავალ ავტობუსებსა და მატარებლებზე ბილეთის შოვნა გუშინვე გამორიცხული იყო და ამ ზღვა ხალხს შორის სულ მცირე, ნახევარი წითელი მაისურით მიემურებოდა დედაქალაქისკენ. გარდა ამისა, „იუნაიტედის" ფანები ლონდონში ნამყოფები არიან — „უემბლის" რეკონსტრუქცია 2007 წელს დასრულდა, რის მერეც ისინი იქ უკვე ცხრაჯერ(!) იყვნენ. აი, რაც შეეხება „სიტის", მისი საქმე ცოტა სხვანაირადაა. „უემბლის" გზა თუ ვინმეს დაავიწყდა ეს „სიტის" ხალხია, რომელიც ბოლოს 1999 წელს, მეორე ლიგის პლეი-ოფის ფინალში იყო ქვეყნის მთავარ სტადიონზე. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: 1999 წელს! ოთხი დღით ადრე „იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო. და ეს, ჯერ კიდევ, რეკონსტრუქციამდელი, ძველი უემბლი იყო.

თუმცა დღეს „მანჩესტერ სიტი" უკვე სხვა გუნდია. ახლა „სიტისა" და „იუნაიტედს" შორის განსხვავება ისეთივე პატარაა, როგორიც 1980-იან წლებში იყო. ისტლენდელები არაბეთიდან მოდენილმა მილიონებმა შეცვალა და მართალია პრემიერლიგის ჩემპიონობამდე ჯერ შორს არიან, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალს იმედის თვალით შეჰყურებენ. ბოლო წლებში მანჩესტერული დერბი, მართალია, ისევ „იუნაიტედის" სასარგებლოდ მთავრდება, მაგრამ „სიტი" იოლად დასამარცხებელი გუნდი აღარ არის. ამიტომაც ელოდებიან, რომ დღეს, „უემბლის" მისადგომებთან, ბილეთის ფასი პირველად გადააჭარბებს 100 ფუნტს — 115 ფუნტი იქნება.

დღევანდელ შეხვედრას ერთი უცნაურობა სჭირს, ფეხბურთელი, რომელსაც გუნდის თილისმა შეიძლება ვუწოდოთ, არც ერთს ჰყავს და არც მეორეს - „იუნაიტედს" დისკვალიფიცირებული **უეინ რუნი** აკლია, ხოლო „სიტის" **კარლოს ტევესი**. სავარაუდოდ, მწვრთნელები, სერ **ალექს ფერგიუსონი** და **რობერტო მანჩინი დიმიტარ ბერბატოვსა** და **მარიო ბალოტელის** ათამაშებენ.

მანჩინიმ „სიტის" ფეხბურთელებს ერთსულოვნებისკენ მოუწოდა. იტალიელი მწვრთნელის აზრით, მანჩესტერულ დერბიში მხოლოდ ასე შეიძლება გამარჯვება. ერთსულოვნებაზე კი იმიტომ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ბოლო ხანს ჟურნალისტებმა ისტლენდელთა რიგებში ბევრი უკმაყოფილო ფეხბურთელი დათვალეს. გასულ ორშაბათს **ჯეიმს მილნერმა** გამოხატა უკმაყოფილება, როდესაც მანჩინიმ ის „ლივერპულთან" შეხვედრაში შეცვალა.

*„ახლა ერთმანეთთან პრეტენზიების ქონა დიდი სისულელე იქნება, რადგან ფეხბურთელებს, ჩემი არ იყოს, ტიტულის მოპოვების დიდი შანსი აქვთ. „სიტის" მოთამაშეებისთვის ეს პირველი ჯილდო იქნება. კარიერის განმავლობაში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოდი და ვფიქრობ, ისინიც ასე უნდა იყვნენ. დარწმუნებული ვარ, თუ „მანჩესტერ იუნაიტედის" ბარიერს დავძლევთ და ფინალში გავალთ, თასს მოვიპოვებთ. თასის მოპოვება კი გუნდის მენტალიტეტის შეცვლას ნიშნავს. „მანჩესტერ სიტი" მთელ მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალა გახდება".*

ჟურნალისტებმა აზრი რუნისაც ჰკითხეს. დისკვალიფიცირებულმა ვარსკვლავმა თქვა: *„მეც იმავეს გეტყვით, რასაც ნებისმიერი ფეხბურთელი გეტყოდათ: ტრიბუნაზე ჯდომისას გაცილებით მეტს ვნერვიულობ, ვიდრე თამაშის დროს. ნებისმიერი მატჩის გამოტოვება გულდასაწყვეტია, ასეთი დიდი დაპირისპირებისა კი განსაკუთრებით. რაც შეეხება შანსებს, ვფიქრობ, ის ჩვენ მეტი გვაქვს და ბიჭები ყველა ღონეს იხმარენ, რათა ფინალში გავიდნენ".*

მანჩესტერულმა დერბიმ სულ ჩაყლაპა მეორე ნახევარფინალური შეხვედრა „ბოლტონსა" და „სტოკს" შორის, რომელიც „უემბლიზევე" ხვალ, საქართველოს დროით 19 საათზე გაიმართება. დიდი შანსია, ხვალინდელ შეხვედრაში გამარჯვება ამ გუნდებისთვის მომავალ სეზონში ევროლიგაზე გასვლას ნიშნავდეს, რაც უთუოდ დიდი მიღწევა იქნება. რასაკვირველია, გამარჯვებულისთვის ბუნდოვნად თასის კონტურებიც გამოიკვეთება. რა იცი, რა ხდება...

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

მწვრთნელები

# ჰიდინკის არა და მოუ ფერგის მეგობარი

**გუს ჰიდინკმა** განაცხადა, რომ მისი „ჩელსიში" დაბრუნება გამორიცხულია. ინგლისურმა პრესამ შეიტყო, რომ ლონდონელთა მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** ახლანდელი მწვრთნელის, **კარლო ანჩელოტის** ჰიდინკით შეცვლა სურს, მაგრამ 64 წლის ჰოლანდიელმა თქვა, თურქეთის ნაკრების თავკაცი ვარ და საქმის შუა გზაში მიტოვება არ მჩვევიაო. შეგახსენებთ: ჰიდინკი „ჩელსის", 2009 წელს, სამი თვით ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიპოვა. მაშინ ჰოლანდიელი, იმავდროულად, რუსეთის ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა. ამჯერად მან თქვა, რომ ერთდროულად ორ საქმეს ველარ გააკეთებს.

*„რომან აბრამოვიჩმა კარგად იცის, რომ გუსს კონტრაქტი ცხოვრებაში არ გაუწყვეტია — თქვა მწვრთნელის აგენტმა* **კეს ვან ნიუნჰიუზენმა** *— ის თურქეთის ნაკრებს უდგას სათავეში და ისე ჩანს, რომ გუნდი პლეი-ოფში მოხვდება".*

ანჩელოტის „ჩელსისთან" კონტრაქტი 2012 წლის გაზაფხულამდე აქვს, მაგრამ მომავალი სეზონიდან მის სახელს უკვე „რომას" უკავშირებენ. „ჩელსის" ნახევარმცველმა **ფრენკ ლემპარდმა** თქვა:

*„ჩვენ ვალდებული ვართ, თავი ხელში ავიყვანოთ, მაქსიმალური პროფესიონალიზმი გამოვამჟღავნოთ და სეზონი რაც შეიძლება კარგად ჩავამთავროთ. ჩვენ ფანების, კლუბისა და საკუთარი თავის ვალი გვაქვს. სანამ პრემიერლიგის ტიტულის მოპოვების თეორიული შანსი არსებობს, ბრძოლას არ შევწყვეტთ. პროგრამა მინიმუმი კი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობაა".*

„ჩელსის" კიდევ ერთი ყოფილი თავკაცი, ამ გუნდის ფეხზე დამყენებელი **ჟოზე მოურინიო** კი აცხადებს, რომ ის „მანჩესტერ იუნაიტედის" მომავალი მწვრთნელი იქნება. „განსაკუთრებულის" თამამი და შოკისმომგვრელი განცხადებების ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. ამჯერად მან თქვა, რომ „იუნაიტედს" მომავალი სეზონის დამთავრების შემდეგ ჩაიბარებს. არადა, მოგეხსენებათ, ამ გუნდს დიდი მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ხელმძღვანელობს და მას პენსიაში გასვლის სურვილი ჯერ არ გამოუთქვამს. შეგახსენებთ, რომ მოურინიო ამჟამად „რეალის" მწვრთნელია, თუმცა მეგობრებისთვის უთქვამს, რომ 2012 წლის ზაფხულისთვის მადრიდიდან, ალბათ, წავა.

ცოტა ხნის წინ 69 წლის ფერგიუსონმა თქვა: *„ჟოზე ჩემი დიდი მეგობარია. ჩვენ მისი მომავლის შესახებ ბევრჯერ ვილაპარაკეთ და რამდენადაც ვხვდები, მას გული ინგლისისკენ მოუწევს. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელის თანამდებობას, მიჭირს ზუსტად რაიმეს თქმა. აქ, ყველაფერი ჩემს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული".*

შეგახსენებთ, რომ მოურინიოს ხელში „პორტუმ" და „ინტერმა" ჩემპიონთა თასი მოიგეს. კიდევ, 48 წლის პორტუგალიელმა ეს ორი კლუბი და „ჩელსი" თავიანთი ქვეყნების ჩემპიონობამდე და სხვა ჯილდოებამდეც მიიყვანა.

„რეალში" მოურინიოს წარმატება ჯერჯერობით ის გახლავთ, რომ გუნდი 2003 წლის შემდეგ პირველად გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, სადაც „ბარსელონას" ხვდება.

მოურინიოს ჰკითხეს, „მანჩესტერ სიტიში" **რობერტო მანჩინის** შეცვლაზე რა აზრის იყო. პორტუგალიელმა უპასუხა: *„ეს გამორიცხულია".*

თავად მანჩინიმ კი დასძინა: *„ისევე, როგორც მე არ გავხდები „რეალის" თავკაცი".*




გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტურის წინ

# ბაიერნი ბაიერის, ჰაინკესი ჰაინკესის წინააღმდეგ

| გუშინ | |
|---|---|
| მაინცი | 1 |
| ბორუსია (მ) | 0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 29 | 20 | 6 | 3 | 59:18 | 66 |
| 2. ლევერკუზენი | 29 | 18 | 7 | 4 | 59:35 | 61 |
| 3. ჰანოვერი | 29 | 17 | 2 | 10 | 42:40 | 53 |
| 4. ბაიერნი | 29 | 15 | 7 | 7 | 61:35 | 52 |
| 5. მაინცი | 30 | 15 | 3 | 12 | 44:37 | 48 |
| 6. ნიურნბერგი | 29 | 12 | 7 | 10 | 43:38 | 43 |
| 7. ჰამბურგი | 29 | 12 | 6 | 11 | 44:45 | 42 |
| 8. ფრაიბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 38:41 | 41 |
| 9. შალკე | 29 | 11 | 6 | 12 | 34:33 | 39 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 44:42 | 37 |
| 11. კიოლნი | 29 | 10 | 5 | 14 | 39:54 | 35 |
| 12. კაიზერსლ. | 29 | 9 | 7 | 13 | 40:46 | 34 |
| 13. ვერდერი | 29 | 8 | 10 | 11 | 39:55 | 34 |
| 14. აინტრახტი | 29 | 9 | 6 | 14 | 29:39 | 33 |
| 15. შტუტგარტი | 29 | 8 | 6 | 15 | 49:54 | 30 |
| 16. ვოლფსბურ. | 29 | 6 | 10 | 13 | 32:42 | 28 |
| 17. ზტ. პაული | 29 | 8 | 4 | 17 | 30:51 | 28 |
| 18. ბორუსია (მ) | 30 | 7 | 5 | 18 | 43:64 | 26 |

**ბომბარდირები:** 20 - სისე (ფრაიბურგი); 19 - გომესი (ბაიერნი); 16 - გეკასი (აინტრახტი); 13 - ბარიოსი (ბორუსია დ), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი),ია კონანი (ჰანოვერი).

**დღეს, 17:30**
**ჰამბურგი – ჰანოვერი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ბენ-ჰატირა (ჰამბურგი)
**ტრავმა:** კასტელენი - აევორი, ანდრეასენი

**დღეს, 17:30**
**ვოლფსბურგი – ზტ. პაული** VS
**დისკვალიფიკაცია:** სისერო - ბარტელსი
**ტრავმა:** მბოკანი - ოჩიპკა, როთენბახი, ფოლცი, სამბრანო

**დღეს, 17:30**
**ჰოფენჰაიმი – აინტრახტი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ბეკი (ჰოფენჰაიმი)
**ტრავმა:** იაისლე, სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი - კრისი, ცაველასი, ბაირამოვიჩი

**დღეს, 17:30**
**კიოლნი – შტუტგარტი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ჟაჟალო, მატუშიკი - პოგრებნიაკი
**ტრავმა:** იანულისი, შორხი, ტეროდე - ბიჩაქჩიჩი, დეგენი, აუდელი, გებჰარდტი

**დღეს, 17:30**
**კაიზერსლაუტ. – ნიურნბერგი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ვოლფი (ნიურნბერგი)
**ტრავმა:** შიმუნეკი, ილიჩევიჩი, ნემეცი - ფრანტცი, ბუნიაკუ

**დღეს, 20:30**
**ვერდერი – შალკე** VS
**ტრავმა:** ბიონიში, ნალდო, პრიოდლი, ბარგფრედე, დ. იენსენი, ავდიჩი, აიქი - ჰუგლანდი, პანდერი, ყენია, კლუგე, მორიტცი, გავრანოვიჩი, ჰუნტელაარი

**ხვალ, 17:30**
**ბაიერნი – ლევერკუზენი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ბადშტუბერი, რობენი (ორივე ბაიერნი)
**ტრავმა:** ვან ბუიტენი, ოლიჩი - მ. ფრიდრიხი

**ხვალ, 19:30**
**ბორუსია (დ) – ფრაიბურგი** VS
**დისკვალიფიკაცია:** კრმასი (ფრაიბურგი)
**ტრავმა:** კაგავა, კელი, კრინგე, ბარიოსი - პუპლინი, ბასტიანსი, აბდესადკი, როზენტალი, ბეხმანი

ამ ტურით ბუნდესლიგა ბოლო, გადამწყვეტ ფაზაში შედის. წინა ტურმა ჩემპიონობისთვის ბრძოლა აშკარად დაძაბა, რადგან „ლევერკუზენი" დორტმუნდის „ბორუსიას" ხუთი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდა. ამჯერად მთავარი ამბები ხვალ, კვირას მოხდება: „ლევერკუზენი" მიუნხენის „ბაიერნს" მასპინძლობს, „დორტმუნდი" კი „ფრაიბურგს". შაბათის მატჩებიდან ყველაზე საინტერესო ჩრდილოური დაპირისპირებაა „ჰამბურგსა" და „ჰანოვერს" შორის.

## ჰანოვერი: გამოცდა ჰამბურგში

„ჰანოვერმა" წინა ტურში „მაინცი" დაამარცხა და მესამე ადგილზე დაბრუნდა, ახლა კი **მირკო სლომკას** შეგირდებს ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი პოზიციის შენარჩუნება სურთ, რისთვისაც ჰამბურგში დანიშნული გამოცდის წარმატებით ჩაბარებაა საჭირო. შეხვედრას ინტრიგას ის ფაქტორი მატებს, რომ „ჰამბურგს" „გასაჩუქებელი" ქულები არ აქვს: HSV-საც მხოლოდ გამარჯვება სჭირდება იმისათვის, რომ საუკეთესო ხუთეულში მოსახვედრად, ანუ ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლა განაგრძოს. ამ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში ჩაბმა „ჰამბურგს" **ენის ბენ-ჰატირას** გარეშე მოუწევს - ჰამბურგელი გარემარბი დისკვალიფიცირებულია.

ლოვნად გაიუმჯობესა, მაგრამ „ეშმაკებს" ჯერ არ აქვთ „თავი ქუდში". „კაიზერსლაუტერნი" და „ნიურნბერგი" მხოლოდ მოგებისთვის იბრძოლებენ და შეხვედრა ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

## მაგათის პირველი ტრიუმფი?

უკვე სამი ტურია, რაც **ფელიქს მაგათი** „ვოლფსბურგს" წვრთნის და „მგლებს" ჯერ არ მოუგიათ, წინა კვირაში კი, „დესპოტი ფელიქსის" ყოფილ კლუბ „შალკესთან" 0:1 დამარცხდნენ. შესაბამისად, გერმანიის ექსჩემპიონი ისევ გასავარდნ ზონაში, უფრო სწორად, სარელეგაციო მე-16 ადგილზეა. დღეს „ვოლფსბურგს" მე-17 ადგილზე მყოფ „ზანკტ პაულისთან" უმნიშვნელოვანესი დუელი აქვს. კიცელებს ზედიზედ შვიდი თამაში აქვთ წაგებული და ცხადია, რომ „ვოლფსბურგთანაც" აუტსაიდერებად მიიჩნევიან. ოთხშაბათს გაირკვა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, **ჰოლგერ სტანისლავსკი** „ზანკტ პაულის" მწვრთნელის თანამდებობას დატოვებს. თუ „ზანკტ პაული" ძალებს მოიკრებს და „ვოლფსბურგს" დაამარცხებს, ჰამბურგელები „მგლებს" გადაასწრებენ და გადარჩენის ძალიან კარგი შანსი გაუჩნდებათ, მაგრამ ხომ იცით, „მაგათს არ სძინავს" და თუ „პაული" დამარცხდა, ფაქტობრივად განწირული იქნება.

ერთი კვირის წინ, „შტუტგარტმა" გადარჩენისთვის ბრძოლაში უმძიმესი



ბაიერისა და ბაიერნის ლიდერების, არტურო ვიდალისა და ბასტიან შვაინშტაიგერის ორთაბრძოლა. შვაინიმ დღეს შეიძლება ვერ ითამაშოს

## ნიურნბერგს ბეტცენბერგის დაპყრობა უნდა

ევროპისკენ მიმავალ მატარებელზე შეხტომა ნიურნბერგელებსაც სურთ. შეგახსენებთ, რომ „ნიურნბერგმა" წინა ტურში „ბაიერნთან" ფრეს (1:1) მიაღწია, რის შემდეგაც, **ლუის ვან გაალს** რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინეს. ფრანკები დღეს კაიზერსლაუტერნში ჩადიან და თან ვერ მიჰყავთ კაპიტანი **ვოლფი**, რომელიც დისკვალიფიცირებულია. „ლაუტერნმა" წინა ტურში გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „შტუტგარტი" 4:2 დაამარცხა და მდგომარეობა მნიშვნე-

დარტყმა მიიღო (2:4 კაიზერსლაუტერნთან), ახლა კი, ბრუნო ლაბადიას შეგირდები კიოლნში ჩადიან. „კიოლნი" ძალიან საინტერესო გუნდია იმ თვალსაზრისით, რომ ბოლო შვიდი საშინაო შეხვედრიდან შვიდივე მოგებული აქვს და თუ „თხები" დღესაც მოიგებენ, შეუძლიათ, მშვიდად იძინონ, რადგან ელიტაში დარჩენას ფაქტობრივად გაინაღდებენ.

გადარჩენისთვის იბრძვის „აინტრახტიც". **კრისტოფ დაუმის** გუნდი „ვერდერთან" 1:1-ის შემდეგ მე-14 ადგილზე ჩამოქვეითდა. დღეს ფრანკფურტელები „ჰოფენჰაიმთან" ითამაშებენ. გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში **მარკო პეცაიუოლი** „ჰოფეს" დამრიგებლის პოსტს დატოვებს.

საღამოს „ვერდერისა" და „შალკეს" დაპირისპირებაა. „ვერდერს" ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, მაგრამ პირველ ბუნდესლიგაში დარჩენა ჯერ არ გაუნაღდებია. თუმცა, ტენდენცია იმაზე მეტყველებს, რომ **თომას შააფის** ბიჭები არ გავარდებიან. თანაც, „მუსიკოსებს" დღეს მთავარი დამრტყმელი ძალა, **კლაუდიო პისარო** უბრუნდებათ.

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლამ გელზენკირხენში ყველა გააბედნიერა. ბუნდესლიგაში „შალკეს" ელიტაში დარჩენა უკვე თითქმის გარანტირებული აქვს და თანაც, **ლევან ყენიას** გუნდს საუკეთესო ხუთეულში მოხვედრის შანსიც გაუჩნდა. თუმცა „ხუმარებს" ეს ნაკლებად სჭირდებათ, რადგან ევროპის ლიგის საგზურს, სავარაუდოდ, გერმანიის თასიდან მოიპოვებენ, სადაც მარტივი დაპირისპირება ელით მეორებუნდესლიგელ „დუისბურგთან". ასე რომ, შალკელებს თამამად შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის სახით, კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატებით დატკბნენ.

## იონკერის დებიუტი საკადრო პრობლემებით

ტურის მთავარი მოვლენები კი, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, ხვალ განვითარდება. ცენტრალურ მატჩში „ბაიერნი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს. თუ „ლევერკუზენი" მოიგებს, „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უდიდეს დარტყმას მიაყენებს, რეკორდმაისტერის მოგების შემთხვევაში კი, „ლევერკუზენს" იმედის ერთი კვირის წინ გაღვივებული ნაპერწკალი ისევ ჩაუქრება - წინა ტურში **იუპ ჰაინკესის** გუნდმა „დორტმუნდთან" ჩამორჩენა ხომ ხუთ ქულამდე შეამცირა.

ამ შეხვედრის მთავარი ინტრიგა ჰაინკესია, რომელიც „ლევერკუზენს" ივნისამდელა უთავკაცებს, მერე კი „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გახდება. რეკორდმაისტერს დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდება: **არიენ რობენი და ჰოლგერ ბადშტუბერი**. ბავარიელებმა წინა ტურში **ლუის ვან გაალიც** დაკარგეს, ოღონდ სამუდამოდ და დღეს მთავარი მწვრთნელისთვის განკუთვნილ სკამზე პირველად ვნახავთ ჰოლანდიელის ასისტენტ **ანდრის იონკერს**, რომელსაც ბავარიული გრანდის შეფებმა გუნდი სეზონის ბოლომდე ანდეს და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დაავალეს. უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა **ბასტიან შვაინშტაიგერის** ასპარეზობაც, რომელიც შუა კვირაში, ვარჯიშზე, რობენთან ორთაბრძოლის დროს დაშავდა. „ბაიერნის" ექიმები შვაინის ფეხზე დასაყენებლად ყველაფერს აკეთებენ. გავა თუ არა ბასტიანი მოედანზე, ეს დღეს საღამომდე გაირკვევა.

ტურს კი ლიდერი „ბორუსია" დახურავს. დორტმუნდელებმა წინა ტურში „ჰამბურგთან" ფრე ბოლო წუთებზე გადაარჩინეს, ხვალ საღამოს კი „ფრაიბურგს" მასპინძლობენ. **იურგენ კლოპმა** თქვა, ერთადერთი ფრაიბურგელი, რომლისაც მართლა მეშინია, **პაპის დემბა სისეაო**. არცაა გასაკვირი - ამ უკანასკნელს ხომ 20 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას. თუმცა კლოპის ფრაზამ იმის ეჭვიც გააჩინა, რომ მას ზაფხულში სისეს ყიდვა უნდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ბუტი ისევ პირველია!

## იონკერმა კრაფტი სკამზე დააბრუნა

ის, რაც მოსალოდნელიც იყო, გუშინდელი დღის შემდეგ ოფიციალურად დადასტურებულია: „ბაიერნის" დროებითმა მწვრთნელმა **ანდრის იონკერმა** გადაწყვიტა, ახალგაზრდა მეკარე **თომას კრაფტი** სათადარიგოთა სკამზე დასვას, კარში კი ისევ ვეტერანი **ჰანს-იორგ ბუტი** ჩააყენოს. ამრიგად, ხვალ, „ლევერკუზენთან" უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში, რეკორდმაისტერის კარს სწორედ ბუტი დაიცავს.

შეგახსენებთ, რომ ბუტი 2001-დან 2007 წლამდე ლევერკუზენის ღირსებას იცავდა და ამრიგად, ხვალ სწორედ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს. თავისი გადაწყვეტილება იონკერმა ასე ახსნა: *„ჩვენ აუცილებლად უნდა გავიდეთ ჩემპიონთა ლიგაში და მე ვფიქრობ, რომ ბუტთან ერთად უფრო მეტი შანსი გვაქვს!"*

ჩვენი გერმანელი კოლეგები კი მიიჩნევენ, რომ ეს სულაც არ არის იონკერის პირადი გადაწყვეტილება და რომ მას ბუტის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა უბრძანეს.

ტურისწინა მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერის** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. თუ შვაინი მოედანზე გასვლას ვერ მოახერხებს, მას ნახევარდაცვის ცენტრში **ტონი კროოსი** შეცვლის. დისკვალიფიცირებული **არიენ რობენის** ნაცვლად, „ბაიერნის" ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **ჰამით ალთინთოფს** ვიხილავთ. ტრავმები აწუხებთ ცენტრალურ მცველებს, **დანიელ ვან ბუიტენს** და **ბრენოს**. რაკი **ჰოლგერ ბადშტუბერიც** ვერ ითამაშებს (დისკვალიფიცირებულია), დიდი შანსია, რომ მიუნხენელთა დაცვის ცენტრში საყრდენები, **ლუის გუსტავო** და **ანატოლი ტიმოშჩუკი** ვიხილოთ. გუშინ, ვარჯიშზე **ფრანკ რიბერიც** დაშავდა და შესაძლოა, ხვალ მოედანზე გასვლა ვერც ფრანგმა დრიბლიორმა შეძლოს...

**გოტფრიდ ლენცი**

ლიგა 1. XXXI ტურის წინ



რუდი გარსიაზე წნეხი თანდათან იზრდება, ის ისტორიულ გამარჯვებასთან უკვე ძალიან ახლოს დგას

# ბეჭდაუდებელი პარკ დე პრენსის ამბავი

| დღეს: | |
|---|---|
| ლანსი-ბრესტი | 21:00 |
| ნიცა-მონაკო | 21:00 |
| რენი-ლორიანი | 21:00 |
| სტ. ეტიენი-ნანსი | 21:00 |
| სოშო-კაენი | 21:00 |
| ტულუზი-ოსერი | 21:00 |
| ლილი-ბორდო | 23:00 |
| **ხვალ:** | |
| არლი-ვალანსიენი | 19:00 |
| მონპელიე-მარსელი | 19:00 |
| პსჟ-ლიონი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 30 | 16 | 10 | 4 | 52-29 | 58 |
| 2. მარსელი | 30 | 15 | 10 | 5 | 44-26 | 55 |
| 3. ლიონი | 30 | 14 | 11 | 5 | 52-28 | 53 |
| 4. რენი | 30 | 14 | 9 | 7 | 32-23 | 51 |
| 5. პსჟ | 30 | 13 | 10 | 7 | 44-31 | 49 |
| 6. მონპელიე | 30 | 11 | 10 | 9 | 26-31 | 43 |
| 7. სტ ეტიენი | 30 | 10 | 11 | 9 | 38-36 | 41 |
| 8. ბორდო | 30 | 9 | 13 | 8 | 37-34 | 40 |
| 9. ლორიანი | 30 | 10 | 10 | 10 | 36-35 | 40 |
| 10. სოშო | 30 | 11 | 6 | 13 | 43-37 | 39 |
| 11. ბრესტი | 30 | 10 | 8 | 12 | 31-34 | 38 |
| 12. ტულუზი | 30 | 11 | 5 | 14 | 31-33 | 38 |
| 13. ნანსი | 30 | 10 | 7 | 13 | 31-42 | 37 |
| 14. ნიცა | 30 | 8 | 12 | 10 | 22-31 | 36 |
| 15. ვალანსიენი | 30 | 7 | 14 | 9 | 35-33 | 35 |
| 16. მონაკო | 30 | 7 | 14 | 9 | 29-29 | 35 |
| 17. კაენი | 30 | 9 | 8 | 13 | 33-43 | 35 |
| 18. ოსერი | 30 | 6 | 16 | 8 | 34-36 | 34 |
| 19. ლანსი | 30 | 6 | 10 | 14 | 28-46 | 28 |
| 20. არლი | 30 | 1 | 10 | 19 | 16-57 | 13 |

კვირა საღამოს "პარკ დე პრენსზე" გუნდები ლამის უკანასკნელი იმედებით აღვსილნი გავლენ. ბოლო იმედის სიკვდილი კი, მოგეხსენებათ, მტკივნეულია. მასპინძლებს უნდათ სამეულისთვის ბრძოლის შანსი შეინარჩუნონ, სტუმრები კი უკვე იქ არიან და ადგილი არ ეთმობათ. **ანტუან კომბუარე** ამ შეხვედრას თავიდანვე იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ 30-ე ტურში გამარჯვების შემდეგ შეგირდებს ორდღიანი დასვენება გამოუწერა. ლიონელთა მოგებისკენ სწრაფვას ორი ფაქტორი აძლიერებს, პირველი ის, რომ მათი უშუალო მდევარი "რენი" დღეს "ლორიანს" მასპინძლობს და წაგებების სერიის შემდეგ საკუთარი ფანების თვალში რეაბილიტაციას 3 ქულით გეგმავს. ასეთ დროს კი ფეხის გადაბრუნება გუნდისთვის ფსიქოლოგიური წონასწორობის დაკარგვის საფრთხეს შეიცავს. და რაც მთავარია, პარიზში მოგების შემთხვევაში ეს იქნება ძლიერი სიგნალი ორივე კონკურენტისთვის. შეიძლება ეს ერთგვარ ნოკაუტადაც კი იქცეს დედაქალაქელებისთვის, ხოლო "რენის" ფეხბურთელებისთვის - სერიოზულ ფსიქოლოგიურ დარტყმად.

>> მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიგა 1. XXXI ტური

« მე-8 გვერდიდან

თუმცა მთლად ასე იოლად საქმე რომ არ გამოვა, **კლოდ პიუელმა** მშვენივრად იცის. "პარკ დე პრენსი" წელს ძალზე არასტუმართმოყვარე არენაა. პსჟ-მ იქ 15 მატჩი გამართა და ჯერ არ წაუგია. ანტუან კომბუარეს შეგირდებმა 30-ე ტურში ყველა ტურნირზე ერთად აღებული 6-მატჩიანი (მათ შორის 4 ლიგა 1-ში) მოუგებელი სერია **კლემან შანტომის** ფანტასტიკური გოლით "კაენთან" შეწყვიტეს (2:1). რამაც მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის იმედები ხელახლა გააღვივა. *"ჩემპიონატში ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ დიდი შვება იყო 3 ქულის აღება. "კაენი" თავს მონდომებით იცავდა, მაგრამ ჩვენ მაინც ეფექტურად გამოვიყურებოდით, განსაკუთრებით დაცვაში,"* – მოკლედ ასე შეაფასა მატჩის მიმდინარეობა მწვრთნელმა. წინა ტურში პსჟ-ს რიგებში პირველი გოლის ავტორმა (შანტომის გოლზე ნაკლებ ეფექტური იყო, მაგრამ ასევე ძალიან ლამაზი) **კრისტოფ ჟალემ** კი განაცხადა, რომ "კაენთან" გამარჯვებამ მას "ლიონთან" მატჩისთვის მეტი მოტივაცია შესძინა. *"ლანსთან" პირველ ტაიმში ცუდად გამოვუყურებოდით, მაგრამ რაღაც შტრიხი ჩვენს თამაშს მაინც აკლდა. მერე მოხდა სასწაული და ჩვენი თამაში ვიპოვეთ. მოვახერხეთ ძალიან მნიშვნელოვანი რამ, მეტოქე ბურთის გარეშე დავტოვეთ და ამით ფიზიკურად დავღალეთ. ვალდებულნი ვიყავით მეტი გაგვეტანა და ყოველ დარჩენილ თამაშში ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი შევაგდოთ. სეზონის დასასრულს ხომ ცხრილში ბურთების ბალანსმა შეიძლება ბევრი რამ გადაწყვიტოს,"* – განაცხადა პიუელმა.

გუნდებს ახალი ტრავმირებული ფეხბურთელები არ ჰყავთ. კლოდ პიუელს ექიმებმა პარიზში **ბაფეტიმბი გომისის** წაყვანისა და სრულად დატვირთვის ნება მისცეს, რაც შეუძლებელია "ლიონის" დამრიგებელს არ ახარებდეს, ამით ხომ მას თავდასხმაში როტაციის საშუალებას მიეცემა.

"ლილის" ყოველი ასპარეზობა უკვე ისტორიულია, რადგან ისინი დიად ზღვართან დგანან. გუნდის საჩემპიონო ამბიციების დაკმაყოფილება-არ დაკმაყოფილება მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. ქალაქი ლილი ამ დღეს უკვე 57 წელია ელის. ყოველ ფეხბურთელს ესმის ეს და ბუნებრივია, მათზე ეს წნეხი მოქმედებს. **რუდი გარსიამ** შეგირდებს მოუწოდა, რომ მკაცრად ეკონტროლებინათ თავიანთი ყოველი ნაბიჯი, რათა შაბათის დაპირისპირებისთვის მეტი ძალები შერჩენოდათ. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ "ბორდო" წელს ძალზე არასტაბილურად გამოიყურება, უსახურ და მოსაწყენ თამაშს აჩვენებს, ერთი რამ ფაქტია, **ჟან ტიგანას** შეგირდები მაინც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. "ლილმა" კონცენტრაცია ვერ მოახერხაო, ვერავინ იტყვის, მაგრამ სწორედ უსახურად მოთამაშე, მაგრამ "ბორდოზე" არანაკლები ტრადიციების "მონაკომ" ჩემპიონობის პრეტენდენტებს 3 ქულა აართვა. გარსიას მშვენივრად ესმის, რომ მისი შეგირდები დღემდე არნახული წნეხის ქვეშ არიან. სწორედ ამიტომ მოუწოდებს ის თავის ფეხბურთელებს კონცენტრაციისკენ: *"ბორდოს" წინააღმდეგ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ფავორიტებმა. ვიცი და ფეხბურთელებიც გავაფრთხილე, რომ თუკი ჩვენს თამაშს ვიპოვით, სტუმრებმა ერთადერთი რაც შეიძლება დაგვიპირისპირონ, უხეშობა იქნება. მაგრამ ეს ნამდვილად ვერ გვაიძულებს, რომ ჩვენს სტილს ვუღალატოთ და ვერც ჩვენს გამბედაობას დააკლებს რამეს. "მონაკოსთან" ჩვენებურად შემართულებმა ალბათ ბოლო 15-20 წუთი თუ ვითამაშეთ, რაც საკმარისი არ გამოდგა".*

ლილში გამგზავრების წინ ტიგანას ჟურნალისტები შეკითხვებს ისევ და ისევ "ბორდოში" შექმნილ კრიზისთან დაკავშირებით უსვამდნენ. *"მესმის, რომ ეს თემა გაინტერესებთ, ლოგიკურია, რომ ჩემთან ძალიან ბევრი შეკითხვა დაგიგროვდათ, იქნებ რამდენიმე შეკითხვა ფეხბურთელებთანაც გაგიჩნდეთ. "ბორდოში" სერიოზული მენტალური პრობლემები დგას და მხოლოდ მე ამის წამალი არ გამაჩნია,"* – თქვა მან. როგორც ხედავთ, ჟირონდელთა ბანაკში სიტუაცია სასურველისგან შორს დგას.

**ლევან ბიბილაშვილი**

## სერია A. XXXIII ტურის წინ

# მილანური გრანდები გადარჩენისთვის მებრძოლებთან

## და მდევრების ჯახი სან პაოლოზე

**დღეს, 20:00**
**რომა – პალერმო** VS
**დისკვალიფიკაცია:** ჟუანი (რომა).
**ტრავმა:** ჟულიო სერჟიო, მექსე – ილიჩიჩი.

**დღეს, 22:45**
**მილანი – სამპდორია** VS
**დისკვალიფიკაცია:** იბრაჰიმოვიჩი – მანინი.
**ტრავმა:** ინძაგი, ამბროზინი, ბონერა, იანკულოვსკი – სემიოლი, ლუკინი.

**დღეს, 22:45**
**პარმა – ინტერი** VS
**ტრავმა:** პალადინო, მარკესი – სამუელი, მატერაცი, კოუტინიო, სუაზო.

**ხვალ, 17:00**
**კატანია – ლაციო** VS
**დისკვალიფიკაცია:** მათუზალემი (ლაციო).
**ტრავმა:** ბელუში, სპოლი, ლიამა – დიაკიტე.

**ხვალ, 17:00**
**ჩეზენა – ბარი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ფონ ბერგენი, სამარკო, კალდერონი, კაზერტა – ა. მაზიელო.
**ტრავმა:** ფატიჩი, ფელიპე – ს. მაზიელო, კუტუზოვი, ბარეტო, ოკაკა, კასტილო, გლიკი.

**ხვალ, 17:00**
**კიევო – ბოლონია** VS
**დისკვალიფიკაცია:** პერესი (ბოლონია).
**ტრავმა:** ლუჩანო – მონტელონგო, გარიჩი.

**ხვალ, 17:00**
**ფიორენტინა – იუვენტუსი** VS
**ტრავმა:** იოვეტიჩი, ნატალი – დე ჩელიე, კიელინი, რინაუდო, სისოკო, კვალიარელა, იაკვინტა.

**ხვალ, 17:00**
**ჯენოა – ბრეშა** VS
**დისკვალიფიკაცია:** ედერი (ბრეშა).
**ტრავმა:** ველოზო, კუჩკა, დესტრო – დალამანო.

**ხვალ, 17:00**
**ლეჩე – კალიარი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ვივესი (ლეჩე).
**ტრავმა:** ჯულიატო, ოფურე, ბერტოლაჩი – ნენე.

**ხვალ, 22:45**
**ნაპოლი – უდინეზე** VS
**დისკვალიფიკაცია:** აბდი (უდინეზე).
**ტრავმა:** სოსა, გრავა – ბასტა, ფერონეტი, ბადუ, სანჩესი.

დღეს, სამი მეტად საინტერესო მატჩი გაიმართება: "რომა" "პალერმოს" უმასპინძლებს, "მილანი"-"სამპდორიას", "ინტერი" კი "პარმას" ესტუმრება. სამივე შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს – მილანური გრანდები სკუდეტოსთვის იბრძვიან და მათთვის თითოეული ქულა ჰაერივით საჭიროა, "რომას" კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების იმედი გაუჩნდა და ნებისმიერი მარცხი ამ იმედის დასამარების ტოლფასი იქნება. თავის მხრივ, არც ლიდერთა მეტოქეები არიან უმოტივაციოდ – "სამპდორია" და "პარმა" გადარჩენისთვის იბრძვიან და მილანური გრანდების არ იყოს, მათთვისაც ქულებს ოქროს ფასი აქვს. რაც შეეხება "პალერმოს", ამ გუნდს **დელიო როსი** დაუბრუნდა და ყველანაირად ცდილობს, კლუბის პრეზიდენტს ახალი კონტრაქტი გამოსტყუოს. არადა, იტალიურ პრესაში უკვე აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ **მაურიციო ძამპარინი** უკვე გაურიგდა **სილვიო პიოლას** და მომდევნო სეზონიდან როსის სწორედ ის ჩაანაცვლებს.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში მაინც "მილანია", გუნდი, რომელიც სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს და სკუდეტოს მოპოვების უმთავრეს პრეტენდენტად ითვლება. ამასთან, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** დისკვალიფიკაციის თემაა მეტად აქტუალური, რადგან შვედისთვის ეს მიჯრით მეორე მკაცრი სასჯელია და გამოდის, რომ ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გუნდს ვერაფრით ეხმარება. ცალკე სასაუბრო თემაა **კრისტიანო რონალდოს** "როსონერიში" შესაძლო გადაბარგების ამბავი – უკანასკნელი ინფორმაციით, **სილვიო ბერლუსკონი** მზად არის, პორტუგალიელში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს. თუმცა, ეს ყველაფერი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, იქამდე კი "მილანს" სკუდეტო აქვს მოსაგები და ამ გზაზე დღეს "სამპდორიას" შეეტოქება.

"გაძეტა დელლო სპორტის" ინფორმაციით, დისკვალიფიცირებულ ზლატან იბრაჰიმოვიჩს **რობინიო** შეცვლის და **ალეშანდრე პატოს** შეუწყვილდება. სათადარიგოთა სკამზე მოიაზრება **ანტონიო კასანო**, რომელმაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და დაუბრუნდა გუნდს. ბრუნდება **ანდრეა პირლოც**, რომელმაც მძიმე ტრავმა მოიშუშა და სავარაუდოდ, მეორე ტაიმში ჩაერთვება თამაშში. რაც შეეხება ნახევარდაცვის ძირითად ოთხეულს, ასე გამოიყურება: **მატიო ფლამინი, მარკ ვან ბომელი, კევინ პრინც ბოატენგი, კლარენს ზეედორფი. მასიმილიანო ალეგრის** თქმით, "სამპდორიასთან" გამარჯვება მხოლოდ ძალების მაქსიმალური მობილიზებით არის შესაძლებელი:

*"ასეთი თამაშების მოგება ყოველთვის რთულია, რადგან მეტოქე მთელი გუნდით თავს იცავს და ზონებს საიმედოდ კეტავს. როდესაც გუნდისთვის ერთი ქულა მისაღები შედეგია, მის კარში გოლის გატანა მეტად რთული საქმე გახლავთ. ამიტომ შეტევაში კრეატიულობა გვმართებს და ისე უნდა ვითამაშოთ პირველივე წუთებიდან, თითქოს მსაჯის მიერ კომპენსირებული დრო მიდიოდეს. "სამპდორიას" ცუდი დროება უდგას, მაგრამ ეს ორმაგად საშიშია – კრიზისში მყოფი გუნდი სწორედ გრანდთან ცდილობს, რომ ჩავარდნას წერტილი დაუსვას და პროგრესის გზას დაადგეს. ჩვენ ჩვენი ამოცანა გვაქვს და კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ სკუდეტოსკენ".*

"ინტერს" ლაზარეთი ფაქტობრივად დაუცარიელდა და ეს ახარებს **ლეონარდოს**, მაგრამ შესაძლოა ეს ყველაფერი უკვე ძალიან გვიანია – ამ კვირაში, "ნერაძურიმ" ჩემპიონთა ლიგის გათამაშება დატოვა და ბუნებრივია, ფეხბურთელები უხასიათოდ ხვდებიან "პარმასთან" გასვლით პაექრობას. თუ "ნერაძური" ემილიაში ქულებს დაკარგავს, სასკუდეტო მარათონს ჩამოშორდება, ასე რომ, მატჩს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ლეონარდო ცდილობს, შეგირდებში საბრძოლო სულისკვეთება გააღვიძოს:

*"სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ ჩემპიონთა ლიგაზე განცდილი მარცხი და სერია A-ს დარჩენილ პაექრობებზე გადავერთოთ. "შალკესთან" პირველ შეხვედრაში ძალიან დიდი ანგარიშით დავმარცხდით და მდგომარეობის გამოსწორება ველარ შევძელით – იმედი მაქვს, ეროვნულ ასპარეზზე მაინც შევძლებთ ლიდერთან ჩამორჩენის აღმოფხვრას და გულშემატკივრებს სკუდეტოს მოპოვებით გავახარებთ. კარგია, რომ ტრავმირებული ფეხბურთელები გვიბრუნდებიან, დასკვნით მატჩებში ეს ძალიან დიდ სამსახურს გაგვიწევს".*

ლეონარდო ტრადიციულ 4-3-1-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **სამუელ ეტოოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** ტანდემს გაამწესებს. ფორვარდების უკან **ვესლი სნეიდერი** გაირჯება – თუმცა არის მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ვესლი უკან დაიწევს და გამთამაშებლის პოზიციაზე **გორან პანდევი** დადგება. ვნახოთ, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება.

"რომა" რომ "პალერმოს" მიიღებს, უკვე გითხარით და აქვე ვთქვათ, რომ **ფრანჩესკო ტოტი** სრულ მზადყოფნაშია – ეს ფერი იმაზეა დამოკიდებულ, როგორ ჩაატარებენ დასკვნით შეხვედრებს მათი გუნდები და შესაბამისად, "ფიორენტინა" და "იუვენტუსი" ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინებიან. "ლაციო" "კატანიას" ესტუმრება და ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისა და გადარჩენისთვის მებრძოლი გუნდები შეასკდებიან ერთმანეთს – ბრძოლა აქაც დაუნდობელი უნდა გაიმართოს. რაც შეეხება ტურის უკანასკნელ პაექრობას, შემთხვევით არ გახლავთ ცენტრალურ დაპირისპირებად აღიარებული – "უდინეზე" "ლაციოს" უმთავრესი კონკურენტია და ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში სურს ასპარეზობა, "ნაპოლი" კი "მილანს" უდგას კუდში და აუცილებლად სამი ქულის მოპოვება ესაჭიროება. მოკლედ, "სტადიო სან პაოლოზე" მდევრების ჯახი შედგება. ბოლოს, დავძინოთ, რომ უდინელებს კვლავაც **ალექსის სანჩესის** გარეშე მოუწევთ ასპარეზობა, რომელსაც ტრავმა გაუმიზეზდა.




იბრას არყოფნაში სამპას პატო და რობინიო შეუტევენ

უმთავრესია, რადგან დედაქალაქელთა ბოლოდროინდელი წარმატების მთავარი შემოქმედი სწორედ "პუპონე" გახლავთ. ფრანჩესკო, სავარაუდოდ, ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი იქნება, უკნიდან კი **მირკო ვუჩინიჩი, სიმონე პეროტა** და **როდრიგო ტადეი** დაეხმარებიან. სიცილიელთა ბანაკში მთლად დალაგებული არ არის ვითარება, ძამპარინის ყელში ამოუვიდა ამდენი წარუმატებლობა და აცხადებს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ ახალ მწვრთნელთან გააფორმებს ხელშეკრულებას. ამასთან, პირველად გამოთქვა მზადყოფნა, რომ **ხავიერ პასტორეს** გასხვისებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკება გამართოს.

კვირის მატჩებიდან სამი პაექრობა უნდა გამოვარჩიოთ – "ფიორენტინა" "იუვენტუსს" მიიღებს, "კატანია" "ლაციოს", "უდინეზე" კი "ნაპოლის". ფლორენციაში ტრადიციული გუნდების პრინციპული დაპირისპირება შედგება და ვნახოთ, ვის დარჩება გამარჯვება. ორივე გუნდის მწვრთნელი მეტად რთულ მდგომარეობაშია და პოსტის დაკარგვის საფრთხე ემუქრება – ყველა-

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 32 | 20 | 8 | 4 | 56-23 | 68 |
| 2. ნაპოლი | 32 | 20 | 5 | 7 | 52-30 | 65 |
| 3. ინტერი | 32 | 19 | 6 | 7 | 58-35 | 63 |
| 4. ლაციო | 32 | 17 | 6 | 9 | 41-29 | 57 |
| 5. უდინეზე | 32 | 17 | 5 | 10 | 57-34 | 56 |
| 6. რომა | 32 | 15 | 8 | 9 | 49-44 | 53 |
| 7. იუვენტუსი | 32 | 14 | 9 | 9 | 50-40 | 51 |
| 8. პალერმო | 32 | 13 | 5 | 14 | 47-52 | 44 |
| 9. კალიარი | 32 | 12 | 7 | 13 | 38-39 | 43 |
| 10. ფიორენტინა | 32 | 10 | 12 | 10 | 38-35 | 42 |
| 11. ბოლონია | 32 | 11 | 10 | 11 | 34-42 | 40 |
| 12. ჯენოა | 32 | 10 | 9 | 13 | 31-37 | 39 |
| 13. კიევო | 32 | 8 | 12 | 12 | 30-34 | 36 |
| 14. კატანია | 32 | 9 | 9 | 14 | 30-41 | 36 |
| 15. ლეჩე | 32 | 9 | 7 | 16 | 35-53 | 34 |
| 16. სამპდორია | 32 | 7 | 11 | 14 | 26-36 | 32 |
| 17. პარმა | 32 | 7 | 11 | 14 | 30-45 | 32 |
| 18. ჩეზენა | 32 | 7 | 10 | 15 | 29-45 | 31 |
| 19. ბრეშა | 32 | 7 | 9 | 16 | 28-40 | 30 |
| 20. ბარი | 32 | 4 | 9 | 19 | 20-47 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** 26 – დი ნატალე (უდინეზე); 25 - კავანი (ნაპოლი); 19 - ეტოო (ინტერი), დი ვაიო (ბოლონია); 18 - მატრი (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

**ლაშა წიკლაური**

# დუელიანტები



**რეალი**

სრული სახელი: რეალ მადრიდ კლუბ დე ფუტბოლ
დაარსდა: 1902 წ.
მეტსახელი: ლოს ბლანკოსი (თეთრები), ლოს მერენგესი, ლოს გალაქტიკოსი
სტადიონი: ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუ. 80 354
პრეზიდენტი: ფლორენტინო პერესი
მწვრთნელი: ჟოზე მოურინიო
ტიტულები: ლა ლიგა (31), კოპა დელ რეი (17), ესპანეთის სუპერთასი (8), ჩემპიონთა ლიგა (9), უეფას თასი (2), უეფას სუპერთასი (1), მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (3)

**დღეს, 00:00**

**რეალი – ბარსელონა**

**დისკვალიფიკაცია:** გრანერო - მასკერანო

**ტრავმა:** გაგო, პედრო ლეონი, ბენზემა (?) - კრკიჩი, აბიდალი, პუიოლი (?)

**ბარსელონა**

სრული სახელი: ფუტბოლ კლუბ ბარსელონა
დაარსდა: 1899 წ.
მეტსახელი: ლეკიპ ბლაუგრანა, კულესი
სტადიონი: კამპ ნოუ
პრეზიდენტი: სანდრო როსელი
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
ტიტულები: ლა ლიგა (20), კოპა დელ რეი (25), ესპანეთის სუპერთასი (9), ჩემპიონთა ლიგა (3), უეფას თასი (3), თასების თასი (4), უეფას სუპერთასი (3), მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (1)

## ბოიკოტი მოურინიოს, ბარსას კი კაპიტანი უბრუნდება

**გვაპატიონ „ვალენსიას", „ატლეტიკოს", „ბილბაოსა" და სხვათა გულშემატკივრებმა, ტურის წყვილთა ჩამონათვლის გარდა მათზე არაფერს დავწერთ - დღეს ხომ „ელ კლასიკოა"!**

დღეს უკვე არსებობს საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი და ის სულ სხვა ტურნირია, თუმცა მადრიდის „რეალისა" და „ბარსელონას" დაპირისპირებას მთელ მსოფლიოში ისეთი დაინტერესება აქვს, როგორიც კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს შეეფერება და წარმოიდგინეთ, დღეიდან 3 მაისამდე ეს ფინალი ოთხჯერ გვექნება „მენიუში"!

და რატომ დუელიანტები? დღევანდელი „ელ კლასიკო" ერთი დიდი და რამდენიმე მიკროდუელისგან შედგება. ყველაზე მთავარი, რა თქმა უნდა, „რეალისა" და „ბარსას" დაპირისპირებაა, თუმცა **ჟოზე მოურინიოსა** და **ხოსეპ გვარდიოლას** დაპირისპირებაზე რას იტყვით? **ლეო მესი vs კრიშტიანო რონალდო** - როგორია? ანდა **იკერ კასილიასი** და **ვიქტორ ვალდესი**, ორი მსოფლიოს ჩემპიონი გოლკიპერი აქეთ-იქით. ჩამონათვალის გაგრძელება შეგვიძლია მისხლის-მისხლამდე, დიახ, ასეთი მაგარი „კლასიკო" გველის - არადა, თითქოს, ეს მატჩი ლა ლიგის გამარჯვებულის ვინაობას ველარ შეცვლის.



„პრაიმ თაიმ სპორტსმა" გამოითვალა და გამოაქვეყნა, რომ ოთხივე „კლასიკოს" ჯამში 350-მილიონიანი ტელეაუდიტორია ეყოლება. მათივე ინფორმაციით, გულშემატკივართა დაინტერესების პიკი ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალზე მოვა - მოკლედ, ფეხბურთის გულშემატკივრებს ახლავე შეუძლიათ ხელები სიამოვნებისგან მოიფშვნიტონ.

ჟოზე მოურინიოს ცუდად ახსოვს ბოლო „კლასიკო", გვიანი ნოემბრის დაპირისპირება „კამპ ნოუზე" - მან კარიერაში ყველაზე მწარე მარცხი აქ ივნია, 0:5 წააგო. „სამეფო კლუბის" რბევას ნიშანი მესიმ მისცა, როცა ბურთი ძელს გაარტყა. შესვენებამდე „ბარსა" **ჩავის** და **პედროს** გოლებით იგებდა, მეორე ტაიმში „რეალი" მუხლებზე დააჩოქეს, ორი გოლი **დავიდ ვილიამ** გაიტანა, ერთიც **ჟეფრენმა**. **სერხიო რამოსმა** კი წითელი ბარათი დაიმსახურა.

### იცით, თუ არა რომ...

ბოლო 6 მატჩში „რეალმა" ყოჩაღად დაიწყო „კლასიკოები", - პირველ 15 წუთში 4 გოლი გაიტანა (6 მატჩში)

„რეალი" ამ სეზონში ყველაზე ძლიერია ლიგაში პირველ 15 წუთში - 11-ჯერ შეძლო მატჩის დასაწყისში ანგარიშის გახსნა

მატჩის პირველ 15 წუთში „ბარსას" ჯერ გოლი არ გაუშვია ამ სეზონში

„რეალის" ესპანელმა ფეხბურთელებმა სულ ორი გოლი გაიტანეს ამ სეზონში - ერთხელ **ჩაბი ალონსომ**, ერთხელაც **ესტებან გრანერომ**.

ქვეყნის 31-გზის ჩემპიონმა ამ სეზონში ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა სტანდარტული მდგომარეობიდან - 3.

### ოთხი კლასიკო

**16 აპრილი. 00:00**
ლა ლიგა. XXXII ტური
სანტიაგო ბერნაბეუ

**20 აპრილი 00:00**
კოპა დელ რეი. ფინალი
მესტალია (ვალენსია)

**27 აპრილი 22:45**
ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი
სანტიაგო ბერნაბეუ

**3 მაისი 22:45**
ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი
კამპ ნოუ

ასევე ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვა, როცა მეტოქე ცაციათი ურტყამდა - 3.

„ბარსა" ლა ლიგაში ყველაზე ცუდად ურტყამს თავით, გოლების რიცხვით მხოლოდ „ხეტაფესა" და „ესპანიოლს" უსწრებს. სამაგიეროდ, „ბარსამ" ყველაზე მეტი გოლი გაიტანა საჯარიმოს გარედან - 14.

„ბარსელონამ" ბოლო 5 „კლასიკო" მოუგო „რეალს", რაც ამ გუნდების დაპირისპირებაში ყველაზე დიდი მოგებათა სერიაა.

პედრო ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ბოლო ორ „კლასიკოზე" გაიტანა. ლეო მესიმ გაიტანა ბოლო 2 მატჩში „ბერნაბეუზე".

### სკანდალი

სადაც მოურინიოა, სკანდალიც იქვეა, გუშინ პორტუგალიელმა ესპანური მედიის დიდი რისხვა დაიმსახურა. აი, რა მოხდა - „რეალის" წინასამატჩო პრესკონფერენციაზე მწვრთნელს უამრავი რეპორტიორი ელოდა. ჟოზე ასისტენტ **აიტორ კარანკასთან** ერთად გამოცხადდა, თუმცა დარბაზში მისვლის შემდეგ იქ ასისტენტი დატოვა, თავად კი გაუჩინარდა. ეს კი ველარ მოითმინა ადგილობრივმა მედიამ და როცა კარანკამ კითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო, ყველა ესპანელმა ჟურნალისტმა პროტესტის ნიშნად დატოვა პრესკონფერენცია. იქ მხოლოდ უცხოელები დარჩნენ.




| რეალი | ბარსელონა |
|---|---|
| 1. იკერ კასილიასი | 1. ვიქტორ ვალდესი |
| 4. სერხიო რამოსი | 2. დანი ალვეში |
| 3. პეპე | 3. ჟერარდ პიკე |
| 2. რიკარდო კარვალიო | 16. სერხიო ბუსკეტსი |
| 12. მარსელო | 21. ადრიანო კორეია |
| 24. სამი ხედირა | 6. ჩავი ერნანდესი |
| 14. ჩაბი ალონსო | 15. სეიდუ კეიტა |
| 7 კრიშტიანო რონალდუ | 8. ანდრეს ინიესტა |
| 23. მესუთ იოზილი | 7 დავიდ ვილია |
| 22. ანხელ დი მარია | 10. ლეო მესი |
| 6. ემანუელ ადებაიორი | 17 პედრო როდრიგესი |

პირველი კითხვა, რაც კი კარანკას დაუსვეს, მოურინიოს უჩვეულო სიჩუმეს ეხებოდა: *„როდესაც მწვრთნელი რაიმე საკითხზე ლაპარაკობს, პრესაში ეს არასწორი აქცენტებით იბეჭდება. სწორედ ეს მგონია მიზეზი, რის გამოც არ ინება მოურინიომ პრესკონფერენციაზე დარჩენა. ჩვენ არ გვსურს ბევრი ხმაური - ჩვენ ხომ პირველად არ ვაკეთებთ ასე, ბილბაოშიც მე ვპასუხობდი შეკითხვებს. ეს ჩვენს თამაშზე ნამდვილად არ აისახება"*.

ამის შემდეგ უცხოელმა ჟურნალისტებმა ბასკ სპეციალისტს ჰკითხეს, ხომ არ ფიქრობს, რომ ამით მოურინიომ შეურაცხყოფა მიაყენა „რეალის" გულშემატკივრებს. კარანკა მათ კატეგორიულად არ დაეთანხმა: *„რას ფიქრობენ ფანები, ეს სტადიონზე და ქუჩებში გამოჩნდება. ფანებს სურთ მწვრთნელი, რომელიც ყოველი ქულისთვის გააფთრებით იბრძვის"*. კარანკამ არ ისურვა ესპანური მედიის ბოიკოტის შეფასება.

მოკლედ, მეტი ეს თითქმის ჩაშლილი პრესკონფერენცია არც გაგრძელებულა. სამაგიეროდ, კლუბების პრეზიდენტებმა, **სანდრო როსელმა** და **ფლორენტინო პერესმა** მაგალითი მისცეს სხვებს და სასტუმრო „ვესტინ პალასში" ერთობლივი შეხვედრა მოაწყვეს მედიასთან.

ჟოზე მოურინიომ თამაშისთვის 19 ფეხბურთელი შეარჩია, დღეს მათ ერთ-ერთ მეკარეს (**ადანს** ან **დუდეკს**) გამოაკლებს და 18 კაცს განაცხადში შეიყვანს. ტრავმა მოიშუშა **ბენზემამ**, გრიპი მოირჩინა **ხედირამ**, გრანერო „კლასიკოს" დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება, ხოლო **პედრო ლეონი** და **კანალესი**, ჟოზემ არ შეიყვანა სიაში, ტრავმების გამო თამაშს **ლასანა დიარა** და **გაგო** გამოტოვებენ.

### ოთხი კლასიკო ერთად... 95 წლის წინათ

ეს პირველი შემთხვევა სულაც არ არის, როცა ევროპული ფეხბურთის ეს ორი გრანდი ერთმანეთს დროის მოკლე მონაკვეთში 4-ჯერ ხვდება. თუმცა ანალოგიური შემთხვევის სანახავად 95 წლის წინანდელი ამბები უნდა გავიხსენოთ - 1915-16 წლების სეზონში „რეალი" და „ბარსელონა" ზედიზედ ოთხჯერ გაეჯიბრა ერთმანეთს. სწორედ მაშინ მომხდარმა ამბებმა დაუდო სათავე ამ ორი გუნდის მტრობას.



მაშინდელმა „ბარსამ" ესპანეთის ჩემპიონატში თამაშის უფლება კატალონიის პირველობაზე ყველა თამაშის მოგებით მოიპოვა. კარს იცავდა **ლუის ბრუ**, ნახევარდაცვის ლიდერი იყო **რამონ ტოლარბა**, ხოლო შეტევაში **ვისენჩ მარტინესი** (29 მატჩში 32 გოლი) და **პაულინო ალკანტარა** (24 მატჩში 33 გოლი) ბრწყინავდნენ.

მადრიდულმა გუნდმა მოიგო ცენტრალური ჩემპიონატი და იმ გუნდში ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი **სანტიაგო ბერნაბეუ** იყო, რომელიც შემდგომში სიკვდილამდე „სამეფო კლუბის" პრეზიდენტი იყო (1943 წლიდან 1978 წლამდე).

მაშ ასე, ეს ორი გუნდი პირველად 1916 წლის მარტის ბოლოს „კარერ მონტანერზე" (რომელიც „ესპანიოლის" სტადიონი იყო) შეხვდნენ ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ მატჩში. „ბარსამ" ეს თამაში მარტინესისა და ალკანტარას გოლებით 2:1 მოიგო, შეხვედრა ძალზე უხეში გამოდგა. შედეგად მასპინძელი **ბაონსა** დაამტვრიეს, თუმცა მაშინ შეცვლები არ არსებობდა. აპრილის დასაწყისში საპასუხო მატჩი ო'დონელის სტადიონზე (რომელითაც „ატლეტიკო" სარგებლობდა) გაიმართა. „ბარსელონას" ორმა ფეხბურთელმა მატარებლის გამო ვერ ჩამოუსწრო დროულად მატჩს, ამიტომ გუნდმა 9 კაცით დაიწყო და მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ ითამაშა სრული შემადგენლობით. მართალია, მარტინესმა ანგარიში გახსნა, მაგრამ ბერნაბეუმ ჰეთ თრიკი შეასრულა, ერთი გოლიც **პეტიტმა** გაიტანა, „რეალმა" 4:1 მოიგო. მაშინ ბურთების სხვაობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, დაინიშნა დამატებითი მატჩი.

11 დღის შემდეგ იმავე სტადიონზე მე-3 თამაში გაიმართა - ეს იყო ეპიკური მატჩი, რომელიც დამატებით დროში 6:6 მორჩა. ეს თამაში „რეალის" ყოფილმა ფეხბურთელმა და იმ დროს კლუბის წევრმა იმსაჯა, ალკანტარამ ჰეთ თრიკი შეასრულა, მეკარე ბრუმ სამიდან 2 პენალტი მოიგერია, ერთ-ერთი თავით!

15 აპრილს ისევ იქ მეოთხე მატჩი დაინიშნა. მარტინესმა დააწინაურა სტუმართა გუნდი, მაგრამ ბერნებეუმ გაათანაბრა. მეორე ტაიმშიც გაცვალეს გუნდებმა გოლები. თამაში სრულდებოდა, როცა მსაჯმა პენალტი დანიშნა კატალონიელთა კარში, ბრუმ ისევ იყოჩაღა. დამატებით დროში რეალელმა **სოტერო არანგურენმა** დუბლი შეასრულა, მაგრამ სტუმართა გუნდმა პროტესტის ნიშნად დატოვა მოედანი, ისინი თამაშგარესა და შემდეგ მეკარეზე ჯარიმას აპროტესტებდნენ. სხვათა შორის, ფინალი „რეალმა" 0:4 წააგო „ბილბაოსთან".

### თუ წავაგებთ...

ამ ძალიან საინტერესო ისტორიის შემდეგ ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ - ხოსეპ გვარდიოლას არ ეყოლება **ხავიერ მასკერანო**, რომელიც დისკვალიფიცირებულია. ტრავმა ბოლომდე მოირჩინა **კარლეს პუიოლმა**, მაგრამ ათამაშებს კი მას პეპი, საკითხავია. თუ მწვრთნელი გარისკავს, **ბუსკეტსი** თავის ჩვეულ პოზიციაზე ითამაშებს, თუ არადა ორი ვარიანტია, დაცვაში ან ბუსკეტსი იქნება (და შუახაზში **კეიტა**), ან კიდევ **პიკეს გაბრიელ მილიტო** შეუწყვილდება.

სხვათა შორის, გვარდიოლამ დაპირისპირების ფავორიტად „რეალი" დაასახელა: *„თუ ამ თამაშს წავაგებთ ლა ლიგის ჩემპიონის საკითხი ღიად დარჩება"*, - აცხადებს „ბლაუგრანას" თავკაცი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 31 | 27 | 3 | 1 | 85-16 | 84 |
| 2. რეალი | 31 | 24 | 4 | 3 | 72-22 | 76 |
| 3. ვალენსია | 31 | 18 | 6 | 7 | 50-35 | 60 |
| 4. ვილიარეალი | 31 | 16 | 6 | 9 | 48-35 | 54 |
| 5. სევილია | 31 | 13 | 7 | 11 | 48-46 | 46 |
| 6. ბილბაო | 31 | 14 | 3 | 14 | 47-45 | 45 |
| 7. ატლეტიკო | 31 | 13 | 6 | 12 | 48-41 | 45 |
| 8. ესპანიოლი | 31 | 14 | 2 | 15 | 38-43 | 44 |
| 9. მალიორკა | 31 | 11 | 6 | 14 | 33-42 | 39 |
| 10. ლევანტე | 31 | 11 | 6 | 14 | 34-41 | 39 |
| 11. სპორტინგი | 31 | 9 | 11 | 11 | 29-35 | 38 |
| 12. რასინგი | 31 | 9 | 10 | 12 | 31-45 | 37 |
| 13. სოსიედადი | 31 | 11 | 2 | 18 | 40-54 | 35 |
| 14. ოსასუნა | 31 | 9 | 8 | 14 | 36-37 | 35 |
| 15. დეპორტივო | 31 | 8 | 11 | 12 | 25-40 | 35 |
| 16. ხეტაფე | 31 | 9 | 7 | 15 | 42-51 | 34 |
| 17. სარაგოსა | 31 | 8 | 9 | 14 | 31-44 | 33 |
| 18. ერკულესი | 31 | 8 | 6 | 17 | 28-48 | 30 |
| 19. მალაგა | 31 | 8 | 6 | 17 | 39-62 | 30 |
| 20. ალმერია | 31 | 5 | 11 | 15 | 32-54 | 26 |

**ბომბარდირები:** 29 - მესი (ბარსელონა); 28 - რონალდო (რეალი); 17 - ვილია (ბარსელონა); 15 - როსი (ვილიარეალი), ფ. ლორენტე (ბილბაო); 13 - პედრო (ბარსელონა).

**დღეს, 20:00** — ხეტაფე VS სევილია
**დისკვალიფ:** ბოატენგი - პეროტი
**ტრავმა:** მარიო, ალბინი, გავილანი, ლოპესი - კანუტე, სანჩესი, გუარენტე, აკოსტა, კონე (?), ჩიგარინი, ნავასი

**დღეს, 20:00** — მალაგა VS მალიორკა
**დისკვალიფიკაცია:** ელიზეუ (მალ)
**ტრავმა:** კალა, ბაპტიშტა, რუბენი, ასენხო - ნადალი, პერეირა, ვებო

**დღეს, 22:00** — ალმერია VS ვალენსია
**დისკვალიფიკაცია:** დიეგო ალვეში (ალმ)
**ტრავმა:** ბადიასი, ნიეტო - ნავარო, ვისენტე, დომინგესი

**ხვალ, 19:00** — დეპორტივო VS რასინგი
**დისკვალ:** ხ. როდრიგესი, ლაურე (დეპ)
**ტრავმა:** ურეტა, კასტრო, დეზმარე - ციოლისი, ფრანსისი, როდრიგესი, როზენბერგი, სერანო

**ხვალ, 19:00** — ლევანტე VS ერკულესი
**დისკვალიფიკაცია:** პალიარდო (ლევან)
**ტრავმა:** კაისედო, პერესი, გონსალესი, ლარეა (?), სერხიო - ფარინოსი, ფრიტცლერი (?), პამარო, ალბა, ტოტე

**დღეს, 19:00** — სოსიედადი VS სპორტინგი
**ტრავმა:** ხ. ლორენტე, დე ლა ბელა - კარმელო, ბილიჩი, სასტრე, კანელია, აიოსე, კუელიარი

**ხვალ, 21:00** — ოსასუნა VS ბილბაო
**დისკვალიფ:** ხ. მარტინესი (ბილბ)
**ტრავმა:** რუპერი, რობერტო, მასუდი, არანდა, ოიერი (?) - გომესი, რამალიო, აურტენეჩე, ამორებიეტა

**ხვალ, 23:00** — ესპანიოლი VS ატლეტიკო
**ტრავმა:** დატოლო, მარკესი, მატიონი, ხ. გარსია, ფორლინი, ბაენა, პენია, ჰ. ალვარესი - პერეხი, ა. ლოპესი, ვალერა, პულიდო

**ზეგ, 23:00** — ვილიარეალი VS სარაგოსა
**ტრავმა:** ოლივა, გონსალო, სენა, კანი, ა. ლოპესი - კონტინი, ლაგუარდია, ედმილსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

**ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი.**

# ისევ ძველი ლიდერებით და სრული გუნდით

როგორც იქნა, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების ფაქტობრივმა მთავარმა მწვრთნელმა **პეტერ ზაიზენბახერმა** და გვარიანადაც გაგვაკვირვა. აქამდე ვიცოდით, რომ 22-24 აპრილს სტამბოლში, ევროპის პირადგუნდურ პირველობაზე ეგრეთ წოდებული B ნაკრები იჭიდავებდა, ახლა კი მწვრთნელმა ლიდერებით დაკომპლექტებული სრული გუნდი შემოგვთავაზა ანუ ყველა წონაში ორ-ორი მონაწილე მიჰყავს: **ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი** (60), **შალვა ქარდავა, გიორგი შოშიაშვილი** (66), **ამბაკო ავალიანი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **ლევან წიკლაური, დავით კარბელაშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ლაშა გურული** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ნოდარ მეტრეველი** (+100). სტამბოლში ბოლო დღე გუნდურ პირველობას ეთმობა, რისთვისაც დამატებით კიდევ სამი ფალავანი მიჰყავთ: **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **სოსო მსხალაძე** (+100).

ავსტრიელმა მწვრთნელმა ეს ამბავი გუშინ ძიუდოს აკადემიაში გამართულ პრესკონფერენციაზე გვაცნობა, სადაც შემდეგი განაცხადა: *„ვფიქრობ, ნაკრებთან გატარებულ ამ სამთვიან პერიოდში ბევრი ვიმუშავეთ, თუმცა მოკლე დროში დიდი გარდაქმნები შეუძლებელი იყო. ამჟამად გუნდში მცირე ტრავმები კია, მაგრამ ვიმედოვნებ, დარჩენილ დროში ეს მოგვარდება და ევროპის ჩემპიონატს მომზადებულები შევხვდებით. უნდა აღვნიშნო, რომ კონკურენცია დიდი იყო ყველა წონაში. ასეთ დროს, როცა ბევრი კარგი ათლეტი გყავს და თანაც ეს მარათონული სეზონის დასაწყისია, ძალზე ძნელი იყო იმათგან საუკეთესოების ამორჩევა. ვიმედოვნებ, კარგი შედეგები გვექნება, განსაკუთრებით კი იმისი მეიმედება, რომ უკეთესი ფიზიკური მომზადება გამოჩნდება.“*

ცხადია, ამ შემადგენლობის გამოცხადებისთანავე გაჩნდა კითხვა - თუ მაინც ესენი მიჰყავდათ, რატომ არ აჭიდავეს ისინი სრულად საერთაშორისო ტურნირებში და სადღეისოდ ხომ არ აკლიათ საშეჯიბრო პრაქტიკა? საერთოდ, რამ გამოიწვია გეგმების ასეთი მკვეთრი ცვლილება? ამაზე ზაიზენბახერმა შემდეგი გვიპასუხა: *„ევროპის ჩემპიონატზე თავიდან მართლაც B გუნდის წაყვანა იგეგმებოდა, რადგან A ნაკრებს მსოფლიოსთვის საგანგებო გრაფიკით ვამზადებთ. გეგმის შეცვლა თვითონ ლიდერების სურვილმა გამოიწვია, რომლებმაც თავად მოინდომეს ევროპის ჩემპიონატში გამოსვლა. იმ დროს მე მხოლოდ მათი გაფრთხილება შემეძლო, რომ, შესაძლოა, ფორმაში არ ყოფილიყვნენ, რადგან მსოფლიოსთვის ემზადებიან და ამ ეტაპზე არც უნდა იყვნენ პიკში. ამის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა მაინც გადაწყვიტეს. მათ დამარწმუნეს, რომ ძალიან უნდოდათ ამ ტურნირში ჭიდაობა და მეც დავეთანხმე იმის მიუხედავად, რომ ფორმაში არ იქნებიან. მათთვის ეს საჭიროც იყო, რადგან ახალი წესებით ჭიდაობის გამოცდილება აკლიათ. წესების შეცვლის შემდეგ ბევრ შეჯიბრებაში არ გამოსულან, ამიტომ ვერც გამოცდილება მიიღეს, სტამბოლში ჭიდაობა კი ამ ხარვეზის აღმოფხვრის საშუალებას აძლევთ. ამასთან, ევროპის ჩემპიონატზე სალიცენზიო ქულებიც გაიცემა.*

*ერთი სიტყვით, A ნაკრებს არ ევალება ჭიდაობა. უბრალოდ, მათ თვითონ უნდათ, იასპარეზონ“.*

ევროპის ჩემპიონატის წინ ნაკრების წევრებს კიდევ ერთხელ ჩაუტარდათ სამედიცინო გამოკვლევა ავსტრიელი ექიმების მეშვეობით, რასაც ზაიზენბახერთან დადებული შეთანხმებაც ითვალისწინებს. ამაზე კომენტარი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ალექსიძემ** გააკეთა: *„ტესტირებამ აჩვენა, რომ ფიზიკური გამძლეობის მხრივ სპორტსმენებში აშკარა მატებაა. ბიჭები უკვე 12-13 შეხვედრას ჭიდაობენ ისეთივე ინტენსივობით, როგორითაც 4-5-ში გამოდიოდნენ. ამ მხრივ პროგრესი აშკარაა“.*

ეს თემა ზაიზენბახერმაც განავრცო: *„მთლიან გუნდზე ცოტა ძნელია ამის თქმა და იქნებ ყველაზე ასე არ ითქმის - თავიდან ხომ ყველა ერთნაირ მდგომარეობაში არ იყო, მაგრამ მატება ნამდვილად იგრძნობა. ვიმედოვნებ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ფიზიკურადაც მოვუმატებთ და ამასთან, ტაქტიკურ და ტექნიკურ ვარჯიშებსაც დავხვეწავთ“.*

ცნობისათვის - ნაკრებმა ფიზიკურ კონდიციებში საგრძნობლად რომ მოუმატა, ამას არავინ უარყოფს - თვით ზაიზენბახერის მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ფიზიკური მომზადება მუდამ რჩებოდა ჩვენებურთა „აქილევსის ქუსლად“. ვიმედოვნებთ, ამ პრობლემის მოგვარება შედეგებზეც აისახება.

კიდევ ერთი საკითხი, რამაც გაგვაკვირვა, პერსპექტიული ახალგაზრდების - ტატალაშვილის და განსაკუთრებით, ჭრიკიშვილის გუნდურში დაყენებაა, რაც, ფაქტობრივად, სათადარიგოდ გამწესებას ნიშნავს. ბოლო წლებში პრობლემურად ქცეულ 73 კილოგრამში ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორი ტატალაშვილი ერთ-ერთი ყველაზე იმედის მომცემი ფალავანია, ჭრიკიშვილის ტალანტს კი მსოფლიო აღიარებს - შარშან ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოსიც. მისგან ოლიმპიადაზეც ელოდებიან წარმატებას, ამ დროს კი საევროპო ნაკრებშიც ვერ მოხვდა! მაინც რატომ - არ იყო ფორმაში თუ მწვრთნელი ახალგაზრდული ასაკის გამო ვერ ენდო? ამ საკითხის განმარტება ზაიზენბახერის თანაშემწეს, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურს** ვთხოვეთ. მას არც დაუმალავს, რომ ჭრიკიშვილის დაყენებას თვითონაც ელოდა, მაგრამ თურმე ყველაფერი საკონტროლო შეხვედრებმა გადაწყვიტა - ახალგაზრდა ტალანტმა ყველა ორთაბრძოლა წააგო! ისე, ამანაც ბევრი ეჭვი გააჩინა - ის ან გადაიღალა, ან - შეგნებულად დათმო შეხვედრებიო. გადაიღალა თუ არა, ამის მტკიცება ძნელია, მაგრამ წარმოდგენილ შემადგენლობაში სწორედ ამ მიზეზით არაა **დავით ასუმბანი** (60) - მას თვითონ უთხოვია სამთვიანი დასვენება და მონასტერში წასულა. ზაიზენბახერის მეთოდები რომ მკაცრია და დიდი გამძლეობა სჭირდება, არც ამას უარყოფენ, მაგრამ ფიზიკური კონდიციების ამაღლებაც აუცილებელია და ჰაერივით საჭირო. თან უკვე პროგრესიც არის, მაგრამ იქნებ ინდივიდუალური მიდგომა აქაც საჭირო იყოს - ყველა ერთნაირად ვერ იტანს დატვირთვას.

რამდენად გამართლებულია ნაკრების მოსამზადებელი გეგმის განსაზღვრა სპორტსმენთა სურვილის გათვალისწინებით და ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორც სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე გამოსვლა-არ გამოსვლაა, უნდა წყდებოდეს თუ არა ათლეტთა ნება-სურვილით, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ კი განვმარტავთ, რომ გაგვაოცა მხოლოდ გეგმის ასე მკვეთრად, ასე სპონტანურად და ამ ფორმით შეცვლამ, თორემ არანაირად არ ვართ ლიდერთა ჭიდაობის წინააღმდეგნი. უბრალოდ, გვინდა, ნაკრებში მართვის მწყობრი სისტემა ჩამოყალიბდეს. ბუნებრივია, მთავარი შედეგია და ვიმედოვნებთ, ნაკრები ევროპაზე წარმატებითაც გამოვა, მაგრამ ასეთი მკვეთრი ცვლილებები გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ძიუდოში ყველაფერი მთლად რიგზე ვერ უნდა იყოს.

**ირაკლი თავაძე**

**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.**

**ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი**



# ტურის დასკვნითი მატჩები

**ჯემალ ცერცვაძის** სახელობის სპორტკომპლექსმა გუშინ საქართველოს ჩემპიონატის IV ტურის დასკვნით შეხვედრებს უმასპინძლა. სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა "თბილისმა" რიგით მე-19 გამარჯვება ამჯერად „ქუთაისთან“ მოიპოვა. "ბათუმთან" დასრულებული ფრის შემდეგ თბილისელებმა სრული მობილიზება გამოაცხადეს და იმერლებს დიდი ანგარიშით 44:20 სძლიეს. გამარჯვება მოიპოვა "ქარიშხალამაც", რომელმაც "ბათუმი" 32:21 დაამარცხა. კიდევ ერთი მარცხი განიცადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა. ამჯერად მან შეხვედრა აზერბაიჯანის ნაკრებთან 33:40 დათმო.

მეოთხე ტურისა და ჩემპიონატის ბომბარდირი 213 გატანილი გოლით „ბათუმის“ ხელბურთელი **გოგიტა ნიკურაძეა.**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსაუ/თბილისი | 20 | 19 | 1 | 0 | 39 |
| 2. ქუთაისი | 20 | 11 | 0 | 9 | 22 |
| 3. ქარიშხალა | 20 | 90 | 1 | 0 | 18 |
| 4. ბათუმი | 20 | 54 | 1 | 0 | 14 |
| 5. თსუ | 20 | 52 | 1 | 1 | 12 |

**სალომე ხარატიშვილი**

**ჭადრაკი**

# 26 ქვეყანა, 131 მოჭადრაკე

**თბილისში** სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“-დან 19 მაისამდე მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. დღეისთვის უკვე 26 ქვეყნის 131-მა წარმომადგენელმა განაცხადა შეჯიბრებაში ასპარეზობის სურვილი. სტუმართაგან ყველაზე მეტი მონაწილე (19) რუსეთს ეყოლება. მედლებისთვის მებრძოლთა შორის იქნებიან: მსოფლიოს ექსჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2503), ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** (2559), მისი და - კონტინენტის მრავალგზის პრიზიორი **ნადეჟდა კოსინცევა** (2567), ასევე, ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - **კატერინა ლახნო** (უკრაინა, 2531) და **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2484), მსოფლიოს ექსჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2523), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2528), **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა,2526), ევროპის ექსჩემპიონი **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა, 2443) ... ტურნირის რეიტინგფავორიტია ქართველი დიდოსტატი, 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (2567). მასპინძელთაგან მასთან ერთად იპაექრებენ: **ბელა ხოტენაშვილი** (2465), **სალომე მელია** (2462), **ლელა ჯავახიშვილი** (2437), **ნინო ხურციძე** (2436), **ნაზი პაიკიძე** (2425), **სოფიკო ხუხაშვილი** (2421), **მაია ლომინეიშვილი** (2376),**ნინო ბაციაშვილი** (2376) და სხვები.

შეჯიბრების მონაწილეები 19 მაისს ქუთაისში გადაინაცვლებენ და 20-21 მაისს სწრაფ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონობისთვის ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია**

**მშვილდოსნობა. ევროპის დიდი პრიზი**

# უსახელოდ დასრულებული დიდი პრიზი




**ჩვენმა** მშვილდოსნებმა ანთალიაში მიმდინარე ევროპის „დიდი პრიზის“ გუნდურ გათამაშებას პირველივე შეხვედრიდან გამოეთიშნენ. მოგეხსენებათ, თურქეთში ჩვენგან მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოდიოდა, რომელმაც შესარჩევ ეტაპზე საუკეთესო შედეგი - 3795 ქულა აჩვენა. ისინი პლეი ოფის პირველ წრეში ისვენებდნენ, მეორეში კი ბელარუსთა მძლეველ პოლონელებს შეხვდნენ. პოლონელთა გუნდი ევროპაში ერთ-ერთი სოლიდურია, მაგრამ ანთალიაში მათ მხოლოდ მერვე შედეგი ჰქონდათ... თუმცა პლეი ოფი ხომ ნერვების გამოცდაა და ნაღდი ბრძოლებიც აქედან იწყება - ჩვენებმა 210:213 დათმეს. ამ ორთაბრძოლისთვის ნაკრების ხელმძღვანელობამ საკადრო ცვლილებასაც კი მიმართა - შედარებით გამოუცდელ **ლანა ვერულიძეს** ისევ ძველი შემადგენლობის წევრი **ასმათ დიასამიძე** არჩიეს. პირად პირველობაში 19-ზე გასულმა ვერულიძემ ბევრად აჯობა 49-ადგილოსან დიასამიძეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ამას გუნდურში ბრძოლის შეუდარებლად მეტი გამოცდილება აქვს. თან დიასამიძე გუნდურში ყოველთვის კარგად გამოდის. ეტყობა, მწვრთნელთა არჩევანიც ამან განაპირობა, თუმცა ვერც ამით იხეირეს.

ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ნაკრების გამოსვლაზე რა აზრისაა კორეელი მწვრთნელი **ან იონ სეუნი**, მაგრამ ჩანს, ნაკრებს მართლაც აუცილებლად სჭირდება ფსიქოლოგი. ადრე ამ დარგის სპეციალისტის მოწვევაზე ინტენსიურად ლაპარაკობდნენ, მაგრამ მოგვიანებით გადაწყვიტეს, ისევ კორეელის მეთოდებს მინდობოდნენ და ამ ეტაპზე მოვლენათა განვითარებას დაელოდნენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ - კორეელის აზრი ჯერ არ ვიცით, მაგრამ საინტერესოა, რომ მაშინ პოლონელი ფსიქოლოგის მოწვევას აპირებდნენ.

პოლონეთის ნაკრებმა არც ჩვენების დამარცხების შემდეგ დაყარა ფარ-ხმალი და გერმანიასაც მოუგო - 212:206. შედეგად, დღეს ფინალში რუსებს შეხვდებიან, ბრინჯაო კი გერმანიამ ირგუნა, რომელმაც საამისოდ ბრიტანეთის ნაკრებს 210:205 აჯობა.

**ირაკლი თავაძე**

**ცურვა**

# მსოფლიო მოიელიეს და ევროპაზე ფიქრობენ



მარცხნიდან: ვლადიმერ გოიაშვილი, ნიკა თვაური და ჰენრი კუპრაშვილი

**უკვე** გაუწყეთ, რომ თურქულ ანთალიაში უსინათლოთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა ცურვაში. საასპარეზოდ 20 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ბრასში 84 ქალ-ვაჟი ცდიდა ძალებს. 50 მეტრი თბილისელმა **ნიკა თვაურმა** 48 წამში გაცურა და მე-3 ადგილი დაიკავა. ოქრო-ვერცხლი პოლონელებმა — **მარცინ რიშკამ** და **დავიდ გლოვაცკიმ** მოიპოვეს.

— ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად ნიკას ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, — გვითხრა თვაურის მწვრთნელმა **ჰენრი კუპრაშვილმა,** — თანაც „ოლიმპიკის“ აუზში ორჯერადი ვარჯიშისთვის ცოტა დრო დაგვითმეს, არადა, ანთალიაში ვერცხლის მედლის მოხვეჭა შეიძლებოდა. „ოქროს“ კი ნამდვილად ვერ შევწვდებოდით, რადგან პოლონელი რიშკა ძალიან ძლიერი მოცურავეა. მან ბრასში სამი დისტანცია მოიგო. ახლა მთავარია, ევროპის ჩემპიონატისთვის მოვემზადოთ. ამ შეჯიბრებას 1-10 ივლისს ბერლინი უმასპინძლებს. ჩემმა შეგირდმა თურქეთში 100 მეტრი წუთსა და 50 წამში გაცურა, მე-9 ადგილი დაიკავა და კონტინენტის პირველობაში მონაწილეობის უფლება დაიმსახურა. გერმანიაში კი 2012 წლის ლონდონის პარალიმპიური თამაშების ლიცენზია გათამაშდება. ჩვენი მიზანი სწორედ საგზურის მოპოვებაა. ყოველივე ეს ფუჭი ოცნება იქნებოდა, რომ არა საქართველოს პირველი ლედის — ქალბატონ სანდრა რულოვსის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გია ნაცვლიშვილის დახმარება. თურქეთშიც სწორედ მათი თანადგომითა და სეოკ-ის დაფინანსებით გავემგზავრეთ. გვერდით დაგვიდგა საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს“ ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი ვლადიმერ გოიაშვილის გულისხმიერება მინდა გამოვყო.

**ნიკა თვაური:** თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი ბრინჯაოს მედლით აღვნიშნე. შეჯიბრების დაწყებამდე აუზში რომ გადავეშვი, წყალმა ქაფქაფი და დგაფუნი დაიწყო, ზედიზედ რამდენიმე ტალღა დამეჯახა. ვიფიქრე, რამე ხომ არ გავაფუჭე-მეთქი. მერე მივხვდი, რომ აუზში მარტო არ ვიყავი. ეს ხომ ჩემი პირველი ტურნირი იყო და გამოცდილება მაკლდა. დაჯილდოებისას პოლონეთის ჰიმნი რომ აჟღერდა, გულში გამკენწლა — ნეტავ, საქართველოს ჰიმნი იყოს-მეთქი.

**— ამის შანსი ბერლინში მოგეცემა...**

— ჰო, მაგრამ იქ წარმატების მიღწევა უფრო ძნელი იქნება, რადგან გერმანიაში პარალიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება. ჩემსას ვეცდები. იმ კვირიდან ბატონ ჰენრი კუპრაშვილთან ერთად მზადებას დავიწყებ. დღეს „ლაგუნა ვერეს“ მესვეურთა კეთილი ნებით აღმასრულებელმა დირექტორმაა ვეფხია ხუნძაგიშვილმა და დირექტორმ ვლადიმერ გოიაშვილმა აუზისა და სატრენაჟორო დარბაზის უფასოდ სარგებლობის უფლება დამრთეს. ბატონმა ვლადიმერმა ფასიანი საჩუქრითაც დამაჯილდოვა. დიდი მადლობა მათ და ყველა იმ ადამიანს, ვინც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიზნის მიღწევაში მეხმარებოდა.

**ვლადიმერ გოიაშვილი:** "მითქვამს და გავიმეორებ: ნიკა თვაური, თავსდატეხილი უბედურების მიუხედავად, მიზანსწრაფული, ძლიერი პიროვნებაა და ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, გვერდით დაუდგეს მას. „ლაგუნა ვერეს“ ხელმძღვანელები და თანამშრომლებიც ვგრძნობდით ნიკას პოტენციალს, ამიტომ ვქომაგობდით და გვჯეროდა მისი. გაგვიმართლა კიდეც — ჩემპიონატიდან მედლით დაგვიბრუნდა. ევროპის პირველობამდე ორთვე-ნახევარია დარჩენილი და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს კვლავაც ნორმალური ვარჯიშის პირობები შევუქმნათ".

**ვაჟა დანელია**

XXI ტურის საუკეთესო
MVP



# საიდუმლო იარაღი ჯერ არ გამოგვიყენებია

21-ე ტურში შსს „არმიას“ დაუპირისპირდა. საწყისი სამი პერიოდი შსს-სი იყო, მეოთხე რაუნდში კოტე ტულუშისა და ანატოლი ბოისას აქტიურობის შედეგად „არმიამ“ თამაში შემოატრიალა. ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო კალათბურთელად ულაპარაკოდ დავასახელეთ **კოტე ტულუში.**

- როგორსაც ველოდით, ისეთი რთული მატჩი გამოდგა, თუმცა წინასწარ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ მეტოქე 16 ქულით გაგვასწრებდა. ისევე როგორც ჩვენ, შსს-საც კარგად ვყავდით შესწავლილი და ამიტომაც გაგვიჭირდა. თუმცა გადამწყვეტი მომენტისთვის ჩვენ უფრო მომზადებულები აღმოვჩნდით...

**- მეოთხე პერიოდში, ანგარიშზე 56:66, შორი მანძილიდან სამქულიანი ისროლე. ამას ბოისას 5 ქულა მოჰყვა... რომ არ ჩაგეგდო, შეიძლება თამაშის რიტმი არც შეცვლილიყო...**

- როდესაც მომზადებული სტყორცნი, გჯერა, რომ ბურთი მიზანს მიაღწევს. ვგრძნობდი, საჭირო იყო ასეთი მოქმედება. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდა. აქვე დავამატებ - გავიმარჯვეთ არა ინდივიდუალური, არამედ გუნდური მოქმედების ხარჯზე.

**- რეგულარულ ეტაპზე „არმიას“ გამოსვლის შესახებ რა შეიძლება ითქვას?**

- თავიდანვე გვქონდა რეგულარული ეტაპის მოგების იმედი. მოვინდომეთ, ბევრი ვიმუშავეთ და მიზანსაც მივაღწიეთ. თუმცა, გვქონდა ხარვეზებიც, რაც კარგად გავაანალიზეთ და გამოვასწორეთ.

**- თსუ-სთან დამარცხდით, შსს-სთან გაგიჭირდათ... „არმია“ პირველი წრის ბოლოს უკეთეს კონდიციებში ხომ არ იყო.**

- შეიძლება გარედან ასე ჩანდეს, მაგრამ სადღეისოდ ურიგო ფორმაში არ ვართ. ის კი გასათვალისწინებელია, რომ პირველი წრის შემდეგ არაერთი გუნდი გაძლიერდა და თამაშიც გააუმჯობესა, რამაც კონკურენცია გაზარდა. კვირას ბათუმში შეკრებაზე მივემგზავრებით, 29 აპრილამდე დავრჩებით. იქიდან პირდაპირ ქუთაისში ჩავალთ, სადაც ოლ სტარი გაიმართება.

**- ალბათ, არაერთ არმიელს მოუნევს ამ მატჩში თამაში...**

- ზუსტად არ ვიცი. ისე, საინტერესო იქნებოდა ქართველების ნაკრები ლეგიონერებს რომ დაპირისპირებოდა, ისე, როგორც ევროპულ ქვეყნებშია. ტუჯანი, ლამუ, ძმები დამუსები, ჰარისი, კოტონი, როჯერსი, როდუმტა... საინტერესო შემადგენლობები შეიკრიბებოდა. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა.

**- პლეი ოფის მეტოქეებზე რას იტყვი?**

- ყველა სახიფათო მოწინააღმდეგეა. ნუგზარ კანდელაკის მისვლის შემდეგ „სამედიცინო“ ათამაშდა, „სოხუმიც“ ძლიერი გუნდია, შსს-ს, თსუ-სა და „ქუთაისის“ ძალა სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს. ასე რომ, საინტერესო პლეი ოფი გველის. რაც მთავარია, საიდუმლო იარაღი ჯერ არ გამოგვიყენებია...

**- რა იარაღი?**

- თუ ახლა ვიტყვი, საიდუმლო აღარ გამოვა. ამ იარალს ნახევარფინალში ან ფინალში გამოვიყენებთ, თუ მიმდინარე ჩემპიონატში არ დაგვჭირდა, მომდევნო სეზონისთვის შევინახავთ.

## სუპერლიგა. XXII ტური

15აპრილი, ქუთაისი

| | |
|---|---|
| ქუთაისი | 100 |
| თსუ | 82 |

24:27, 30:18, 26:11, 20:26

**ქუთაისი:** კვერნაძე (2ქ), ბაბუნაშვილი, დიდია (24ქ, 10ა), კვიმსაძე (20ქ, 6ა, 7მ), ტუკვაძე (5ქ), ბოლქვაძე (5ქ, 6მ, 3ა), ლომინაშვილი (8ქ, 8მ, 3ა), გ. ბარბაქაძე (12ქ, 3ა), ცეკვავა (19ქ, 4ა, 3ჩ), კოლუაშვილი (3ქ), ქორიძე (2ქ), კუჭავა.

**თსუ:** ხიზანიშვილი (2ქ, 6მ), მარხვაშვილი (8ქ, 3ა), კოხრეიძე (4ა), ლონდარიძე (23ქ, 6მ), კორკოტაძე (3ქ), ჩიტაშვილი (12ქ, 8ა, 3ჩ), მათიაშვილი (18ქ, 5მ), დეკანოიძე (3ქ), მ. ბერიშვილი (13ქ, 3ა), ზ. მაისურაძე.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე. კომისარი: რ. ხომერიკი.

# როგორც ველოდით

შევაბიჯეთ XXII-ში... საუკუნეში არა, ტურში - ოცდამეორე ტური გუშინ ქუთაისში დაიწყო და პირველი მატჩი როგორც მოსალოდნელი იყო, ისე დასრულდა. გაიმარჯვა „ქუთაისმა“, რომელსაც მოგება მეტოქეზე მეტად სჭირდებოდა. თავად განსაჯეთ, თსუ-ს ქუთათურები რომ დაემარცხებინა, ხოლო დღეს შსს-ს „სოხუმისთვის“ ეჯობნა, მესამე ადგილზე „ქუთაისის“ ნაცვლად შსს ავიდოდა. ასეთ შემთხვევაში, თუ ზემოთ ნახსენები გუნდები მეოთხედფინალურ ბარიერს დაძლევდნენ, ნახევარფინალში თსუ შსს-ს გადაეყრებოდა. ცხადია, თსუ-ს მეტოქედ „ქუთაისი“-“სამედიცინოს“ შორის გამარჯვებული ერჩივნა.

ასე და ამგვარად, გუშინ დალაგდა სატურნირო ცხრილის ზედა სამეული: პირველია „არმია“, მეორე - თსუ, მესამე - შსს... დანარჩენი დღეს გადაწყდება.

## საქართველო და ევრობასკეტი

# სლოვენიამ საუკეთესო შემადგენლობა თუ შეკრიბა...

*ვაგრძელებთ საქართველოს ნაკრების მეტოქეების განხილვას. აქამდე ჩვენი გუნდი ვირტუალურად ბელგიასა და რუსეთთან გავაჯიბრეთ. პირველ მატჩში პლუს-მინუსების შეჯამებით 81:79 გავიმარჯვეთ, ხოლო მეორეში რუსებთან 77:83 წავაგეთ.*

*დღეს სლოვენიას ვეთამაშებით...*

### I პერიოდი

პირველ მეოთხედში შიდა ჩემპიონატებსა და ევროპულ ასპარეზზე გუნდების გამოსვლაზე ვთქვათ.

- კრკა-სა და „ოლიმპიას“ თუ გამოვაკლებთ, სლოვენიის ჩემპიონატი საქართველოს პირველობის დონისაა, - გვითხრა „არმიას“ ცენტრმა **დავით უგრეხელიძემ**, რომელსაც სლოვენიის ჩემპიონატში არაერთი წელი აქვს გატარებული (შარშანაც „კოპერში“ თამაშობდა).

იანვარში, სლოვენიური შეკრებისას „არმიამ“ „სენჩური“ დამაჯერებლად დაამარცხა, ხოლო „ზლატოროგთან“ დაძაბულ ბრძოლაში 4 ქულით დათმო. კრკა და „ოლიმპია“ შიდა ჩემპიონატში გაზაფხულიდან ჩაერთვნენ, რადგან პირველი ევროთასზე ასპარეზობდა, მეორე - ევროლიგაზე. კრკა ევროჩელენჯზე ფინალურ ოთხეულში გავიდა, ხოლო „ოლიმპიამ“ ევროლიგის ტოპ-16-ში იასპარეზა. მის აქტივშია „ეფესის“, „პანათინაიკოსის“, „მილანისა“ და სხვა წამყვანი ევროგუნდების ძლევა.

შიდა ჩემპიონატი და ევროთასებზე გუნდების გამოსვლა სანაკრებო შედეგებზე რა გავლენასაც ახდენს, ბელგიამაც დაგვანახა - იქაურ ჩემპიონატში მოთამაშე **ბეგინმა და ტაბუმ** დიდი თავსატეხი გაგვიჩინეს. როცა 6 დღეში 5 მატჩის ჩატარებაა საჭირო, დიდი მნიშვნელობა აქვს სათადარიგოებს. მაგალითად: სლოვენიის ნაკრების ვარსკვლავებს „ოლიმპიაში“ მოთამაშე რიგითი კალათბურთელებიც ღირსეულად შეცვლიან. მათ ხომ ევროლიგაზე თამაშის გამოცდილება აქვთ, რაც ღირებული რამაა.

მოკლედ, პირველი პერიოდისთვის გამოყოფილი 40 ქულა ორად ასე გაიყოფა - 25:15 სლოვენიის სასარგებლოდ.

### II პერიოდი

უკანა ხაზის მიხედვით სლოვენია ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. აი, ვინ იცავდა სლავების ღირსებას 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე: **გორან დრაგიჩი** („ფინიქსი“, NBA), **იაკა ლაკოვიჩი** („ბარსელონა“, ესპანეთი), **სანი ბეჩიროვიჩი** („მილანი“, იტალია), **იაკა კლობუჩარი** („პარტიზანი“, სერბეთი), **სამო უდრიხი** („ოლიმპია“, სლოვენია)... მათ დავუმატოთ **ბენო უდრიხი** („საკრამენტო“, NBA) და **საშა ვუიაჩიჩი** („ნიუ ჯერსი“, NBA), რომლებიც შარშან სლოვენიის ნაკრებს არ დაეხმარნენ. როგორც ამბობენ, ამდენი ვარსკვლავი პირველობას ვერ იყოფს, უდრიხი და ვუიაჩიჩი ამიტომაც არ ჩავიდნენ. არავინ იცის, 2011 წელს რა მოხდება, მაგრამ ამ ორი კალათბურთელის გარეშეც სლოვენიელებს ვარსკვლავური უკანა ხაზი ჰყავთ. სხვათა შორის, ახალგაზრდა გორან დრაგიჩს „ფინიქსში“ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** პირადად ავარჯიშებდა.



რეალობას ვერ გავექცევით, სლოვენიელთა უკანახაზელები საქართველოსაზე და ჩვენი ჯგუფის სხვა მეტოქე თანაამპლუელებზე ერთი თავით მაღლა დგანან - 30:10.

სლოვენია დიდი შესვენების წინ 55:25 დაწინაურდა.

### III პერიოდი

ახლა ფორვარდები შევადაროთ. აქაც ჯერ ის კალათბურთელები უნდა ჩამოვწეროთ, 2010 წლის მსოფლიო პირველობაზე რომ ითამაშეს: **გორან იაგოდნიკი** („ოლიმპია“, სლოვენია), **მიჰა ზუპანი** („პეტერბურგი“, რუსეთი), **გასპერ ვიდმარი** („ეფესი“, თურქეთი), **ბოსტიან ნახბარი** („ეფესი“, თურქეთი).

ვეტერანმა იაგოდნიკმა **გიორგი შერმადინს** უთხრა, ნაკრებში აღარ ვითამაშებო. თუმცა, მისი შემცვლელებიც მოიძებნებიან: იტალიის ჩემპიონატში ორი კარგი სლოვენიელი ფორვარდია, **მარკო მილიჩი** („კრემონა“) და **გორან იურაკი** („ბიელა“).

...და ძმები **ლორბეკები**?! ერაზემი „ბარსელონაში“ გამოდის, ხოლო დომენი - „ლაგუნ აროში“ **ნიკა ცქიტიშვილის** თანაგუნდელი იყო. კინაღამ გამოგვრჩა **მატიას სმოდიში** რუსული ცსკა-დან.

ჩამოვთვალოთ საქართველოს ნაკრების ფორვარდები: **ვლადიმერ ბოისა** („ოლიმპია“, სლოვენია), **ვიქტორ სანიკიძე** („ვირტუსი“, იტალია), **ნიკა ცქიტიშვილი** („ლაგუნ არო“, ესპანეთი. კარიერა მარტში განწყვიტა), **თორნიკე შენგელია** („პეპინსტერი“, ბელგია). სლოვენიელებისგან განსხვავებით საქმე ასარჩევად არ გვაქვს. ამიტომ 22:18 სლოვენიის სასარგებლოდ.

### IV პერიოდი

ცენტრები და მწვრთნელები გადაწყვეტენ სლოვენია-საქართველოს ვირტუალური დაპირისპირების შედეგს. თუმცა, სამი მეოთხედის შემდეგ ისედაც ყველაფერი ნათელია...

შარშან სლოვენიელთა სასტარტო ცენტრი **პრიმოჟ ბრეზეცი** („მილუოკიდან“ სეზონის დასაწყისში რუსულ „სამარაში“ გადავიდა) იყო. მძიმე ფორვარდად 210 სმ სიმაღლის **უროშ სლოკარი** („მანრესა“, ესპანეთი) თამაშობდა. მათ ეხმარებოდა **ჰასან რიზვიჩი** („უნიქსი“, რუსეთი). იყო კიდევ ორი კარგი ცენტრი, რომელიც 2010 წელს არ თამაშობდა: **მირზა ბეგიჩი** (სეზონი „ულგირისში“ დაიწყო და „რეალში“ აგრძელებს) და **რაშო ნესტეროვიჩი** („ოლიმპიაკოსი“, საბერძნეთი).

ქართველები ვამაყობთ ჩვენი ნაკრების წინა ხაზით, მაგრამ მსოფლიო მასშტაბის მხოლოდ ორი ცენტრი გვყავს - **ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი.** რადგან მატჩისას მხოლოდ ერთი ცენტრი თამაშობს (იგორ კოკოშკოვი ასე თვლის საჭიროდ), ქართველებს სასტარტო მეფარეც კარგი გვეყოლება და სათადარიგოც. ამ კომპონენტში სლოვენიელები ვერ გვჯობიან.

**ბოჟიდარ მალიკოვიჩი** სლოვენიის ნაკრების თავკაცად 2010 წლის დეკემბერში დაინიშნა. მას დიდი გამოცდილება აქვს. იგორ კოკოშკოვი ამ მხრივ მალიკოვიჩს ვერ შეედრება, მაგრამ აქვს ერთი უპირატესობა - საქართველოს ნაკრებს 2008 წლის შემდეგ წვრთნის და გუნდს შესანიშნავად იცნობს. მალიკოვიჩს კი საქმის ახლიდან დაწყება უწევს.

ვფიქრობ, მეოთხე პერიოდში არც ჩვენ გვაქვს უპირატესობა, არც - სლოვენიას: 20:20.

შევკრიბოთ მეოთხედები: 15:25, 10:30, 18:22, 20:20.

საქართველო-სლოვენია 63:97.

*- სლოვენია ჩვენზე ბევრად ძლიერია. მაგრამ უშანსოდ არ ვართ. როგორც ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა თქვა, ისეთ ჯგუფში მოვხვდით, შეიძლება ხუთივე თამაშის მოგება, ისევე როგორც ხუთივეს წაგება. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება კონკრეტული მატჩისთვის ვინ როგორ მოემზადება, ვის რა შემადგენლობა ეყოლება და ა.შ. - გვითხრა* **კოტე ტულუშმა.** *2000-02 წლებში ისიც სლოვენიურ „სლოვანში“ გამოდიოდა.*

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა სიმონიშვილმა**






მარცხნიდან: დამირ მარკოტ/ა (ხორვატია), გორან იაგოდნიკი (სლოვენია) და გიორგი შერმადინი

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაკლებად ცნობილი ასპარეზობები

### გოლბურთი

გოლბურთი გუნდური თამაშია ბურთით, რომელიც უსინათლოებისთვის გამოიგონეს, მაგრამ ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ მას ჯანმრთელი, სრულყოფილი მხედველობის მქონე ადამიანებიც თამაშობენ. ასეთ შემთხვევაში შეჯიბრების მონაწილენი სინათლეგაუმტარ სათვალეს იკეთებენ, რათა უსინათლოებს გაუთანაბრდნენ. გოლბურთს თამაშობენ როგორც კაცები, ისე ქალები. ასპარეზობს ორი გუნდი, თითოეულში 3-3 მოთამაშე: 1 ცენტრში, 2 — ფლანგებზე. მოედნის სიგრძეა 18 მ, სიგანე — 9 მ. ბურთს (დიამეტრი — 76 სმ, წონა — 1,25 კგ) ხორკლიანი ზედაპირი აქვს, შიგ ჩაყრილი ლითონის ნაკუწებს კი მოძრაობისას ხმას გამოსცემს, რათა უსინათლო სპორტსმენმა ბურთის ადგილმდებარეობა განსაზღვროს. შეხვედრის ხანგრძლივობაა 14 წუთი (ორი 7-7-წუთიანი ტაიმი 3-წუთიანი შესვენებით). თამაშის დროს მონაწილენი მუხლებზე დგანან, ხელებზე დაყრდნობილნი. მოედანზე ერთმანეთისაგან 1,5 მეტრის დაშორებით გავლებულია 15 სმ სიგანის რეზინისგან დამზადებული ზოლები. მათი პოვნა ხელის შეხებით შეიძლება (ზოლის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 3 მმ-ს), რაც უსინათლო სპორტსმენებს მოედანზე ორიენტირების საშუალებას აძლევს. სპორტსმენს არა აქვს უფლება, ბურთს 8 წამზე მეტ ხანს ფლობდეს. თამაშის მიზანია ბურთის შეგდება მეტოქის კარში, რომელიც სიგანით მოედნის ტოლია, ანუ 9 მ, სიმაღლით კი — 1,3 მ. გუნდის ყველა წევრს აქვს ხელით თამაშის უფლება. ბურთი მოედანზე გორებით უნდა ამოძრაონ. თუ იგი კარის ხაზს ჰაერში გადაკვეთს, გოლი არ ჩაითვლება.



გოლბურთი 1946 წელს გამოიგონეს ავსტრიელმა **ჰანს ლორენსენმა** და გერმანელმა **სეპ რეინდლმა**, როგორც მეორე მსოფლიო ომში დაბრმავებულთა რეაბილიტაციის ერთ-ერთი საშუალება. თავდაპირველად გოლბურთი არსებითად განსხვავდებოდა თამაშის თანამედროვე ვარიანტისაგან — კარი სხვა ზომისა იყო, ბურთი ხმას არ გამოსცემდა, სამაგიეროდ მოედნის თავზე ზანზალაკებიანი თოკები ეკიდა. თანამედროვე წესები თანდათანობით, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა. 1976 წელს პარალიმპიურ თამაშებზე ტორონტოში მოეწყო გოლბურთის თანამედროვე ვარიანტის პრეზენტაცია, 1980 წლიდან კი ის ოფიციალურად არის შეტანილი ამ თამაშების პროგრამაში. მსოფლიო ჩემპიონატი იმართება 1978 წლიდან (4 წელიწადში ერთხელ). ქალებში უძლიერესნი არიან გერმანიის, ფინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების, კაცებში — ფინეთის, კანადისა და ესპანეთის ეროვნული გუნდები.

## ვინ რა თქვა...

„ახლა, როდესაც გაიხსნა და საყოველთაო მონაპოვრად იქცა ადამიანთა მოდგმის გენოკოდი, ზიდანმა საფეხბურთო გენოკოდი უნდა დააპატენტოს. უნდა ვაღიაროთ, რომ მისი გენები ჩამორჩება ბუნების იმ შედევრებს, რომლებიც ჩადებული იყო დი სტეფანოში, პელეში, მარადონაში, კრუიფში, მაგრამ ფრანგს მაინც აქვს ერთი უპირატესობა ამ გენიოსებთან — მან თავის თავში მთელი საფეხბურთო საუკუნე შეჰყარა. მას არ დაუყვია ეს საუკუნე ნაწილ-ნაწილ. მთლიანად შეისრუტა."

**ხორხე ვალდანო**




**1928 წელი. სანქტ-მორიცი ზამთრის II ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი**

## საინტერესო ამბები

**ეგვიპტელი** ფარაონების სამარხებში, რომლებიც მეორე-მესამე ათასწლეულით თარიღდება, ბურთებია ნაპოვნი. იმავე პერიოდში ჩინეთში ფეხბურთის მსგავს სამ თამაშს თამაშობდნენ. ესენი იყო: ძიუ-ნიუ, ჩჟუ ჩუ და ცუ ძუ.

■ ■ ■

**ძვ. წელთაღრიცხვით** 1500 წელს ცენტრალურ მექსიკაში ჩაისახა პირველი კულტურები. იარაღით ვარჯიშთან ერთად გავრცელდა ბურთით თამაში — ტლაჩტლი. ოლმეკები ამზადებდნენ კაუჩუკის ბურთებს.

■ ■ ■

**ძველ** რომაელთა შორის ძალიან პოპულარული იყო ჰარპასტუმი — რაგბის მსგავსი თამაში.

■ ■ ■

**რომის** იმპერატორის ტიბერიუსის შვილობილმა, გაიუს იულიუს ცეზარ გერმანიკუსმა ოლიმპიაში ეტლით რბოლაში მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებაც მოიპოვა.

## თარიღი. 16 - 22 აპრილი

**16. 1960 წ.** დაიბადა **პიერ ლიტბარსკი** - ფეხბურთი (გერმანია)

**17. 1951 წ.** დაიბადა **ჰორსტ ჰრუბეში** - ფეხბურთი (გერმანია)

**18. 1999 წ.** ლეგენდარულმა კანადელმა ჰოკეისტმა **უეინ გრეცკიმ** 38 წლის ასაკში დაასრულა სპორტული კარიერა

**18. 1923 წ.** შეიქმნა სპორტსაზოგადოება „დინამო"

**19. 1947 წ.** პარიზში დაფუძნდა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია

**19. 1935 წ.** შეიქმნა სპორტსაზოგადოება „სპარტაკი"

**20. 1960 წ.** ფეხბურთში სსრკ ჩემპიონატში „ზენიტთან" მატჩში „პახტაკორმა" სამი გოლი გაიტანა... საკუთარ კარში („ანტირეკორდი")

**20. 1920 წ.** ანტვერპენში (ბელგია) გაიხსნა VII ოლიმპიური თამაშები.

**22. 1906 წ.** ათენში ჩატარდა რიგგარეშე ოლიმპიური თამაშები, რომელიც აღორძინებული I ოლიმპიური თამაშების 10 წლისთავს მიეძღვნა



უეინ გრეცკი

## ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. რომელ წელს შეიტანეს პირველად ხელბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?**

ა – 1932 წელს

ბ – 1936 წელს

გ – 1976 წელს

**2. „არც ცურვა იცის, არც კითხვა". ვინ თქვა ეს სიტყვები უბირ ადამიანზე?**

ა – სოკრატემ

ბ – პლატონმა

გ – სოლომონმა

**3. რა არის ქერლინგი?**

ა – სამაგიდო თამაში

ბ – გუნდური თამაში ყინულზე

გ – ინგლისური ხალხური თამაში

**4. ვინ არის გუნდე სვანი?**

ა – ნორვეგიელი ფეხბურთელი

ბ – ჰოლანდიელი წყალბურთელი

გ – შვედი მოთხილამურე

**5. რეიტინგი თავდაპირველად შეიქმნა სპორტსმენების და გუნდების მიღწევების მიხედვით საკვალიფიკაციო ცხრილის შესადგენად:**

ა – ჭადრაკში

ბ – ფეხბურთში

გ – ნიჩბოსნობაში

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-გ, 5-ა

## ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

# უპირატესობის ცნება

თამაშის უპირატესობის ცნება შეტანილია წესებში მსაჯის შესახებ. ამ დებულების თანახმად, მსაჯმა არ უნდა გააჩეროს თამაში, თუ დარწმუნებულია, რომ ეს უპირატესობას მოუტანს დანაშაულის ჩამდენ გუნდს. თუკი გუნდმა ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა, მსაჯს აღარ შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება. შესაძლოა, ფეხბურთელი გასაფრთხილებელი იყოს, მაგრამ უპირატესობის ცნების გამო, მსაჯმა არ შეაჩეროს თამაში, მაშინ იგი ფეხბურთელს დასჯის შემდეგი შეჩერების დროს.

შესაძლოა ფეხბურთელმა განზრახ ითამაშა ხელით თავის საჯარიმო მოედანზე, ხოლო ბურთი მისგან მიუვიდა ხელსაყრელ მდგომარეობაში მდგარ მეტოქეს, მსაჯი უნდა დაელოდოს მომენტს და თუ ბურთი კარში არ გავიდა, აუცილებლად 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა უნდა დანიშნოს.

მსაჯს შეუძლია უარი თქვას საჯარიმო დარტყმის დანიშვნაზე და თამაშის გაგრძელების ნება დართოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უპირატესობა მიენიჭება შეტევაში მყოფ გუნდს.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. სპორტსმენის შეგუება შეცვლილ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებთან; 8. დანიის საფეხბურთო კლუბი; 9. ჩეხური წარმოშობის ჰოლანდიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 11. იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი; 12. სპორტსმენის საუბარი ჟურნალისტთან; 14. სლოვაკეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 17. საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 19. ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი; 20. რუსი საბჭოთა მოცურავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი; 24. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 26. ლაკოსტის ფირმის ემბლემა; 27. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 28. "ტოტენჰემის" ემბლემის, შავი მამლის სახელი.

**შვეულად:** 1. სპორტსმენთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 2. საქართველოში გავრცელებული ხალხური თამაშობა; 3. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში; 4. საქართველოს 2011 წლის ჩემპიონი ჭადრაკში; 5. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების წევრი; 6. ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი; 7. ფრანც ბეკენბაუერის მეტსახელი; 10. წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი; 13. "ლიონის" ცენტრალური ნახევარმცველი; 15. "პანათინაიკოსის" კაპიტანი; 16. პროფესიონალი მოკრივის, პაკიაო მენის მშობლიური ქვეყანა; 17. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი "რეალ ..."; 18. წმინდა მოგება ძიუდოში; 21. "ბორუსია დორტმუნდის" ერთ-ერთი წევრი; 23. ყოფილი გერმანელი პროფესიონალი ჩოგბურთელი მამაკაცი; 25. ბანქოს ჯგუფური თამაში, პოკერის წინამორბედი.

პასუხები მომდევნო ნომერში

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ*

## თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

**შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 10-3 | 9 | I |
| B | | ■ | | | | | | | 2-4 | 6 | II |
| C | | | ■ | | | | | | 3-5 | 1 | III |
| D | | | | ■ | | | | | 0-3 | 1 | IV |

### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 1:1 | 5:0 | 1:1 | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 | I |
| B | 1:1 | ■ | 3:2 | 1:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 | II |
| C | 0:5 | 2:3 | ■ | 1:0 | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 | III |
| D | 0:1 | 0:1 | 0:1 | ■ | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 | IV |

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ზირაქაშვილი დაბრუნდა, ფეიქრიშვილი ისევ დაშავებულია


გიორგი ჩხაიძე (მარჯვენივ)

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა. ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან პლეი ოფში მოხვედრის შანსს ისევ ოთხი ინარჩუნებს: „მონპელიე“, „კლერმონი“, „კასტრი“ და „ტულონი“. დანარჩენი ორი, „ბრივი“ და „აჟენი“ კი დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, თუმცა ამჟამად გაცილებით უკეთესი სატურნირო მდგომარეობა აქვთ, ვიდრე თუნდაც ერთი ტურის წინ ჰქონდათ.

24-ე ტური აუსტაიდერების **ბექა შეყლაშვილის** „აჟენისა“ და „ლა როშელის“ მატჩით იხსნება. ამ თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა მასპინძელ „ლა როშელისთვის“ აქვს, ვინაიდან წაგების შემთხვევაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე ოფიციალურად გავარდება პირველი დივიზიონიდან.

ამიტომ, ლაროშელელები ყველაფერს ილონებენ, რათა შეყლაშვილი და კომპანია დაამარცხონ. ამ შემთხვევაში ისინი დივიზიონში დასარჩენ მიზერულ შანსს მაინც შეინარჩუნებენ.

„აჟენის“ წისქვილზე წყალს ის ასხამს, რომ მეტოქემ ბოლო შვიდ ტურში მხოლოდ ერთხელ მოიგო. ჩვენებურის გუნდმა კი წინა, 23-ე ტურში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი „კასტრი“ დაამარცხა. „აჟენს“ ამჟამად 42 ქულა აქვს, მე-12 ადგილზეა და ცხრა ქულით უსწრებს „ლა როშელს“.

პირველ წრეში, ამ გუნდებს შორის შეხვედრა „აჟენმა“ 29:14 მოიგო. შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იქნება.

ურთულესი მატჩი ელის დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლ კიდევ ერთ „ქართულ გუნდს“, **ვასილ კაკოვინისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივს“. ჩვენებურთა გუნდი სტუმრად ეთამაშება პლეი ოფში მოხვედრის ერთ-ერთ კანდიდატ, ბასკურ „ბიარიცს“.

ბასკებს გასულ უქმეებზე მძიმე ბრძოლა გადახდათ „ჰაინეკენის თასის“ მეოთხედფინალში „ტულუზთან“. ამჯერად „ბრივის“ დამარცხების შემთხვევაში ბიარიცელები, ფაქტობრივად, გაინაღდებენ პლეი ოფის საგზურს. ვინაიდან, ბოლო ტურში უკვე გავარდნილ „ბურგუენს“, სავარაუდოდ, იოლად დაამარცხებენ.

„ბრივი“ ბოლო ტურებში ძველებურად, შესანიშნავად ათამაშდა, მაგრამ „ბიარიცთან“ სტუმრად დიდი ხანია არ მოუგიათ. თუმცა, თუ ჩვენებურთა გუნდი შვიდ ქულაზე ნაკლები სხვაობით წააგებს და ერთ საპრემიო ქულას მიიღებს, დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებს.

პირველ წრეში „ბრივმა“ შინ წააგო - 21:27. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, კაკოვინი თადარიგშია.

„ქართული გუნდებიდან“ საუკეთესო მაჩვენებელი **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ აქვს. წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენამ 65 ქულა დააგროვა და მე-3 ადგილზეა.

„მონპელიე“ 24-ე ტურში შინ ეთამაშება „ბაიონს“, რომელსაც პლეი ოფში გასვლის შანსი წინა ტურში პარიზული „მეტრო რასინგის“ დამარცხების შემდეგ გაუჩნდა. მონპელიელები წლეულს შინ დაუმარცხებელნი არიან და ცხადია, უშუალო კონკურენტთან მოსაგებად ყველაფერს ილონებენ. გუნდს ისევ ვერ დაეხმარება ტრავმის გამო ლიდერი **ფულენსე უოდრაოგო.**

ამ დროს, „ბაიონში“ სერიოზული ცვლილებებია. სამიოდ დღის წინ შეიცვალა კლუბის პრეზიდენტი, რომელსაც ბასკური გუნდის სპონსორები მეტად ენდობიან.

პირველ წრეში, „მონპელიემ“ სტუმრად 29:18 მოიგო. გორგოძე და ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში არიან, შველიძე, ჩხაიძე და ნარიაშვილი განაცხადში ვერ მოხვდნენ.

„მონპელიეს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“, რომელსაც, ერთი შეხედვით, იოლი გასეირნება ელის სტუმრად „ბურგუენთან“. მართალია, ბურგუენელები უმოტივაციოდ არიან, მაგრამ მათ დასაკარგი არაფერი აქვთ და გამორიცხული არ არის მეტოქეს მძაფრი ბრძოლა გაუმართოს.

პირველ წრეში „კასტრმა“ მეტოქეს 41:24 მოუგო. ფეიქრიშვილი და გიორგაძე დაშავებულნი არიან და არ ითამაშებენ.

ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევს 24-ე ტურში საფრანგეთის ჩემპიონს, დავით ზირაქაშვილის „კლერმონს“. „ვულკანები“ სტუმრად დაუპირისპირდებიან „სტად ფრანსეს“. ჩვენებურის გუნდი წლეულს უჩვეულოდ ცუდად თამაშობს გასვლით მატჩებში. „კლერმონს“ აგვისტოს შემდეგ სტუმრად არ მოუგია.

ჩემპიონებს ტრავმების მოშუშების შემდეგ დაუბრუნდნენ დავით ზირაქაშვილი, **მორგან პარა, ჟულიენ ბონერი, ჯიმი კუდმორი, სიონე ლაუკი** და **ტიბო პრივა.** დაშავებულნი არიან და ვერ ითამაშებენ **ალექსანდრ ლაპანდრი, ჯეისონ ვაითი, ჟულიენ პიერი, ჟულიენ ბარდი** და **ჟულიენ მალზიო.**

„სტად ფარნსეს“ პლეი ოფში მოხვედრის შანსი არ აქვს, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, რომ „ვულკანებს“ რამე დაუთმონ. პარიზელთა პრეზიდენტი **მაქს გუზანი,** სტადიონზე 75 ათას ქომაგს ელოდება და, გვპირდება, რომ შესანიშნავ შოუს მოაწყობს.

წლეულს პარიზელებს ფინანსურად გაუჭირდათ და გუზანი იძულებული გახდა კლუბის აქციების ნაწილი გაეყიდა. „სტად ფრანსე“, სავარაუდოდ, მთელი სიმძლავრით მომავალი სეზონიდან ამოქმედდება.

პირველ წრეში „კლერმონმა“ შინ 27:3 მოიგო. ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორის იქნება.

ტურის ცენტრალური შეხვედრა მარსელში გაიმართება, სადაც **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი“ გათამაშების ლიდერ „ტულუზს“ უმასპინძლებს. ჩვენებურის გუნდი 61 ქულით მე-7 ადგილზეა და ურთულესი კალენდარი აქვს. „ტულუზთან“ მატჩის შემდეგ ტულონელები „პერპინიანს“ უმასპინძლებენ, მერე კი სტუმრად ეთამაშებიან „მონპელიეს“.

პლეი ოფში მოსახვედრად „ტულონს“ ყველა მატჩის მოგება ესაჭიროება, რაც ძალიან ძნელად წარმოსადგენია, თუმცა მოთამაშეებმა ყველაფერი უნდა ილონონ, რომ საწადელს მიაღწიონ. აბა, კლუბის მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა, **მურად ბურჯელალმა** აურაცხელი ფული რისთვის დახარჯა?

პირველ წრეში „ტულონი“ სტუმრად დიდი ანგარიშით 5:44 დამარცხდა. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაშია.

### XXIV ტური

პერპინიანი-მეტრო რასინგი, ბიარიცი-ბრივი, ტულონი-ტულუზი, მონპელიე-ბაიონი, სტად ფრანსე-კლერმონი, ლა როშელი-აჟენი, ბურგუენი-კასტრი

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 73 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 68, 3. მონპელიე - 65, 4. კასტრი - 64, 5. კლერმონი - 63, 6. ბიარიცი - 62, 7. ტულონი - 61, 8. პერპინიანი - 59, 9. ბაიონი - 58, 10. სტად ფრანსე - 49, 11. ბრივი - 42, 12. აჟენი - 42, 13. ლა როშელი - 33, 14. ბურგუენი - 10.


გოდერძი შველიძე, მარჯვნიდან მეორე

საქართველოს ჩემპიონატი


ლოკომოტივი-არმია

# გამარჯვებული გამარჯვებულთან, დამარცხებული დამარცხებულთან

საქართველოს ჩემპიონატის გათამაშების მეორე ტურში ისე დაემთხვა, რომ ვინც პირველ ტურში გამარჯვება მოიპოვა, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ტურის ცენტრალური შეხვედრა კი, უდავოდ, ქვეყნის ჩემპიონის „ლოკომოტივისა“ და თასის მფლობელ „ლელოს“ დაპირისპირება იქნება.

რკინიგზელებმა „ლიბერთი თასის“ გათამაშების მეოთხედფინალში განცდილი მარცხის შემდეგ, ჩემპიონატის დებიუტანტ „არმიასთან“ მატჩში რევანში აიღეს. „ლოკომოტივმა“ შესანიშნავად ითამაშა, ყველაზე გამორჩეული კი ჰეთ თრიკის შემსრულებელი, მეორეხაზელი **დავით ჩიტიძე** იყო.

ლოკომოტიველებმა მომდევნო მეტოქესთან, „ლელოსთან“ ურთიერთშეხვედრებში წარუმატებელი ცხრამატჩიანი სერია შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში შეწყვიტეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონები წლეულს უფრო სოლიდურად გამოიყურებიან, ვიდრე შარშან. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ რკინიგზელებს ტრავმების გამო სამი წამყვანი მორკინალი, **ზვიად მაისურაძე, ლევან გენებაშვილი** და **დავით გასვიანი** აკლდათ.

ეს სამეული „ლოკომოტივს“ ვერც „ლელოსთან“ მატჩში დაეხმარება. თასის მფლობელებმა პირველ ტურში „არმაზი“ დაამარცხეს იოლად -36:12. ლელოელთა თამაშის სტილი არ შეცვლილა. შერკინებასთან ერთად აქტიური უკანა ხაზიც, რომელიც მგეზავის **ლაშა ხმალაძის** დაბრუნების შემდეგ ისევ მძლავრად ათამაშდა. საბოლოოდ გამოჯანმრთელება ვერ შეძლო გარემარბმა **ალექსანდრე თოდუამ,** რომელიც გუნდს ნამდვილად აკლია.

პირველ ტურში გამარჯვებულთა მეორე წყვილი თბილისის „აკადემია“ და ქუთაისის „აიაა“. აკადემიელებმა პირველ ტურში ურთულეს ბრძოლაში დაამარცხეს „ყოჩები“ - 19:15. **პაატა ნარიმანაშვილის** სამწყსომ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და არანაკლებ მრისხანე მეტოქის წინაალმდეგ თამაშის წინ კარგი განწყობა შეიქმნა. თბილისურ გუნდს, შარშანდლისგან განსხვავებით, მოკლე სათადარიგო სკამის პრობლემა აღარ აწუხებს და მისგან ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი.

„აიამ“ აქამდე ზედიზედ ორჯერ ითამაშა შინ რუსთავის „ხარებთან“ და ორივეჯერ მშრალი ანგარიშით დაამარცხა. უნდა ვივარაუდოთ, რომ წლეულს ქუთაისური გუნდის დაცვა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. ქუთათურთა გუნდი არც შეტევის ორგანიზებაში ჩამორჩება ვინმეს. „აია“ წლეულს „ყოჩებიდან“ გადაბარგებული მესამეხაზელით, **ირაკლი დგებუაძით** გაძლიერდა.

„აიასთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი, საფრანგეთიდან მობრუნებული შუამარბი **ირაკლი გიორგაძეა,** რომელიც **ბესიკ ხამაშურიძესა** და **ირაკლი ჩხიკვაძესთან** ერთად საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო უკანა ხაზს ქმნის.

საკმაოდ საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი დებიუტანტ „არმიასა“ რუსთავის „ხარების“ დაპირისპირებაში. ორივე გუნდმა ჩემპიონატი მარცხით დაიწყო და, ცხადია, ყველაფერს ილონებენ პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად.

„არმია“, მიუხედავად იმისა, რომ ახალი, ჯერ კიდევ შეუთამაშებელი გუნდია, საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს. საქართველოს ნაკრების წევრები **ბიძინა სამხარაძე, ირაკლი ნატრიაშვილი** და **ჯაბა ბრეგვაძე** წამყვანი მოთამაშეები არიან, თუმცა გუნდში სხვაც ბევრია ისეთი მოთამაშე, რომელსაც ლიდერობის უნარი შესწევს.

რუსთაველი კლუბი წლეულს ორი გამოცდილი მოთამაშით, **პალიკო ჯიმშელაძითა** და **კახაბერ უჩავათი** გაძლიერდა, თუმცა გუნდს ჯერ ეს არ დასტყობია.

დიდ დილომში, „ვისოლის“ სტადიონზე, „ყოჩები“ პირველ ტურში კიდევ ერთ ხელმოცარულ გუნდს - „არმაზს“ დაუპირისპირდება. „ყოჩები“ წლეულს ბევრმა წამყვანმა მორაგბემ დატოვა და საგრძნობლად დასუსტდა. უკეთეს მგომარეობაში არც „არმაზია“. გუნდები თითქმის ტოლ-სწორნი არიან და, წესით, მათ შორის საკმაოდ დაძაბული, საინტერესო ბრძოლა უნდა შედგეს.

### II ტური

ლოკომიტივი-ლელო, აკადემია-აია, არმაზი-ყოჩები, არმია-ხარები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 1 | 1 | 0 | 0 | +35 | 2 |
| 2. ლელო | 1 | 1 | 0 | 0 | +24 | 2 |
| 3. ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | +10 | 2 |
| 4. აკადემია | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 2 |
| 5. ყოჩები | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 |
| 6. არმია | 1 | 0 | 0 | 1 | -10 | 0 |
| 7. არმაზი | 1 | 0 | 0 | 1 | -24 | 0 |
| 8. ხარები | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ● ჩოგბურთი

# დღეს ნახევარფინალებია

გუშინ გაიმართა ფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩების წილისყრა და გაირკვა თანმიმდევრობა, რომლითაც ჩოგბურთელები კორტზე გავლენ.

შარლერუაში ბელგია ჩეხეთს მასპინძლობს. დღეს ამ შეხვედრას **კირსტენ ფლიპკენსი** და **პეტრა კვიტოვა** გახსნიან, შემდეგ კი კორტი **იანინა ვიკმაიერსა** და **ბარბორა ზახვალოვას** დაეთმობათ. კვირას მეტოქეები გაიცვლებიან, წყვილთა მატჩში კი ბელგიის მხრიდან **ან-სოფი მესტახი** და **ელისონ ვან აიტვანკი**, ჩეხეთის მხრიდან - **ივეტა ბენეშოვა** და **ზახვალოვა** ითამაშებენ.

მოსკოვში რუსეთის ნაკრები მოქმედ ჩემპიონ იტალიას შეხვდება. პირველ შეხვედრაში ურთიერთობას გაარკვევენ **ვერა ზვონარევა** და **სარა ერანი**. ამას მოჰყვება **სვეტლანა კუზნეცოვასა** და **რობერტა ვინჩის** მატჩი. კვირას ზვონარევა ვინჩის შეხვდება, კუზნეცოვა - ერანის. წყვილებში **ანასტასია პავლიუჩენკოვასა** და **ეკატერინა მაკაროვას** დუეტი **ალბერტა ბრიანტისა** და **მარია ელენა კამერინის** წყვილს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ გუნდების კაპიტნებს თითოეული მატჩის დაწყებიდან ერთი საათით ადრე შეუძლიათ პირველადი განაცხადის შეცვლა.



ბელგია კლაისტერსის გარეშე

### ● ავტოსპორტი

# ჩემპიონთა რბოლა ფრანკფურტში

წელს ტრადიციული „ჩემპიონთა რბოლა" გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ არაოფიციალურად სწორედ ამ შეჯიბრით იხურება ავტომოტოსეზონი და „ჩემპიონთა რბოლაში" სხვადასხვა სერიის საუკეთესო წარმომადგენლები ეჯიბრებიან ერთმანეთს.

რბოლა 3-4 დეკემბერს ფრანკფურტის საფეხბურთო არენაზე გაიმართება, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს. ტურნირი ნაცნობი სქემით ჩატარდება: პირველ დღეს გათამაშდება ეროვნებათა თასი, შემდეგ კი პილოტები პლეი ოფის სისტემით ერთმანეთში გაარკვევენ ინდივიდუალური პრიზის მფლობელს.

ბოლო წლებში „ჩემპიონთა რბოლას" ლონდონის „უემბლიმ", პეკინის ეროვნულმა სტადიონმა და დიუსელდორფის საფეხბურთო არენამ უმასპინძლეს. ფრანკფურტის შოუსთვის მინდორზე უნიკალური პარალელური ტრეკი აშენდება.

### ● ჰოკეი

# კანადამ შემადგენლობა დაასახელა

კანადის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა, რომელსაც **კენ ჰიჩკოკი** ხელმძღვანელობს, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის წინასწარი შემადგენლობა დაასახელა. გუნდში დარჩენილია რამდენიმე ვაკანტური ადგილი, რომელსაც სტენლის თასის პირველ რაუნდში გავარდნილი გუნდების ჰოკეისტები შეავსებენ.

ჯერჯერობით კანადელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - ჯეიმს რეიმერი („ტორონტო"), დევან დუბნიკი („ედმონტონი");

**მცველები** - დიონ ფანოფი („ტორონტო"), ლუკ შენი („ტორონტო"), ალექს პიეტრანჯელო („სენტ ლუისი"), ბრენტ ბერნსი („მინესოტა"), მარკ მეტოტი („კოლამბუსი");

**თავდამსხმელები** - მეტ დუშენი („კოლორადო"), ჯონ ტავარესი („აილენდერსი"), ჯორდან ებერლე („ედმონტონი"), ჯეფ სკინერი („კაროლინა"), კელ კლატერბეკი („მინესოტა"), ევანდერ კეინი („ატლანტა"), ენდრიუ ლედი („ატლანტა"), რიკ ნეში („კოლამბუსი"), ანტუან ვერმეტი („კოლამბუსი"), ჯეისონ სპეცა („ოტავა"), კრის სტიუარტი („სენტ ლუისი"), ტრევის ზაიჯაკი („ნიუ ჯერსი").

### ● ოლიმპიზმი

# სოჭი უცხოელს ჩააბარეს

სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადას უცხოელი სპორტული დირექტორი ეყოლება. რუსებმა ეს პოსტი 52 წლის შვეიცარიელ **ვერნერ აუგსბურგერს** ჩააბარეს. ეს ჩინოვნიკი ბოლო წლებში შვეიცარიის ჰოკეის ლიგაში აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. რუსული პრესის ინფორმაციით, აუგსბურგერი თავისი მოვალეობების შესრულებას 2011 წლის სექტემბერში შეუდგება.

აუგსბურგერს ოლიმპიადებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ის შვეიცარიის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ათენის (2004), ტურინისა (2006) და პეკინის (2008) თამაშებზე.

# ჰიმნებს ლონდონის ფილარმონია ჩაწერს

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორები თანამშრომლობაზე მოელაპარაკნენ ბრიტანეთის დედაქალაქის ფილარმონიის ორკესტრს.

ორკესტრი ჩაწერს ყველა იმ ქვეყნის ჰიმნს, რომელიც მომავალ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ეს ჰიმნები გამარჯვებული სპორტსმენებისა და გუნდების პატივსაცემად აჟღერდება.

ვარაუდობენ, რომ გაისად ზაფხულის ოლიმპიადაზე 205 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. ლონდონის ფილარმონიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამდენი ჰიმნის ჩასაწერად სტუდიაში დაახლოებით 50 საათი იქნება საჭირო.

2012 წელს ოლიმპიადა 27 ივლისს დაიწყება და 12 აგვისტოს დაიხურება.

### ● ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# მეკარეების დომინირებით



მილერს ვერაფერი მოუხერხეს

**ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფი მეკარეების დომინირებით მიმდინარეობს. პირველი რაუნდის მეორე დღეს კიდევ ორი „შათაუტი" დაფიქსირდა და ამის წყალობით სტუმარმა გუნდებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება.**

**აღმოსავლეთი**

| ბოსტონი–მონრეალი | 0:2 |
|---|---|

**0:1, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 ჯონტა-1 (გომესი-1), 0:2 ჯონტა-2 (გომესი-2).
**სერია:** 0:1

რიგით მესამე „შათაუტის" ავტორი გახდა **კერი პრაისი.** არადა, ასეთ გმირობას მისი მეტოქე გოლკიპერისგან - **ტიმ ტომასისგან** უფრო ელოდნენ. ბოსტონელი მეკარე ლიგის ლიდერი გახდა გაშვებული გოლების, მოგერიებული დარტყმებისა და მოგებათა პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, ხოლო ცხრა „შათაუტით" ის რეგულარულში მეორე ადგილზე გავიდა.

პრაისს შარშან თითქმის არ მოუწია პლეი ოფში თამაშმა. მაშინ „მონრეალის" კარს ბრწყინვალე **იაროსლავ ჰალაკი** იცავდა, რომელმაც გუნდი აღმოსავლეთის ფინალში გაიყვანა, შემდეგ კი ტრეიდით „სენტ ლუისში" აღმოჩნდა. ახლა პრაისი აპირებს სლოვაკი მეკარის გზის გავლას. გუშინ „კანადიენსის" კარის დარაჯმა 31 დარტყმა მოიგერია და მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა. მეორე გმირი **ბრაიან ჯონტა** იყო, რომელმაც **სკოტ გომესის** ორი საგოლე პასით 2:0 გამარჯვება მოუტანა „კანადიენსს".

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ პრაისმა ბოლო ორ მატჩში „ბოსტონის" წინააღმდეგ საშინლად ითამაშა - სწორედ ის იცავდა თავს 6:8 და 0:7 წაგებულ მატჩებში.

| ფილადელფია–ბაფალო | 0:1 |
|---|---|

**0:0, 0:0, 0:1**

**გოლი:** 0:1 კალეტა-1 (გრანიანი-1, გოსტადი-1).
**სერია:** 0-1

ამ სერიაში „ბაფალო" ყველას განწირული ჰგონია. ამ გუნდის ერთადერთი პლუსი ვანკუვერის ოლიმპიადის საუკეთესო მოთამაშე - მეკარე **რაიან მილერია**. სწორედ ამერიკელმა გოლკიპერმა მოაგებინა გუშინ პირველი თამაში „სეიბრზს". მის ანგარიშზე 35 სეივი მოდის.

მილერმა სასწაულები მოახდინა მეორე პერიოდში - თითქმის 50 წამი გაუმკლავდა „ფილადელფიას", რომელსაც ორით მეტი ჰოკეისტი ჰყავდა ყინულზე და 20 წუთის განმავლობაში 16 დარტყმა მოიგერია. ხოლო, როცა „ბაფალომ" მეტოქის შტურმი მოიგერია და დროებით ინიციატივა მოიპოვა, **პატრიკ კალეტამ** მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა და „ბაფალოს" ამ სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობა მოაპოვებინა.

არადა, „ბაფალოს" სტენლის თასზე საერთოდ არ ელოდებოდნენ - სადღაც იანვრის შუაში ეს გუნდი პლეი ოფის ზონას 10 ქულით იყო დაცილებული, მაგრამ რეგულარულის ბოლო 13 მატჩში მხოლოდ ერთი წააგო და მეშვიდე ადგილიდან გავიდა სტენლის თასზე.

რა თქმა უნდა, „ფილადელფიასთვის" ერთი მატჩის წაგება არაფერს ნიშნავს. შარშან ამ გუნდმა 0:3-დან გადაარჩინა „ბოსტონთან" სერია და შემდეგ ფინალშიც გააღწია. ასე რომ, აქ ჯერ ყველაფერი წინ არის.

**დასავლეთი**

| სან ხოსე–ლოს ანჯელესი | 3:2 (ო) |
|---|---|

**1:0, 1:2, 0:0, 1:0**

**გოლი:** 1:0 ჰიტლი-1 (ქლოუ-1, ი.უაიტი-1), 1:1 დ.ბრაუნი-1 (ჯასტინ უილიამსი-1), 2:1 კუტური-1 (ქლოუ-2, მიურეი-1), 2:2 ჯასტინ უილიამსი-1 (რ.სმიტი-1), 3:2 პაველსკი-1 (ველვუდი-1, ქლოუ-3).
**სერია:** 1-0

ერთადერთი გუნდი, რომელმაც გუშინ შინ მოიგო, „სან ხოსე" იყო. ცნობილია, რომ „შარქსი" მაღალ დონეზე გამოდის რეგულარულ ჩემპიონატში და შემდეგ პლეი ოფში ველარ აჩვენებს კარგ თამაშს - ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში ამ გუნდმა ხუთჯერ წააგო პირველი წრის სერია. მაგრამ, როგორც ჩანს, „ზვიგენების" სამწვრთნელო შტაბმა წელს ტაქტიკა შეცვალა. რეგულარულის მსვლელობისას კარგა ხანი „შარქსის" პლეი ოფში მოხვედრა-არმოხვედრის საკითხი იდგა დღის წესრიგში, მაგრამ ბოლოს გუნდმა კარგი ტემპი აკრიფა და საბოლოოდ, დასავლეთში მეორე ადგილი დაიკავა.

წინა წლებში პლეი ოფში კიდევ უფრო უარესი შედეგები ჰქონდა „ლოს ანჯელესს". ეს გუნდი 1993 წელს უეინ გრეტცკის წყალობით ფინალში მოხვდა, მაგრამ იქედან მოყოლებული 18 წლის განმავლობაში პლეი ოფის ერთადერთი სერია მოიგო.

„კინგზისთვის" შეხვედრა კატასტროფულად დაიწყო - 28 წამზე **დენი ჰიტლიმ** გახსნა ანგარიში. რომ არა სტუმრების მეკარის **ჯონათან კუიკის** ბრწყინვალე თამაში (42 დარტყმა მოიგერია), მატჩის ბედი კარგა ხნით ადრე გადაწყდებოდა, ასე კი „ლოს ანჯელესმა" შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, მაგრამ იქ **ჯო პაველსკის** ფაქტორი არ გაითვალისწინა და დამარცხდა. პაველსკი ის ჰოკეისტია, ვინც შარშან სტენლის თასზე „შარქსის" პირველ რვა მატჩში ცხრა გოლი გაიტანა. ახლა ამ ფორვარდმა, როგორც ჩანს, ახალი შედეგიანი სერია დაიწყო.

### ● კალათბურთი

# სანზი კარტერს უშვებს

## ჯინობილი და იგუოდალა პლეი ოფს ვერ დაიწყებენ

ამერიკული პრესის ბოლო ინფორმაციების თანახმად, „ფინიქს სანზის" ხელმძღვანელობა ამ ზაფხულს თავის ერთ-ერთ წამყვან კალათბურთელთან - **ვინს კარტერთან** გამოთხოვებას აპირებს. კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტის შემთხვევაში, კლუბმა ვეტერანს 4 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს, მაგრამ თუ კარტერი მომავალ სეზონშიც „ფინიქსში" ითამაშებს, მაშინ მისი შემოსავალი 18 მილიონი დოლარი იქნება.

2010-11 წლების სეზონში კარტერი საშუალოდ 13.5 ქულას, 3,6 მოხსნასა და 1.6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

■ ■ ■

გაირკვა ლიგის ორი წამყვანი კალათბურთელის ვინაობა, რომლებიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას ვერ მიიღებენ პლეი ოფის პირველი რაუნდის პირველ მატჩებში.

ერთ-ერთი „სან ანტონიო სპურსის" არგენტინელი ლეგიონერი **მანუ ჯინობილია**. ამის მიზეზი ტრავმაა, რომელიც მანუმ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩში მიიღო. ექიმებმა იდაყვის მყესების დაჭიმვა დაადგინეს. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ჯინობილი კვირის შეხვედრაში „მემფისის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

ასევე ეჭვქვეშაა „ფილადელფიას" ლიდერის **ანდრე იგუოდალას** თამაში „მაიამისთან" სერიის პირველ შეხვედრაში. ამ ფორვარდს მარჯვენა მუხლთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

# ტიბოდო ისტორიაში

როგორც იცით, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რეგულარული ჩემპიონატი „ჩიკაგო ბულზმა" მოიგო, რითაც მისმა მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** ისტორიულ შედეგს მიაღწია. ის მეორე ახალბედა მწვრთნელია ისტორიაში, ვინც რეგულარული სეზონი 62 მოგებით დაასრულა. ასეთივე შედეგი ჰქონდა 1992-93 წლების სეზონში „საკრამენტო კინგზის" ამჟამინდელ დამრიგებელ **პოლ უესტფოლს**, რომელიც მაშინ „ფინიქსს" ავარჯიშებდა.

ალსანიშნავია, რომ იმ სეზონში უესტფოლმა „სანზი" ფინალში გაიყვანა და იქ ძალიან დაძაბულ სერიაში „ჩიკაგო ბულზთან" დამარცხდა.

ასევე დებიუტანტი მწვრთნელის რანგში 60-მოგებიან ზღვარს მიაღწია ლეგენდარულმა **ბილ რასელმა**. ეს 1966-67 წლების სეზონში მოხდა, როცა რასელი „ბოსტონ სელტიქსს" წვრთნიდა.

ტიბოდო გასულ ზაფხულს ჩაუდგა სათავეში „ჩიკაგოს" (მანამდე ის „ბოსტონის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა) და 1998 წლის შემდეგ პირველად გაამარჯვებინა რეგულარულში.




ტომ ტიბოდო

სხვათა შორის, გუშინ გახდა ცნობილი, რომ ტიბოდო და „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" დამრიგებელი **ნეიტ მაკმილანი** აპრილის საუკეთესო მწვრთნელებად დასახელდნენ. „ჩიკაგომ" ამ თვეში რვიდან რვა მატჩი მოიგო და როგორც ვთქვით, რეგულარულ ჩემპიონატში გაიმარჯვა. „პორტლენდის" მონაგარი შვიდიდან ხუთი მოგება იყო და ამის ხარჯზე გუნდმა კონფერენციაში მეექვსე ადგილი დაიკავა. „ბლეიზერსი" ზედიზედ მესამედ გავიდა პლეი ოფში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. მონაკოს მასტერსი


იურგენ მელცერი

# ფედერერის გარეშე

მონტე კარლოს მასტერსის მერვედფინალურ ეტაპზე ყველაფერმა ლოგიკურად ჩაიარა. თითქმის ყველა მატჩს გარკვეული ინტრიგა ახლდა თან. მაგალითად, **მილოშ რაონიჩს** შეეძლო რევანში აელო **დავიდ ფერერისთვის** ავსტრალიის ღია პირველობაზე დამარცხების გამო. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მილოში კარიერაში მხოლოდ მესამე შეხვედრას ატარებდა გრუნტის საფარზე, ხოლო მისი მეტოქე თიხნარის ალიარებული ოსტატია, არავის სჯეროდა, რომ კანადელი წარმატებით დაძლევდა ამ ბარიერს. მართლაც, რაონიჩის ძლიერი მოწოდება დავიდისთვის სერიოზული საფრთხე არ ყოფილა. მთელი მატჩის განმავლობაში ესპანელმა ხუთი ბრეიკი გააკეთა - 6:1, 6:3.

ამის შემდეგ ცენტრალური კორტი მსოფლიოს პირველ ჩოგანს **რაფაელ ნადალსა** და **რიშარ გასკეს** დაეთმოთ. ფრანგმა რამდენჯერმე კარგი ბრძოლა აჩვენა ესპანელის წინაალმდეგ, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოიგო (პირადი შეხვედრების ანგარიში იყო - 0:7). ამჯერად მან ისევ ღირსეულად ითამაშა. პირველ სეტშიც, რომელიც ნადალმა ორი ბრეიკით მოიგო, ბევრი ბრძოლა იყო - ესპანელმა გაჭირვებით აიღო რამდენიმე ხანგრძლივი გეიმი. მეორე სეტში ნადალი ისევ ბრეიკით გავიდა წინ (4:3) და თითქოს ეს გადამწყვეტი მომენტი იყო მატჩში, მაგრამ გასკე არ დანებდა და საპასუხო ბრეიკი გააკეთა. თუმცა უფრო აგრესიულად მოთამაშე რაფამ ზედიზედ ორი გეიმი აიღო და მესამე სეტის შანსი არ მისცა ფრანგს - 6:2, 6:4.

**მარინ ჩილიჩი** და **როჯერ ფედერერი** მეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ნადალისგან განსხვავებით შვეიცარიელს უფრო იოლი მატჩი ჰქონდა, რადგან მოწინაალმდეგე ეხმარებოდა შეცდომებით. მეტოქეებმა ერთნაირი რაოდენობის „ვინერსები“ მოაგროვეს, მაგრამ ჩილიჩს 17-ით მეტი უნებლიე შეცდომა ჰქონდა. ამის გამო მან სერიოზული წინაალმდეგობა ვერ გაუწია როჯერს - 4:6, 3:6.

განთესვის პირველი ოთხეულიდან ყველაზე დიდ ინტერესს **ენდი მიურეი** იწვევდა. საქმე ისაა, რომ იანვრის შემდეგ ბრიტანელმა პირველი მატჩი წინა დღეს **რადეკ შტეპანეკთან** მოიგო. შოტლანდიელის მეორე მეტოქეს - **ჟილ სიმონს** უყვარს გრუნტზე თამაში, ამიტომაც მიურეის სერიოზული გამოცდა ელოდა. პირველ სეტში ფრანგი არაფერში ჩამოუვარდებოდა მიურეის, მაგრამ პარტიის მეორე ნახევარში ჩავარდნა ძვირად დაუჯდა. გარდა ამისა, მან ტრავმაც მიიღო და ერთი პირობა უარს ამბობდა ბრძოლის გაგრძელებაზე, მაგრამ მაინც გავიდა კორტზე. დაჩენილ დროში სიმონი აშკარად ფეხს უფრთხილდებოდა, რითაც კარგად ისარგებლა ენდიმ და მოჭრილ დარტყმებზე გადავიდა, რითაც პუბლიკამ სტვენით უპასუხა. შოტლანდიელის უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა - 6:3, 6:3.

მერვედფინალურ ეტაპს გარკვეული სარეიტინგო ინტრიგა ახლდა თან. მას შემდეგ, რაც წინა დღეს **ფერნანდო ვერდასკომ ტომი რობრედოსთან** წააგო, კლასიფიკაციის პირველ ათეულში ადგილი განთავისუფლდა - ფერნანდომ ვერ დაიცვა შარშანდელი ფინალი და ტოპ-ათეულიდან გავარდა. მის ადგილს ორი ჩოგბურთელი უმიზნებდა: **მარდი ფიში** და **ნიკოლას ალმაგრო**. თუმცა ამერიკელი მონტე კარლოში არ თამაშობს, ასე რომ, მასზე არაფერი იყო დამოკიდებული.

ყველაფერი ნიკოლას ალმაგროს ხელში იყო, რომელსაც ერთი მოგება სჭირდებოდა ათეულში შესასვლელად. მაგრამ მას ძლიერი მეტოქე ჰყავდა - **იურგენ მელცერი**, რომელიც რეკორდულ მერვე ადგილზე გადავიდა კლასიფიკაციაში. ალმაგრომ წინა დღეს სამსაათიანი მარათონი მოუგო **მაქსიმო გონსალესს** და ეტყობა, ძალების აღდგენა ვერ მოასწრო. საბოლოოდ, ავსტრიელმა იოლად გაიმარჯვა - 6:1, 6:4.

■ ■ ■

მელცერი ალმაგროს ძლევით არ დაკმაყოფილდა და გუშინ სენსაციურად მოუგო ფედერერს. თანაც ავსტრიელმა ამისთვის ორი სეტი იკმარა. იურგენმა თითო პარტიაში თითო ბრეიკი აიღო და ეს საკმარისი აღმოჩნდა გასამარჯვებლად. როჯერმა საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ეს მარცხი, რადგან ორივე სეტის ბოლოს ჰქონდა ბრეიკ-პოინტები, მაგრამ შეცდომების გამო ვერ გამოიყენა შანსი. მელცერი ნახევარფინალში ესპანელ დავიდ ფერერს შეხვდება.

იოლად შეაღწია საუკეთესო ოთხეულში ნადალმაც. მას მხოლოდ პირველი სეტის სტარტზე გაუჭირდა **ივან ლუბიჩიჩთან** მატჩში, როცა ხორვატმა მეტოქის ბრეიკს ანალოგიური წარმატებით უპასუხა, მაგრამ ამის შემდეგ 35 წუთში რაფამ ზედიზედ ხუთი გეიმი და მასთან ერთად სეტი მოიგო - 6:1. მეორე პარტიაში ნადალმა სტარტზე აღებული ბრეიკი ბოლომდე შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ მის ორ გეიმში ლუბიჩიჩს ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. დღეს დიდ ინტერესს იწვევს ნადალისა და მიურეის ნახევარფინალი.

აღსანიშნავია, რომ მერვედფინალური და მეოთხედფინალური ეტაპის 12 შეხვედრაში სამი სეტის თამაში არ გამხდარა საჭირო.

**ATP**

MONTE-CARLO ROLEX MASTERS
მონტე კარლო. გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**1/8 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-მილოშ რაონიჩი (კან) 6:1, 6:3; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5) 6:4, 6:2; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 11)**-ტომი რობრედო (ესპ) 3:6, 2:1 უარი; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რიშარ გასკე (საფ, 13) 6:2, 6:4; **ფედერიკო ჟილი (პორ)**-გაელ მონფილსი (საფ, 8) 7:6(6), 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 15) 6:4, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ჟილ სიმონი (საფ, 16) 6:3, 6:3; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 7)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 9) 6:1, 6:4.

**1/4 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 11) 6:3, 6:3; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 7)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2) 6:4, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 6:1, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ფედერიკო ჟილი (პორ) 6:2, 6:1.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ნორვიჩი-ნოტინგემი | 2:1 |
| **II ლიგა** | |
| საუთენდი-ბრედფორდი | 4:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ლივორნო-კროტონე | 1:2 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რეაკრეატიკო-ბარსელონა B | 1:1 |
| **გერმანია** | |
| მაინცი-ბორუსია (მ) | 1:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-უნიონი | 3:0 |
| ფრანკფურტი-მიუნხენი | 2:1 |
| ინგოლშტადტი-ბოხუმი | 3:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ზანდჰაუზენი-ერფურტი | 3:2 |
| ბრაუნშვაიგი-ბაბელსბერგი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ობერნოილანდი-ჰერტა A | 0:2 |
| ლაიპციგი-პლაუენი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ):** | |
| პფიულენდორფი-ფიურტი A | 0:0 |
| ვორმატია-ფრანქფურტი A | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კიოლნი A-ფორტუნა A | 2:1 |
| ჰომბურგი-ვუპერტალი | 2:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-გრენობლი | 1:0 |
| შატორუ-ტური | 3:0 |
| ევიანი-ისტრი | 3:2 |
| ლავალი-ნიმი | 1:0 |
| მეცი-კლერმონი | 3:3 |
| ნანტი-დიჟონი | 1:1 |
| რეიმსი-ბულონი | 4:1 |
| ტრუა-ანჟერსი | 1:2 |
| ვანი-სედანი | 0:3 |
| **ჰოლანდია** | |
| ჰერენვეენი-უტრეხტი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| დენ ბოში-ეინდჰოვენი | 3:1 |
| აპელდოორნი-ომნივორლდი | 3:3 |
| ფორტუნა-როსენდაალი | 2:0 |
| იგლზი-ვოლენდამი | 4:3 |
| ჰელმონდი-მაასტრიხტი | 1:0 |
| ტელსტარი-ემენი | 4:1 |
| ვეენდამი-დორდრეჰტი | 2:1 |
| **ბელგია** | |
| ანდერლეხტი-გენკი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბორინაჟი-ჰაისტი | 3:3 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-სეტუბალი | 1:1 |

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ჰაუგესუნდი-ბრანი | 3:3 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-მალმიო | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სუნდსვალი-ასირისკა | 1:2 |
| **ფინეთის თასი** | |
| პკ 35-იუვიასკიულა | 0:8 |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ჰარტბერგი | 1:2 |
| ლუშტენაუ-ვენა | 0:1 |
| სტ. პოლტენი-გრატკორნი | 0:0 |
| გროდიგი-აუსტრია (ლ) | 2:2 |
| სტ. ანდრა-ადმირა | 5:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კიასო-ლუგანო | 0:2 |
| კრინსი-ვინტერტური | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-გენჩლერი | 2:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-შემროკი | 1:1 |
| ბრეი-დროგედა | 2:1 |
| დანდალკი-სლიგო | 1:1 |
| გალვეი-დერი | 1:4 |
| სტ.პატსი-უნივერსიტი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კორკი-ფინ ჰარპსი | 5:0 |
| მერვუ-ლიმერიკი | 0:2 |
| შელბურნი-მონეგანი | 2:3 |
| უექსფორდი-ეთლონი | 0:1 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ბალა | 1:1 |
| ჰევერფორდვესტი-ებერისტვიტი | 1:3 |
| პრესტატინი-ტნს | .0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| პრშიბრამი-პლზენი | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| დუკლა-სპარტა B | 2:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| დ.სტრედა-შენიცა | 0:3 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-ჩერნომორეცი | 1:0 |
| სკა ენერგია-ჟემჩუჟინა | 3:1 |
| ხიმკი-ურალი | 3:1 |
| ალანია-ენისეი | 4:0 |
| კამაზი-ნ.ნოვგოროდი | 0:2 |
| მორდოვია-ტორპედო (ვ) | 4:0 |
| ფაკელი-გაზოვიკი | 1:1 |
| გაზპრომი-სიბირი | 1:0 |
| ტორპედო (მ)-დინამო (ბ) | 1:0 |
| ბალტიკა-შინიკი | 0:1 |

| | |
|---|---|
| **[illegible]** | |
| ობოლონი-კარპატი | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| გურნიკი-ლეჩია | 0:0 |
| ვისლა-ბელხატოვი | 3:1 |
| **ხორვატია** | |
| ლოკომოტივა-რიეკა | 0:0 |
| ინკერი-დრაგოვოლიაცი | 3:2 |
| ზაგრები-ვარაჟდინი | 2:2 |
| **სლოვენია** | |
| დომჟალე-სელიე | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| ჟოლნოკი-უიპეშტი | 1:0 |
| ფერენცვაროში-ვაშაში | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| უნირეა-გლორია | 2:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნომორეცი-ლიტექსი | 0:0 |
| **ბელარუსი** | |
| ნაფტანი-დნეპრი | 6:0 |
| ბელშინა-შახტიორი | 2:0 |
| მინსკი-ტორპედო | 0:1 |
| გომელი-დინამო (ბრ) | 2:0 |
| ნემანი-ვიტებსკი | 0:1 |
| ბატე-დინამო (მნ) | 1:0 |
| **ეკვადორი** | |
| ინდეპენდიენტე-ემელეკი | 0:3 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბაიროიტი-სკაილაინერსი | 86:79 (ო) |
| ბრემერჰავენი-ალბა | 83:100 |
| ჯაიანტსი-ულმი | 79:66 |
| ლუდვიგსბურგი-ბრაუნშვაიგი | 90:75 |
| მიტელდოიჩე-ტიუბინგენი | 57:79 |
| არტლანდი-ტელეკომ ბონი | 87:68 |
| გისენი-ტრირი | 53:63 |
| ოლდენბურგი-ბამბერგი | 78:83 |
| **თურქეთი** | |
| თოფასი-ფენერბაჰჩე | 74:81 |
| **საფრანგეთი** | |
| შოლე-შალონი | 74:82 |
| **ჰოკეი** | |
| **ჩეხეთი** | |
| სლოვანი-ბოლესლავი | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-ლუკო | 2:4 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონაკო** | |
| ნადალი-ლუბიჩიჩი | 6:1, 6:3 |
| ფერერი-ტროიცკი | 6:3, 6:3 |
| ფედერერი-მელცერი | 4:6, 4:6 |
| მიურეი-ჟილი | 6:2, 6:1 |

● TV პროგრამა

**16 აპრილი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბორუსია (მ).
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:00 საფრანგეთის შოუ.
16:30 იტალიის შოუ.
17:00 ესპანეთის შოუ.
17:30 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ჰანოვერი (LIVE).
19:30 იტალიის შოუ.
20:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო (LIVE).
22:00 სუპერკლასიკოს წინ. რეალი-ბარსელონა. უკანასკნელი კლასიკოს ფრაგმენტები.
23:00 სუპერკლასიკოს წინ. რეალი-ბარსელონა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული მატჩების ისტორია.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა (LIVE).
02:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სამპდორია.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი.
11:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ოკლაჰომა.
13:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ნიუ ორლეანი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მასტერსი. მონაკო (LIVE).
20:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულონი-ტულუზა.
22:20 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. I მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

19:55 იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ვალენსია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

16:50 ჰოკეი. ევროპული გამოწვევა. ნორვეგია-რუსეთი (LIVE).
21:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. დეტროიტი-ფინიქსი. II მატჩი (LIVE).
23:30 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ამირ ხანი-პოლ მაკკლოსკი. ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

14:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 94 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ბორდო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

13:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-კრასნოდარი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-როსტოვი (LIVE).
18:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტერეკი-დინამო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონაკო (LIVE).

**SPORT+**

13:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი. რუსეთი-იტალია (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სამპდორია (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ესპანეთი (LIVE).
18:00 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. კონკური. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
19:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. კაშივა-კაშიმა (LIVE).
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ფილადელფია (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 კალათბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
22:45 კალათბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
01:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).

**17 აპრილი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სამპდორია.
12:00 სუპერკლასიკოს წინ. რეალი-ბარსელონა. უკანასკნელი კლასიკოს ფრაგმენტები.
13:00 სუპერკლასიკოს წინ. რეალი-ბარსელონა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული მატჩების ისტორია.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
16:00 ესპანეთის შოუ.
16:30 იტალიის შოუ.
17:00 საფრანგეთის შოუ.
17:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი (LIVE).
19:30 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ფრაიბურგი (LIVE).
21:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 უნიბურთი. სტუდენტური საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-უდინეზე (LIVE).
01:00 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა-ტიგრე.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო.
11:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულონი-ტულუზა.
13:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. I მატჩი.
14:45 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. სტად ფრანსე-კლერმონი.
16:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მასტერსი. მონაკო (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბილბაო (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. I მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

16:55 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი (LIVE).
18:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ერკულესი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბილბაო (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ატლეტიკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

14:50 ჰოკეი. ევროპული გამოწვევა. ნორვეგია-რუსეთი (LIVE).
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი (LIVE).
19:25 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. დიერიჩაკო. საპასუხო მატჩი (LIVE).
21:25 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. ბუდუჩნოსტი-ლარვიკი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

14:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.+ 75 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ბორდო (LIVE).
19:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ფრაიბურგი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-უდინეზე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

11:55 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ამკარი-ზენიტი (LIVE).
14:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ვოლგა (LIVE).
16:30 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-რუბინი (LIVE).
19:10 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-სპარტაკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

16:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მონაკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

03:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. I მატჩი (LIVE).

**SPORT+**

13:20 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი. რუსეთი-იტალია (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი (LIVE).

**EUROSPORT**

15:15 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
16:15 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ესპანეთი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. ამსტელ გოლდ რეისი. ჰოლანდია (LIVE).
19:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
23:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:30 სუპერსტოკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
14:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
17:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
18:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 კალათბურთი. ევროპის თასი. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
22:45 კალათბურთი. ევროპის თასი. ფინალი (LIVE).
02:15 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კვირის ბოლოს



ფორტუნა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

# პროთეზით ბრილიანტის ლიგაზე




ოსკარ პისტორიუსი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სამხრეთაფრიკელი მორბენალი **ოსკარ პისტორიუსი** 11 იანვარს ნიუ იორკში „ბრილიანტის ლიგის" სერიაში გამოვა. სპორტსმენს ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და სპეციალური პროთეზებით დარბის.

ამა წლის მარტში პისტორიუსმა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის B ნორმატივი შეასრულა. მან 400 მეტრი 45.61 წამში გაირბინა, რაც 0.36 წამით უარესია A ნორმატივზე.

*„მე მხოლოდ ერთხელ გავირბინე 400 მეტრი 45 წამში. ჩემი მეტოქეები მხოლოდ მათთვის ცუდ დღეებში გარბიან ამ დისტანციას ასეთ დროში. შანსი იმისა, რომ პოდიუმზე მოვხვდები, ძალიან დაბალია. მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ, უბრალოდ ,მაინტერესებს რისი მიღწევა შემიძლია ჩემს პროფესიაში"*, - განაცხადა პისტორიუსმა.

ათლეტის სიტყვებით, მას ლონდონის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის გავლა აქვს ჩაფიქრებული.

● ფორმულა 1

# ფეტელის დუბლი




რედ ბული ისევ სწრაფია

ჩინეთის გრან-პრის პირველ თავისუფალ პრაქტიკაზე „რედ ბულის" პილოტები - **სებასტიან ფეტელი** და **მარკ უებერი** შესამჩნევად სწრაფები იყვნენ კონკურენტებზე. საათნახევრიანი სესია მდიდარი იყო საინტერესო მოვლენებით. საბოლოოდ ყველას ფეტელმა გაასწრო, რომელმაც 0,6 წამით აჯობა თანაგუნდელ ავსტრალიელს. მესამე ადგილი დაიკავა **ლუის ჰემილტონმა** („მაკლარენი"), თუმცა ის „რედ ბულის" წყვილს ორ წამზე მეტით ჩამორჩება.

ვარჯიშის პირველ ნაწილში ლიდერობა სწორედ „მაკლარენის" პილოტებმა მოიპოვეს, მაგრამ „რედ ბულის" წევრებმა მალე შეცვალეს ოქმის ზედა ნაწილი. ერთადერთი, რამაც მოქმედ ჩემპიონებს ხასიათი გაუფუჭა, სიცხის გამო ბოლო წუთებში ფეტელის ბოლიდზე აგრეგატის გადახურება იყო.

ისევ პრობლემებით დაიწყო გრანპრი „ლოტუს-რენოსთვის". მართალია, **ნიკ ჰაიდფელდმა** მეხუთე შედეგი აჩვენა, მაგრამ ერთ-ერთ წრეზე მეათე მოსახვევში მანქანა დაამტვრია, **ვიტალი პეტროვი** კი დიდი ხანი დარჩა ბოქსებში და საბოლოოდ, ნაკლები წრე გაიარა, ვიდრე სეზონის სხვა ლიდერებმა.

უნდა აღინიშნოს დებიუტანტ **სერხიო პერესის** მეშვიდე და **ჰეიკი კოვალაინენის** მე-14 ადგილი. საინტერესოა, რომ ვარჯიშების ყველა მონაწილე ჩაეტია საუკეთესო შედეგის 107 პროცენტში. სესიის დიდი ნაწილი გუნდებმა თავიანთ ტექნიკურ სიახლეებთან მუშაობას დაუთმეს, „ფერარიმ" ფლუორესცენტრული აეროდინამიკური სალებავიც კი გამოიყენა.

**I პრაქტიკა**

1. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - 1:38.739 (23 წრე)
2. მარკ უებერი (რედ ბული) - +0,615 (27)
3. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +2,106 (21)
4. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - +2,201 (22)
5. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +2,248 (5)
6. ფელიპე მასა (ფერარი) - +2,307 (25)
7. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2,450 (20)
8. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +2,483 (20)
9. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +2,492 (16)
10. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +2,589 (21)
11. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +2,622 (23)
12. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +2,695 (15)
13. ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია) - +2,755 (20)
14. ჰაიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +2,840 (13)
15. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +2,871 (18)
16. დანიელ რიკიარდო (ტორო როსო) - +3,013 (20)
17. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +3,200 (25)
18. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +3,562 (23)
19. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +5,053 (20)
20. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +5,350 (20)
21. ვიტანტონიო ლიუცი (HRT) - +5,620 (18)
22. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +5,699 (11)
23. ლაზია (ლოტუსი) - +5,803 (9)
24. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +6,280 (23)

■ ■ ■

მეორე პრაქტიკაზეც საუკეთესო დრო სებასტიან ფეტელს ჰქონდა. მაგრამ ამჯერად გერმანელის უპირატესობა მეტოქეებზე არა წამებით, არამედ წამის მეათედებით გამოიხატებოდა. ყველაზე ახლოს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან „მაკლარენისა" და „მერსედესის" პილოტები იყვნენ.

ამჯერად „რედ ბულის" წევრებმა ვარჯიში წრეების გრძელი სერიითა და საწვავით სავსე ავზებით დაიწყეს, ამიტომაც ფეტელისა და უებერის დრო დიდი ხანი მე-15 ადგილზე მაღლა არ ასულა. გერმანელმა ბოლოს მაინც გაიარა რამდენიმე სწრაფი წრე, ავსტრალიელი კი საერთოდ მე-10 ადგილზე დარჩა.

სწრაფი სვლით გაახარეს საკუთარი გულშემატკივრები **ნიკო როსბერგმა** და **მიხაელ შუმახერმა**. ეს გერმანული დუეტი დიდი ხანი სათავეში ედგა ოქმს.

ამ საათ-ნახევარში ყველაზე სერიოზული ავარია ნიკ ჰაიდფელდს შეემთხვა - პირველ მოსახვევში გერმანელმა მანქანა ვერ დაიმორჩილა, უსაფრთხოების ზონას გასცდა და ბარიერს შეეხო, თუმცა შეძლო ტრასაზე დაბრუნება.

იყო ტექნიკური პრობლემებიც - **პოლ დი რესტა** საერთოდ არ გასულა ტრასაზე, **ლიუციმ** მხოლოდ ორი წრე გაიარა, სესიის მეორე ნახევარი გაატარა ბოქსებში **გლოკმა**, ხოლო **ფერნანდო ალონსოს** მანქანაზე ვერ აღადგინეს უკანა მოძრავი ანტიფრთის მუშაობა და ესპანელი ტრასაზე ამ სისტემის გარეშე გავიდა.

**II პრაქტიკა**

1. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - 1:37.688 (34)
2. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +0,166 (22)
3. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) -+0,247 (31)
4. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +0,255 (34)
5. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +0,417 (29)
6. ფელიპე მასა (ფერარი) - +0,819 (36)
7. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +1,047 (35)
8. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) - +1,117 (26)
9. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +1,171 (31)
10. მარკ უებერი (რედ ბული) - +1,639 (33)
11. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +1,850 (33)
12. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +1,979 (37)
13. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +2,083 (18)
14. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +2,091 (17)
15. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +2,140 (25)
16. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +2,237 (32)
17. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2,265 (30)
18. ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +2,788 (30)
19. იარნო ტრული (ლოტუსი) - +3,794 (32)
20. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +5,214 (25)
21. ვიტანტონიო ლიუცი (HRT) - +6,162 (3)
22. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +6,320 (35)
23. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +7,059 (12)

● სამთო-სათხილამურო სპორტი

# რიში დაქორწინდა

წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორი, მსოფლიოს თასის ახალი მფლობელი **მარია რიში** დაქორწინდა. გერმანელი მოთხილამურის ქმარი გახდა მისივე მენეჯერი **მარკუს ჰიოფლი**. საქორწინო ცერემონია მარიას მშობლიურ ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენში გაიმართა. ჯვრისწერა დღეს, ავსტრიის სამთო-სათხილამურო კურორტ კიტცბუელის ტაძარში შედგება და ამ ცერემონიას 200 სტუმარი დაესწრება.



მარია რიში და მისი რჩეული

სტუმრების სიაში არ არის თანამედროვე სამთო-სათხილამურო სპორტის მეორე ლიდერი, მარიას ყოფილი მეგობარი **ლინდსი ვონი**. მას წინა სამ სეზონში ჰქონდა მოგებული მსოფლიოს თასი, მაგრამ წელს გერმანელმა ბოლო მომენტში აჯობა. როგორც ირკვევა, მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე რიშმა და ვონმა სერიოზულად იჩხუბეს, რასაც ორმხრივი საყვედურები და გულში ჩადებული ძველი წყენის გახსენება მოჰყვა. მარია რიშის მამამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლინდსის ერთი კვირის წინ გაუგზავნეს მოსაწვევი და ვარაუდობდნენ, რომ ამერიკელი წინასწარ შეატყობინებდა ქორწილში სავარაუდო დასწრების შესახებ. მაგრამ რიშს მისგან არანაირი შეტყობინება არ მიუღია.

მარია რიშის ხელისმომკიდე მისი უმცროსი და, ასევე ცნობილი მოთხილამურე **სიუზანა რიში** იქნება. ქორწილის შემდეგ მარიას ჰიოფლ-რიშის გვარით მოიხსენიებენ.

# ჰემილტონს მაკლარენი აღარ უნდა?

საყოველთაოდ ცნობილია ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ აიყვანა „მაკლარენმა" ნორჩი კარტინგისტი **ლუის ჰემილტონი** და მისგან მსოფლიოს ჩემპიონი გაზარდა. 2007 წელს ბრიტანული საჯინიბოს რიგებში დებიუტის შემდეგ ლუისმა 14 რბოლის მოგება შეძლო. გუნდი და პილოტი მუდმივად ეფიცებოდნენ ერთმანეთს ერთგულებას, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ იდეალურ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა.

ბრიტანელმა ცხადად მიანიშნა ყველას, რომ არ დარჩება „მაკლარენში", თუ გუნდი მას საჩემპიონო ბოლიდს არ მოუმზადებს. შანხაის ავტოდრომის პადოკში ჟურნალისტებთან ურთიერთობისას მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონმა განაცხადა: *„მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების გარდა სხვა მიზანი არ მაინტერესებს. დიდი ხანი არ არის, რაც ფორმულა 1-ში გამოვდივარ. გამიმართლა იმ მხრივ, რომ მოვხვდი გუნდში, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობ. მაგრამ ეს არ არის საკმარისი - ტიტულების მოგება მინდა"*.

კითხვაზე - აქვს თუ არა „მაკლარენის" მიმართ მის ერთგულებას საზღვარი - ჰემილტონმა უპასუხა: *„დიახ, ასეთი ზღვარი არსებობს. მე ყოველთვის მომწონდა აქ გამოსვლა და ვისურვებდი თანამშრომლობის გაგრძელებას, მაგრამ უნდა შევხედო - რომელ ადგილზე დავასრულებთ ამ სეზონს. ამის შემდეგ გავაკეთებ დასკვნებს"*.

ჰემილტონის მიმდინარე კონტრაქტი 2011 წლის ბოლოს იწურება. ახლა ლუისი და მისი ახალი მენეჯერები პილოტის კარიერის განვითარების ვარიანტებს განიხილავენ. შეგახსენებთ, რომ ამ ბოლო დროს ხშირად იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „რედ ბული" **სებასტიან ფეტელისა** და ჰემილტონის სუპერწყვილის შექმნას აპირებს.

● კრივი

# მოგება ტოტალიზატორში

ცნობილმა ამერიკელმა მოკრივემ **ფლოიდ მეივეზერმა** თავისი მორიგი მოგების შესახებ გაუმხილა საზოგადოებას. თუმცა ეს გამარჯვება რინგზე არ შემდგარა - ფლოიდმა ტოტალიზატორში გარისკა და გაუმართლა.

მოკრივემ ფსონი გააკეთა მარტის ბოლოს ჩატარებულ საკალათბურთო შეხვედრაზე - „კლივლენდი" „მაიამის" წინააღმდეგ. მეივეზერმა 50 ათასი დოლარი დადო იმაზე, რომ „კავალერები" მეორე ტაიმში შეინარჩუნებდნენ 12.5-ქულიან უპირატესობას. იმ მატჩში „კლივლენდმა" გაიმარჯვა, მეივეზერის სუფთა მოგებამ კი 47 619,05 დოლარი შეადგინა.

ფლოიდმა „ტვიტერში" განათავსა თავისი მოგებული ბილეთი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**